მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 22 დეკემბერი, 2018 წ. 3-4 (25-26)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი



რა არის დღეის ამოცანა?
- დღეის ამოცანა საკუთარი თავის ცნობაა.
თავის ცნობისათვის საჭიროა ნათესავ-ტომობის ცნობა, ანუ იმის გარკვევა, ვინ რა გვარის სისხლ-ხორცისაგან და რა ტომის დედ-მამისაგან მოედინება.
ვინც ამას გაარკვევს, იმასაც გაიგებს, შემდეგ რა გზით იაროს . . .

თუ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ მივაღწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის, სახელმწიფოებრივი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის, ტერიტორიული მთლიანობის, კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის აღდგენას, პოლიტიკურ-სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობას!

ცუდი დროება დაგვიდგა,
ძალიან ცუდი დარია,
თაგვები კატებს აცრჩობენ,
ტურამ ლომს ხელი დარია.
ქორი დაქოჩრა ქათამმა,
ომი შეექმნათ ცხარია,
„საგმირო" საქმეებს სჩადის
ინდაურების გვარია.

ვაჟა-ფშაველა

საქართველოს რესპუბლიკისმთავრობისა
და
,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"
ერთობლივი მიმართვა
ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას

ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, საზოგადოების პოლიტიკური ინტრიგებით მეტისმეტად გატაცებამ, პოლიტიკოსების მხრიდან მერკანტილური ინტერესების ასრულების დაუოკებელმა ჟინმა ქართული სახელმწიფოებრიობა საფრთხის წინაშე დააყენა.

დღეს, საქართველო, მისი თითოეული მოქალაქე იმყოფება, ერთის მხრივ, ექსტრემისტების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, მეორეს მხრივ, ფსევდოდემოკრატია-მოჩვენებითი კეთილდღეობის სივრცეში და ეს ყველაფერი არსებული გაუსაძლისი რეალობის ფონზე იმდენად ამაზრზენია, რომ პიროვნება გადაჰყავს რეაქციულ, ან ილუზიურ სამყაროში. ქართული საზოგადოებისათვის ორივე ვითარება დამღუპველია. დღესაც. ილიასეულ „მამულს, ენას და სარწმუნოებას" დემოკრატიას ამოფარებული ნიღბით ებრძვიან. ქვეყანაში შექმნილი ვითარება კრიტიკულ ზღვარს გადასცდა.

რაც შეეხება სახელმწიფოებრივ აზროვნებას, მიუხედევად იმისა, რომ საქართველომ ეროვნული, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ 1991 წელს აღიდგინა და რომ სამშობლო თითქოს ყველა ქართველს უყვარს, ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა კოლონიური აზროვნების ტყვეობიდან და სამწუხაროდ, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე თავისუფალ ერსა და საზოგადოებას შეეფერება, ჯერ კიდევ ვერ ჩამოვყალიბდით სრულ სახელმწიფოდ.

სამწუხაროდ, დღესაც, საქართველოში მძვინვარებს არაადამიანური, ანტიდემოკრატიული, ანტიეროვნული, ანტისარ-წმუნოებრივი, ანტისახელმწიფოებრივი მარიონეტი და მოძალადე რეჟიმი, რომელიც აგერ უკვე ბოლო 26 წელია დემოკრატიის ნიღბით, არამარტო საკუთარ ხალხის, არამედ მსოფლიო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანას ცდილობდა და ცდილობს კვლავაც.

აგერ უკვე ოცდაშვიდი წელია რთული პერიოდია საქართველოში. დროა მოქმედება გამოფხიზლებისაკენ და არა სიცრუისაკენ. დროა ბევრად მტკიცედ ვიცავდეთ ეროვნული, კანონიერი ხელისუფლებისა და ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის პრინციპებს. ღმერთმა გაგვაძლიეროს ამ რწმენით! ეროვნულ–სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობითა და იდეოლოგიით ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლა სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის რთულ სამართლიან გზაზე არ შემწყდარა.

ჩვენი სამშობლო კიდევ ერთხელ დადგა, დიდი არჩევანის წინაშე. დღეს კვლავ წყდება თითოეული ჩვენთაგანისა და მთელი ქვეყნის ბედი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა არ მივცეთ მხილებულ, დისკრედიტებულ, მარიონეტულ, დამნაშავე რეჟიმს ახალი, არასამართლებრივი და უკანონო ფალსიფიცირებული არჩევნების გზით ძალაუფლების გახანგრძლივების საშუალება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" კვლავ უკანონოდ მიიჩნევს ხუნტის სამართალმემკვიდრე ნებისმიერ არჩევნებსა და მასში თუნდაც რომელიმე მისი წევრისა და ზოგადად ვინმეს მონაწილეობას, რამეთუ მიაჩნია, რომ დღესაც ამდაგვარი ,,დემოკრატიული არჩევნების" ფასადის შელამაზებითა და ცრუ ,,ოცნების" გზით პუტჩი კვლავ გრძელდება საქართველოში და ერთადერთი გზაა სახელმწიფოს სამართლებრივ, ლეგიტიმურ რელსებზე დაბრუნება და უზენაესი კანონიერების აღდგენა საქართველოში. ლოზუნგი ,,დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ" კვლავ ძალაშია.

თუ კანონიერების სამართლებრივი აღდგენის პრინციპებით, კანონიერ მთავრობასთან და

,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძვნებელ ორგანიზაციებთან – ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებასთან" და ,,სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებასთან" ერთად სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლაში ჩაებმევა ნებისმიერი ეროვნულ–სარწმუნოებრივი ძალა, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით მათ. თუმცა, ამავდროულად, ყველა თავადვე ირჩევს თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის გზას.

ვაცნობიერებთ რა ქვეყანაში შექმნილ რთულ და საფრთხისშემცველ ვითარებას, ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობის გრძნობით მივმართავთ სრულიად საქართველოს: ჩვენ ვგმობთ ძალადობაზე, შიშზე, არასამართლიანობაზე და ტყუილზე დაფუძნებული, დღემდე არსებული, ყველა უკანონო ხელისუფლების „მოღვაწეობას“ და მოგიწოდებთ, ყველამ უნდობლობა და დაუმორჩილებლობა გამოვუცხადოთ ვითომ დემოკრატიულად და ვითომ არჩევნების გზით მათი ძალაუფლების გახანგრძლივებას, როგორც დამნაშავე, უზნეო მმართველობის რეჟიმის მემკვიდრეთა და არსებულ საყრდენს.

საქართველოსთვის ამ ავბედით ეტაპზე, ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონსტიტუციური გაგრძელება ქვეყანას ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

მის დღევანდელ მიზანს, ეროვნულად მოაზროვნე ძალების გადარჩენა, კონსოლიდაცია და სამშობლოს გადასარჩენად დარაზმვა წარმოადგენს. საქართველოს კეთილდღეობისათვის დღეს ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, ნებისმიერ პარტიულზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება.

სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, „ამისტებად" და „იმისტებად" დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება, რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ეს გზა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება.

და, აი, უკვე მერამდენედ, როცა ქართველი ერი დგება ახალი, კვლავაც უკანონო, არასახელმწიფოებრივი და არასახალხო ფიქტიური არჩევნების ნაირსახეობის წინაშე . . .

კვლავაც ომახიანად, ხმამაღლა, ისმის ჭეშმარიტად მამულიშვილური სიტყვა:

,,აი. მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, დანო და ძმანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ:

ქართველო ერო, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კვლავ მივიდა გზაგასაყართან. შენს წინაშე არის ორი გზა, აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა. აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და, აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა!

აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებულიყოს უკუნისამდე. ჩვენ, ძმანო და დანო, ვდგევართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი, ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგა და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება." გაუმარჯოს ილია მართლის გზას, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გზას! კურთხეულ იყოს ილია მართლის გზა!

გაიღვიძე ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას! ამინ!

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოს რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე და კანონიერი ხელისუფლების ინსტიტუციები და წარმომადგენლები, კვლავაც ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებასა და

მხარდაჭერას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სახელმწიფოებრიობის მიმართ!

მოვუწოდებთ, უცხოეთში და საქართველოში მცხოვრებ ჩვენს მამულიშვილებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს და სხვა ერების ღირსეულ შვილებს, ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის გზით, მტკიცედ დაადგნენ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების სამართლებრივ გზას საქართველოში. ეს გზა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დაყენების ერთადერთი მექანიზმია, მიზანი კი, საქართველოს ყველა მამულიშვილისთვის სამშობლოს გადარჩენა, ეროვნული თანხმობის მიღწევა და ქვეყნის განვითარების სწორი ვექტორის არჩევაა.

სამართლებრივი და კანონიერი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ დაფუძნებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონსტიტუციურად პირველი ეტაპის მთავარი მიზანი იყო, ორგანულად უკავშირდებოდა, შემდგომ პერიოდში, შემდგომი ეტაპის - ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით, მსოფლმხედველობითა და იდეოლოგიით დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ სწრაფვას, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ხასიათის სახელმწიფოდ გარდაქმნა-ჩამოყალიბებას.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე საქართველოში სამართალმემკვიდრეობის, კანონიერების, სამართლებრივი და კანონიერი ყველა სახის არჩევნების დანიშვნითა და ჩატარების გზით ეროვნული ხელისუფლების აღდგენის (მოსვლის) საქმეში. მერე რა, რომ დღეს ბრძოლაში გამარჯვება უკუღმართებს რჩებათ, ისინი ხომ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ბრძოლის დროს და იარაღსაც ჰკიდებენ ხელს, რომლებსაც რიგიანები გაურბიან. სიმართლისათვის და უფლისათვის ბრძოლაში დაღვრილი სისხლი და თავად ამდაგვარ ბრძოლაში გატარებული სიცოცხლეც ღირსეულია ჩვენთვის!

ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ!

დაე, ადამიანმა ამხილოს, უფალმა კი განსაჯოს ყოველივე, რამეთუ, ყველა გზა უფალთან მიდის განსაკითხველად სიმართლისა და სიცრუისა!

26. 08. 2018

ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფხაზთა გულებისაკენ და გავაერთიანებთ სამშობლოს

... წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამზობს ამზავსა, მეც უთხრა ჩემი შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისა!

26 წელი გავიდა, რაც შინაური თუ გარეული მტრების მეცადინეობით, დედა-სამშობლოს მოწყვეტილია აფხაზეთი. 26 წელიწადია, გაისმის „დავიბრუნებთ“... ეს სიტყვა ყოველ წელს სულ სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. დროთა განმავლობაში, აფხაზეთის ,,დაბრუნების" კონტექსტიც ისევე იცვლება, როგორც თაობები, პრობლემა კი გადაუჭრელი და მოუგვარებელი რჩება.

დღეს, როდესაც საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან ადგილი აქვს მავთულხლართებისა, თუ სხვადასხვა ტიპის საფორთიფიკაციო საშუალებების აგებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ხშირად საპასუხოდ გაისმის, რომ 21-ე საუკუნეში ,,ახალი კედლის'" აგებას პერსპექტივა არა აქვს და ეს საოკუპაციო გამყოფი ზოლებიც აუცილებლად მოიშლება.

ამ რწმენას ნელ-ნელა აფერმკრთალებს დრო და რაც მთავარია, 1992 წლის 14 აგვისტოდან დაღვრილი სისხლით შედუღაბებული მტრობა და სიძულვილი, გაუცხოება, რისი დაძლევაც ისევ მხოლოდ ქართველთა და აფხაზთა სინანულით და სამშობლოს გაერთიანებითაა შესაძლებელი.

27 სექტემბერი (სოხუმის დაცემის დღე) საქართველოში გლოვის დღეა, აფხაზები კი თავიანთ ,,გამარჯვებასა და გათავისუფლებას" ზეიმობენ.

1993 წლის 27 სექტემბერი შედეგია იმ ავბედითი 1992 წლის 14 აგვისტოსი, როდესაც ხუნტისა და მის დამქაშთა გამოისობით, პირველად გავარდა ტყვია და პირველი ქართველი და აფხაზი დაიღუპა. დღე, როდესაც ძმამ ძმაზე ხელი აიღო, დღე, როდესაც ერთდროულად ჩაიცვეს ქართველმა და აფხაზმა ქალებმა ძაძები. სწორედ ამ დღემ, საქართველოს ვერაგი მტრების წადილითა და მონაწილეობით მოუსწრაფა სიცოცხლე ათასობით ყმაწვილ ქართველსა და აფხაზს. ამ დღემ დაგვაკარგინა ქვეყნის გენოფონდი... ამ დღეს შეველიეთ ჩვენს აფაზეთსა და აფხაზებს... ამ დღეს ჩაინგრა ხიდი ენგურზე და დღემდე ვერავინ აღადგინა...

იქნებ, სწორედ, 14 აგვისტო, როგორც საწყისი საქართველოს ომის შედეგად დაქუცმაცებისა უნდა გახდეს დღე ქართველთა და აფხაზთა საერთო ტკივილისა, დღე სინანულისა, რომელმაც უნდა გვაპოვნინოს ერთმანეთისაკენ სავალი გზა, ძალა შურისძიების სურვილზე ამაღლებისა და საერთო გამარჯვებისა. იქნებ, მალე, კეთილი ნების გამომხატველმა გონიერმა დროის მანქანამ უფლის შეწევნით შეგვაძლებინოს, საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დაბრუნების მიზნით, ერისა და ქვეყნის კვლავ გამთლიანება, თორემ, გარეშე ქვეყნების, თუნდაც კეთილი ნებით, მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის მოთხოვნები მალევე გაუფერულდება და დავიწყებას მიეცემა! საქართველოს კეთილდღეობისათვის დღეს ხომ ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობით ეროვნული-სახელმწიფოებრივი ინტერესების წინა პლანზე დაყენება.

სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა და მომავალი ლეგიტიმური ხელისუფლების სამართლიანი გზით არჩევა, დაქუცმაცებული საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება და რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევა ესაა ერთადერთი შესაძლებლობა ქვეექნის გადარჩენისა და კეთილდღეობისა! ამასთან, ეს გზა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება. კანონიერება და სამართლიანობა აუცილებლად გაიმარჯვებს!

სიმართლე ყოვლისშემძლეა!

საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების პრეზიდიუმი

14. 08. 2018

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი ს საგანგებო სხდომის ოქმის ამონაწერი

ქ. თბილისი _ 6 ოქტომბერი _ 2018

სხდომას ესწრებოდნენ: ნუკრი ბაღდავაძე, ნოდარ კიკნაძე, მალხაზ მუსერიძე, დავით კაპანაძე, რატი გაგოშიძე, თორნიკე ამაშუკელი, მირიან მაღრაძე, ნათია მუკბანიანი და ლადო ბატიაშვილი.

დღის წესრიგის საკითხები:

- 1. კავშირის საგანგებო, ყრილობის დონის, აქტუალური, ექსპერიმენტალური გადაწყვეტილების მახასიათებლების მქონე სხდომისა და მომავალი მე-11 ყრილობის გამართვის საორგანიზაციო, პოლიტიკური და იურიდიული საკითხები;
- 2. კავშირის ყრილობამდელი შიდა საორგანიზაციო და ფუნქციური უფლებამოსილების საცდელი ვადით - მომავალ ყრილობამდე საკადრო და ფუნქციური გადანაწილების საკითხი;
- 3. კავშირის წევრთა მზადყოფნისა და პასუხისმგებლობის საკითხები სათანადო საკადრო შეფასებებით, კავშირის უხუცესთა საბჭოს ჩამოყალიბება, კავშირის ზოგიერთი სტრუქტურული რგოლის ხელმძღვანელთა არჩევა, სხდომის გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის სათანადო შეფასების საკითხი არჩეულ წევრთა მხრიდან და მათი დასტური პასუხისმგებლობის სრულიად აღებასა და მისი შესრულების გარდაუვალობაზე;
- 4. კავშირის მე-11-ე ყრილობის მოსამზადებელი, საკადრო, საწევრო ანარიცხების, შემოწირულობებისა და სამომავლო პოლიტიკური გააქტიურების საკითხები.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ე ბ ი:

- 1. კავშირის საგანგებო, ყრილობის დონის, აქტუალური, ექსპერიმენტალური გადაწყვეტილების მახასიათებლების მქონე სხდომისა და მომავალი მე-11 ყრილობის გამართვის საორგანიზაციო, პოლიტიკურ და იურიდიულ საკითხებთან მიმართებაში სხდომამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება:

  ვინაიდან, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" წარმოადგენს სამართლებრივი, კანონიერი ხელისუფლების დღემდე შემორჩენილ ერთადერთ მმართველ პოლიტიკურ ორგანიზაციას და „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" დამფუძნელ-ძირითად ორგანიზაციას, რომელსაც აღიარებს, როგორც კანონიერი ხელისუფლება, ასევე ბოლო 26 წლის განმავლობაში ყველა ფაქტობრივი ხელისუფლება, აუცილებლად საჭიროებს განახლებასა და გადახალისებას, კავშირის ხელმძღვანელი სტრუქტურული რგოლების ხელმძღვანელთა გაახალგაზრდავებას, რათა კავშირმა შეძლოს თავისი მოღვაწეობის-პოლიტიკური ბრძოლის დროში გახანგრძლივება და წესდების თანახმად, მისი, დროის სივრცეში, მიზნებისა და ამოცანების შესრულებამდე, დროის გაზრდა და აქტივობების გარანტიების შექმნა;
- 2. კავშირის ყრილობამდელი შიდა საორგანიზაციო და ფუნქციური უფლებამოსილების საცდელი ვადით - მომავალ ყრილობამდე, ფაქტობრივი რეალობისა და სამართლებრივ-იურიდიული სტატუსქვოს შენარჩუნების გათვალისწინებით, სამართლებრივი, საკადრო და ფუნქციური გადანაწილების საკითხზე სხდომამ ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: სხდომამ ყრილობამდელი საცდელი (საექსპერიმენტო) ვადით, კავშირის მმართველი თანამდებობის პოსტებზე პრეზიდიუმის წევრებად აირჩია:

  1) მალხაზ მუსერიძე (კავშირის თავმჯდომარის - კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი); 2) დავით კაპანაძე (კავშირის თავმჯდომარის მოადგილის - კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი,

კავშირის რეგიონალური დეპარტამენტის თავმჯდომარე); 3) რატი გაგოშიძე -კავშირის პრეზიდიუმის წევრი (ფუნქციურად - კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი); 4) ნათია მუკბანიანი - კავშირის პრეზიდიუმის წევრი (ფუნქციურად - კავშირის აპარატის ხელმძღვანელი);

5) ლადო ბატიაშვილი - კავშირის პრეზიდიუმის წევრის მოვალეობის შემსრულებელი (ფუნქციურად - კავშირის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი);

3. საკითხთან - კავშირის წევრთა მზადყოფნისა და პასუხისმგებლობის საკითხები სათანადო საკადრო შეფასებებით, კავშირის უხუცესთა საბჭოს ჩამოყალიბება, კავშირის ზოგიერთი სტრუქტურული რგოლის ხელმძღვანელთა არჩევა, სხდომის გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის სათანადო შეფასების საკითხი არჩეულ წევრთა მხრიდან და მათი დასტური პასუხისმგებლობის სრულიად აღებასა და მისი შესრულების გარდაუვალობაზე, სხდომამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება:

კავშირში გამოცხადებული საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, კავშირის წესდების 1.1, 1.2, 1.19, 3.3, 3.9-3.14, 4.1, 6.1, 6.6, 6.7-6.9, 7.1 , 6.8 ე) და 7.1 ე) მუხლების შესაბამისად, კავშირის ყველა - 55 წელს გადაცილებული წევრებით ჩამოყალიბდეს უხუცესთა საბჭო (ყრილობამდე და შესაძლოა ყრილობის შემდგომაც), როგორც კავშირის მმართველი და ხელმძღვანელი სტრუქტურული რგოლების მაკონტროლებელ-მაკოორდინებელი საკონსულტაციო ორგანო, რომლის არჩევა-შედგენა, დაკომპლექტება-განახლება მოხდება კავშირის პრეზიდიუმის მიერ. პრეზიდიუმის გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს უხუცესთა საბჭოსთან (მის თავმჯდომარესთან, რომელიც წარმართავს საბჭოს მუშაობას). საბჭო სარგებლობს ვეტოს უფლებით და სავალდებულოა მისი რეკომენდაციები და შენიშვნები გათვალისწინებული იქნას პრეზიდიუმის გადაწყვეტილებების მიღებისას. უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ბატონი ნუკრი ბაღდავაძე.

კავშირის მმართველი თანამდებობების პოსტებზე საცდელი ვადით არჩეული წევრები შეთანხმდნენ მიღებული თანამდებობრივი პოსტების, ფუნქციების განაწილებაზე და იღებენ პასუხისმგებლობას კავშირისა და უხუცესთა საბჭოს წინაშე, რასაც სხდომის მიერ არჩეულ წევრებთან, სხდომის თავმჯდომარესთან და მდივანთან ერთად ადასტურებენ ოქმზე ხელის მოწერით. ამასთან, სხდომამ ერთხმად დააკმაყოფილა ქალბატონ მზია არსენაშვილის განცხადება კავშირიდან გასვლის შესახებ. მის ადგილზე კი, იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე დაამტკიცა ქალბატონი ნანა ჭიქაძის კანდიდატურა. ასევე, სხდომამ, ერთხმად კავშირის ადამიანის უფლებების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე დაამტკიცა ბატონი ლადო ბატიაშვილის კანდიდატურა, რომელიც ამავდროულად უხელმძღვანელებს კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციასაც. საკითხთან დაკავშირებით, სხდომის გადაწყვეტილებით, პრეზიდიუმის ყველა წევრს (კავშირის ყველა წევრთან ერთად) ასევე დაევალა ახალი წევრების შემოყვანა კავშირში. პრეზიდიუმის წევრებს ასევე დაევალა: კავშირის სხვა სტრუქტურული რგოლების ხელმძღვანელი რგოლების დაკომპლექტება. კავშირის ფუნქციათა და მოვალეობების პოსტების დაკავების პარალელურად, კავშირის უფრო ნაყოფიერი და ხარისხიანი ფუნქციონერებისათვის წევრებმა შეითავსეს სხვა დამატებითი ფუნქცია-მოვალეობები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის სათანადო შეფასების საკითხი არჩეულ წევრთა მხრიდან და მიიღო დასტური პასუხისმგებლობის სრულიად აღებასა და მისი შესრულების გარდაუვალობაზე.

4. საკითხთან მიმართებაში სხდომამ იმსჯელა კავშირის მე-11-ე ყრილობის მოსამზადებელ, საწევრო ანარიცხების, შემოწირულობების და საკადრო საკითხებზე, ასევე განიხილეს კავშირის სამომავლო პოლიტიკური გააქტიურების საკითხიც.

სხდომაზე ერთხმად გადაწყდა, რომ ის წევრი, რომელიც არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დაიწყებს კავშირის სხდომების გაცდენას, არ გადაიხდის საწევროს და არ დაემორჩილება კავშირის არჩეულ პოლიტიკურ კურსსა და წესდებას, ავტომატურად დატოვებს კავშირს.

ამ ნიშნით სხდომამ ბატონ გივი კვანტალიანს შეუწყვიტა კავშირის წევრობა, ხოლო ბატონ მალხაზ ცქიფურიშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

სხდომამ ასევე ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, წესდების 14.1, 14.2, 14.3, 14.5 და 14.6 მუხლების შესაბამისად, კავშირიდან გასულად ჩაითვალოს: ბატონი დავით ამირეჯიბი და ქალბატონი ქეთევან ბენდელიანი და გაათავისუფლა ისინი კავშირის დარბაზის ხელმძღვანელობიდან. კავშირიდან ასევე გასულად ჩაითვალა ბატონი საბა ამირეჯიბი (დამატებით წესდების 14.4 მუხლის თანახმად). კავშირის დარბაზის ხელმძღვანელობა დაევალა ბატონ ნოდარ კიკნაძეს.

სხდომაზე ასევე, საცდელი ვადით არჩეულ პირებს დაევალათ კავშირში ახალი წევრების შემოყვანის პარალელურად დაიწყოს კავშირის შიდა გამკაცრებული კონტროლი და ყველა, ვინც დაარღვევს და არ დაემორჩილება კავშირის წესდებას გაფრთხილებულ იქნეს კავშირის წევრობის დატოვების შესახებ და შემდგომ, გაყვანილ იქნას როგორც კავშირიდან, ასევე ყველა სოციალურ ქსელში არსებული საიტისა, თუ არსებულ შიდა ჯგუფებისა და გვერდების წევრობიდან.

სხდომის თავმჯდომარე: ნუკრი ბაღდავაძე
სხდომის მდივანი: დავით კაპანაძე

ის, ვინც სიცოცხლეს მსხვერპლად იღებს ...

წილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად,
მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო,
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,
შემდეგ ეს მიწა და საქართველო!

მერაბ კოსტავა



მე, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას მეგობარს, ახლახანს განთავისუფლებულს და მასთან ერთად გასამართლებულს, მიმაჩნია აუცილებლად განვაცხადო შემდეგი: ჩემამდე მოაღწია ხმებმა, რომ საზოგადოებაში გავრცელდა მცდარი აზრი, თითქოს ზვიად გამსახურდია განუდგა თავის პატრიოტულ და სამართალდამცველის მოღვაწეობას სუკ-ის რაღაც ზემოქმედების შედეგად, თითქოს გატეხეს, „განუდგა თავის იდეებს“ და ა. შ. ვალდებული ვარ ამთავითვე ავღნიშნო, რომ ჩემზე უკეთ სიმართლე ამის შესახებ არავინ იცის, რადგანაც ციხეში მთელი წლის მანძილზე ვაკვირდებოდი ჩვენი საქმის მსვლელობას. შემდგომ, შეხვედრების დროს, საქმის მსვლელობისას და პროცესზე ხშირად ვხვდებოდი ზვიად გამსახურდიას. ვიცი საქმის თითოეული დეტალი, რომელიც მოიცავს 56 ტომს და მთელი ვითარება ამ საქმესთან დაკავშირებით.

სასამართლოზე გამსახურდიას არ მოუნანიებია თავისი ძირითადი საქმიანობა, პატრიოტული და ადამიანის უფლებათა დამცველი თავისი ხასიათით, რომლებიც ასახულია მის სტატიებში ქართული ეკლესიის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე დოკუმენტებში და საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის განცხადებებში. უფრო მეტიც, სასამართლოზე მან კვლავ მოითხოვა თავისი მოთხოვნების შესრულება. სამართლიანობა ითხოვს, ავღნიშნო, რომ ნაწილი ამ მოთხოვნებისა ხელისუფლებამ შეასრულა. სასამართლოზე ზვიად გამსახურდიამ შეცდომად აღიარა მხოლოდ ზოგიერთი მასალის გამრავლება და გავრცელება, რომლებიც მის კალამს არ ეკუთვნის, მაგრამ პრესამ საქმე ისე წარმოაჩინა, რომ თითქოს იგი თავის მოღვაწეობას განუდგა. სინამდვილეში ზვიადი ლაპარაკობდა ზოგიერთ ცდომილ მოქმედებაზე. იგი ინანიებს არა როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი, არამედ როგორც გამომცემელი.

რაც შეეხება მის ტაქტიკურ უკანდახევას ზემოთ დასახელებულ თვითგამოცემით მასალებთან დაკავშირებით, ესეც აუცილებლობით იყო გამოწვეული. ზვიად გამსახურდია უკომპრომისოა თავის პატრიოტულ-უფლებათა დამცველ საქმიანობაში. მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მასალების (იგულისხმება ძირითადად HTC მასალები და „პოსევი“) გავრცელების გამო მან ტაქტიკურ უკანდახევას მიმართა.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ჩვენ, საქმის გაცნობისას, შეხვედრების დროს, ადრევე მოვილაპარაკეთ, რომ სასამართლოზე ჩემი უკომპრომისო პოზიცია (მე თავი დამნაშავედ არ ვცანი) და ზვიად გამსახურდიას ნაწილობრივი კომპრომისი ჩვენს მიერ წინასწარ შეთანხმებული და მიზანმიმართული იყო. ჩვენ მოვილაპარაკეთ აგრეთვე იმის შესახებ, რომ ზ. გამსახურდია მომავალში, გადასახლებაში, თხოვნით მიმართავდა პრეზიდიუმს განთავისუფლების შესახებ და ჩემზე ადრე დაბრუნდებოდა საქართველოში, რაც აუცილებელი იყო ჩვენი საერთო საქმისათვის. ჩვენი დანარჩენი მოთხოვნების შესრულებისათვის, აგრეთვე პატრიოტული ძალების რეგულირებისათვის. მსურს, აქვე ავღნიშნო, რომ გამსახურდიამ ეს შეასრულა და განთავისუფლების შემდეგ აგრძელებს უფლებათა დაცვით მოღვაწეობას.

ზვიად გამსახურდიას ნაბიჯს არა თუ ვამართლებ, არამედ ვთვლი აუცილებლად იმ სიტუაციაში. მსურს დავუმატო აგრეთვე, რომ გამოძიებისას მას არავინ დაუსახელებია. მისი მიზეზით არავინ გამოუძახებიათ სუკში და არავინ გაუჩხრეკიათ.

ის, ვინც სიცოცხლეს მსხვერპლად იღებს სიმართლისათვის და თავისი ხალხისათვის. მან მსხვერპლად გაიღო საკუთარი თავმოყვარეობა, რაც პირველ მსხვერპლს აღემატება. არის აგრეთვე ზოგი რამ, რაც ამჟამად არ შემიძლია ქაღალდს ვანდო, მაგრამ რომლებიც მომავალში ცნობილი გახდება.

მე ვთხოვ საზოგადოებას ნუ ენდობიან დეზინფორმაციას, რომლის გავრცელებას ხელი შეუწყო პრესამ და ზოგიერთმა მოტყუებულმა და დეზინფორმირებულმა პირმა.

მერაბ კოსტავა
მაისი, 1987 წ.
ჟურნალი „კარდუ“ N2 2000
რედაქტორი ირინე ტალიაშვილი





საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
საქართველოს გაეროს წევრად მიღების გამო

ბოლო დროს თბილისის ნეოკომუნისტურმა ხუნტამ შექმნა დიდი აჟიოტაჟი საქართველოს გაეროს წევრად მიღებასთან დაკავშირებით.

ხუნტის პროპაგანდისტული საშუალებები საქმის არსს ისე წამოაჩენენ, რომ თითქოსდა საქართველოს ცნობა სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ წარმოადგენდეს უშუალოდ შევარდნაძის დამსახურებას, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წყალობით საქართველო იყო თვითიზოლაციაში, რომლიდანაც იგი თურმე შევარდნაძემ გამოიხსნა.

დავიწყოთ იმით, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა იქნა ცნობილი და მათ შორის აშშ-მა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ სამხედრო გადატრიალებამდე, ე. ი. კანონიერი ხელისუფლების არსებობის დროს. მანამდე კი საქართველოს იზოლაციას და ბლოკადას ახორციელებდა მოსკოვი იგივე შევარდნაძის მონაწილეობით.

რაც შეეხება გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) წევრად საქართველოს დაგვიანებით მიღებას, ამასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. საქმე ისაა, რომ რუსეთი, რომელიც არის უშიშროების საბჭოს წევრი და აქვს ვეტოს უფლება, წინააღმდეგი იყო საქართველოს გაეროში შესვლისა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" საკითხის მოუწესრიგებლობის გამო. რუსეთის აზრით, საქართველოს უნდა დაეთმო აღნიშნული ტერიტორია, დათანხმებულიყო ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსს და მის რუსეთთან შეერთებას. დაგომისის შეხვედრაზე ეს საკითხი ღიად იქნა დატოვებული.

ამიტომაც იყო რუსეთი საქართველოს გაეროში შესვლის წინააღმდეგი.

დაგომისის შეხვედრის შემდეგ რუსეთის გეზი მკვეთრად შეიცვალა, ვინაიდან საქართველოს უკანონო რეჟიმი, რომელიც ადრე ღიად აცხადებდა რუსეთის აგრესიის შესახებ სამაჩაბლოში, მოულოდნელად დათანხმდა იგივე აგრესორის ჯარების ოსი ექსტრემისტების

ფორმირებებთან ერთად შეყვანას, რომელსაც შეთანხმებაში „სამშვიდობო ძალების“ სახე მიეცა. სწორედ ამან შეუწყო ხელი შიდა ქართლის ფაქტიურ მოწყვეტას საქართველოსგან. თუმცა, შეთანხმებებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, დაგომისის შეთანხმებას გააჩნია საიდუმლო პუნქტები, სადაც შიდა ქართლის ტერიტორია აღიარებულია რუსეთის ტერიტორიად.

ამ მიზეზით რუსეთმა გადასინჯა თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და მოხსნა ვეტო გაეროში მის შესვლაზე.

საქართველოს გაეროში შესვლის მეორე დაბრკოლებას წარმოადგენდა, აფხაზეთის პრობლემა. რუსეთის აზრით, აფხაზეთი უნდა გამოეყოს საქართველოს და უნდა მოხდეს მისი სუვერენიტეტის ცნობა. ყოველივე ეს იყო განხორციელებული მიმდინარე წლის 23 ივლისს აფხაზეთის პარლამენტის მიერ ანტიკონსტიტუციური აქტების მიღებით. აფხაზეთის საკითხი ეტყობა წარმოადგენდა დაგომისის საიდუმლო ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტს. ცხადია, რომ ორივე მხარის შეთანხმებით საქართველო ჯერ-ჯერობით დე-ფაქტოდ სცნობს ამ უმნიშვნელოვანესი ტერიტორიის დაკარგვას და არა იურდიულად, მითუმეტეს რომ საქართველოში ჯერჯერობით არის უკანონო მთავრობა. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის გაუქმება, რაც ეჭვგარეშე იყო განხორციელებული რუსეთის დავალებით, წარმოადგენდა ზემოთქმულის პრელუდიას.

როგორც ვხედავთ, შევარდნაძემ საოცრად მცირე ვადაში, სულ ოთხ თვეში მოახერხა საქართველოს დაშლა, რითაც განახორციელა იმპერიის დავალება.

ასე რომ თბილისში რესპუბლიკის მოედანზე უნდა ჩატარებულიყო არა დღესასწაული და ზეიმი არამედ სამგლოვიარო მიტინგი, რადგანაც არცერთ საღად მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია იზეიმოს საქართველოს გაეროში შესვლა მისი დაშლისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, უმნიშვნელოვანესი ტერიტორიების მოკვეთის ფასად.

რაც შეეხება გაეროს, მან ვერ შესძლო თავისი პრინციპებისადმი ერთგულების დაცვა, რადგანაც მხარი დაუჭირა აგრესორს - რუსეთს და მხოლოდ მისი პირობების შესრულების შემდეგ მოხდა საქართველოს გაეროში მიღება, ნაცვლად იმისა რომ დაეცვა სახელმწიფო - აგრესიის მსხვერპლი და მისი ტერიტორიული მთლიანობა. ამით გაერომ კიდევ ერთხელ დაარღვია თავისი წესდება, უგულებელყო რა ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ამასთან, არ არსებოს არავითარი ნიშანი იმისა, რომ გაერო მოითხოვს ხუნტისაგან ქვეყნის შიგნით ძალადობისა და ტერორის შეწყვეტას, რადგანაც აქამდე არ თქმულა არცერთი სიტყვა იმ ტერორზე და გენოციდზე, რომელსაც ატარებს ხუნტა საქართველოში ბოლო შვიდი თვის მანძილზე.

გაერო ხედავს, რომ ამ გენოციდის ტერორის უკან დგას რუსეთი, ამიტომ რეაქცია იქნება ისეთივე ინდიფერენტული, როგორც კამპუჩიის, ავღანეთის, იუგოსლავიის, ანდა დნესტრისპირეთის და ყარაბახის შემთხვევაში.

გაერო ყოველთვის უჭერდა მხარს ძლიერ სახელმწიფოებს, ე. წ. ზესახელმწიფოებს და თვალს ხუჭავდა მათ იმპერიალისტურ და აგრესიულ პოლიტიკაზე, არასდროს იცავდა მცირე ხალხებს მსოფლიო იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან. უფრო მეტიც, რუსეთის ჯარები გაეროს ეგიდით აგრძელებდნენ სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევას, როგორც მაგალითად იუგოსლავიაში და ყარაბახში. გაერო ვერ დაეხმარება საქართველოს.

ჩვენი გადარჩენა მხოლოდ ჩვენი საკუთარი ხალხის ხელში და საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციაშია.

„ქართული აზრი"
28 აგვისტო, 1992 წელი

ზვიად გამსახურდიას წერილი ჯეიმს ბეიკერს

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიერ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის სახელზე გაგზავნილ წერილს „ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი" აქვეყნებს. წერილი 1991 წლის 12 დეკემბრით თარიღდება და ის, 26 წლის განმავლობაში შეერთებული შტატების საარქივო ფონდებში იყო დაცული. დოკუმენტმა დღის სინათლე მას შემდეგ იხილა, რაც IDFI-ის თხოვნით პარტნიორმა ორგანიზაციამ, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებულმა ეროვნული უსაფრთხოების არქივმა, 2010 წელს გამოითხოვა და IDFI-ს გადასცა აშშ-ის საარქივო ფონდებში დაცული დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. როგორც IDFI-ში აცხადებენ, ეს წერილი პასუხია იმ კრიტიკასა და ბრალდებებზე, რომელსაც თეთრი სახლის ადმინისტრაცია გამოთქვამდა პრეზიდენტ გამსახურდიას მიმართ.

ასევე სავარაუდოდ, პრეზიდენტ გამსახურდიას მიმართვა არის პასუხი აშშ-ის იმ საპროტესტო ნოტაზე (დემარშზე), რომელიც 1991 წლის 23 ნოემბერს ჩაბარდა საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს მოსკოვში და სადაც საუბარი იყო საქართველოში არსებულ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაზე.

ზვიად გამსახურდიას წერილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს, 12 დეკემბერი 1991:

„თქვენო აღმატებულებავ, უკვე მეორედ აშშ-ის საელჩო მოსკოვში, პასუხობს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზ. გამსახურდიას მიმართვას თქვენდამი. ჩვენ ამას ვხსნით, თქვენი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მშვიდობის გზების ძიებაში სრული ჩართულობით, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში. თუმცა მტკიცედ გვჯერა, რომ შეუქცევადი ისტორიული პროცესების შედეგად, თქვენი და საერთაშორისო ყურადღება გადმოინაცვლებს კავკასიის რეგიონისკენ, რომელიც გეოგრაფიულად ესაზღვრება ახლო აღმოსავლეთს და სადაც ხანგრძლივი იმპერიული პოლიტიკის შედეგად, ჩვენ მივიღეთ არანაკლებ დაძაბული და ფეთქებადსაშიში ვითარება. კავკასიის რეგიონის ქვეყნებმა უკვე გამოაცხადეს თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და პარადოქსულია, რომ იმპერიული ცენტრი ცდილობს ითამაშოს მათ შორის ნეიტრალური არბიტრის როლი. ეს არის ის ცენტრი, რომლის დეზინტეგრაციას შეერთებული შტატების მთავრობა ასე ძლიერ ეწინააღმდეგება. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ არც ერთ ხელისუფლებას ან პოლიტიკურ ლიდერს არ შეუძლია ამ ისტორიული პროცესის უკან შემოტრიალება.

თქვენს წერილში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატების მთავრობა კმაყოფილია იმ ფაქტით, რომ საქართველოში პოლიტიკური ვითარება დამშვიდდა და ძალის გამოყენების საფრთხემ დიდად იკლო. ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, რომ ეს დიდწილად საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის უნარის დამსახურებაა, ჩაეტარებინა მოლაპარაკებები, დიალოგისა და კომპრომისის საფუძველზე შეიარაღებულ ოპოზიციასთან, რომელიც ლეგიტიმური და დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყანა ასეთ ელემენტებს შეიარაღებული ძალებით დაუპირისპირდებოდა.

ჩვენ გვსურს გაცნობოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ე. წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონში პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებში, როგორც წესი, მოიხსენება, მსგავს მშვიდობიან მიდგომას იყენებს. ეს კონფლიქტი, თავად ოსებისვე განცხადებით, არის პოლიტიკური და არა ეთნიკური. ნიშანდობლივია, რომ ოსები არ აპროტესტებენ ქართველების მხრიდან დისკრიმინაციას, არამედ სურთ, რომ ძირძველი ქართული ტერიტორია გააერთიანონ ახალ საბჭოთა კავშირთან, ან რუსეთის ფედერაციასთან და ამ მიზნისთვის საკუთარ და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს იყენებენ. ეს ეწინააღმდეგება თქვენს წერილში გამოთქმულ, არსებული საზღვრების ძალისმიერი გზებით შეცვლის მიუღებლობის პრინციპს.

წერილში ნახსენებია ქართველების მიერ მოკლული ოსები, თუმცა წერილი არაფერს ამბობს იმ ქართველებზე, რომლებიც მოკლული, ბარბაროსულად ნაწამები და დასახიჩრებულნი იყვნენ ოსების მიერ; არაფერია ნათქვამი 20 ათას ადამიანზე, რომლებიც ოსი ექსტრემისტების დამსახურებით საკუთარ ქვეყანაში დევნილებად იქცნენ, არაფერია ნათქვამი საბჭოთა არმიის მიერ დაბომბილ ქართულ სოფლებზე: ნიქოზზე, ერედვზე და ა.შ. და იმ ავღანურ ტაქტიკაზე, რომელსაც საბჭოთა შინაგანი ჯარი იყენებს მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში, ე. წ. სამხრეთ ოსეთის (სინამდვილეში სამაჩაბლო) ქართული მოსახლეობა იძულებულია დაიცვას თავისი მიწა და ინტერესები. თუმცა, ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტას ვემხრობით.

რაც შეეხება თქვენს წუხილს ოპოზიციის დაკავებულ ლიდერებზე, გვსურს აღვნიშნოთ, რომ როგორც სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებში, საქართველოში გვყავს ლეგალური საპარლამენტო ოპოზიცია. მას აქვს ყველანაირი შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი აზრი, რომელიც სახელისუფლებოსგან განსხვავდება, არა მარტო პარლამენტში, არამედ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში. მეორეს მხრივ, თქვენს წერილში დასახელებული პიროვნებები წარმოადგენენ შეიარაღებულ კრიმინალურ დაჯგუფებებს, რომლებიც არ სცნობენ რესპუბლიკის კონსტიტუციასა და ხელისუფლებას და უარს აცხადებენ პოლიტიკურ პარტიათა კანონის შესაბამისად, დარეგისტრირდნენ პოლიტიკურ პარტიად. სადავო არ უნდა იყოს, რომ ჩვენი პოზიცია ანალოგიურია ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის მთავრობის პოზიციისა. ბატონები გ. ჭანტურია და გ. ხაინდრავა დაპატიმრებულნი იქნენ არა მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო, არამედ მასობრივი არეულობისა და შეიარაღებული ექსცესების ორგანიზებისთვის, რომელიც ყველგან კრიმინალურ ქმედებად განიხილება (ამ პიროვნებების მიერ სახელმწიფო უწყებებზე ორგანიზებულ თავდასხმებს რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა).

გვსურს გაცნობოთ, რომ მოვლენები საბჭოთა კავშირში მეტ-ნაკლებად მსგავსი სცენარით მიმდინარეობს. რეალობაში ეს ნიშნავს იმპერიის მიერ რესპუბლიკებში ჩადებული ნელი მოქმედების პოლიტიკური და ეთნიკური ნაღმების გააქტიურებას. სამწუხაროდ, ჩვენ კვლავ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ საქართველო იყო პირველი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც ჩაატარა დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნები და ჩამოაყალიბა დემოკრატიული სახელმწიფო უწყებები. ზემოთ თქმულიდან ცალსახაა, რომ თქვენი მოთხოვნების კავშირი საქართველოში არსებულ ობიექტურ რეალობასთან, არაადეკვატურია.

სამწუხაროა, რომ თქვენი მცდელობები, საქართველოზე ეკონომიკური გავლენა მოახდინოთ, იდენტურია ცენტრისა და ე. წ. დემოკრატიული რუსეთის, რომელსაც არ შეუძლია თქვას უარი იმპერიულ ამბიციებზე.

და ბოლოს, ჩვენ გვჯერა, რომ უმოკლესი გზა ზემოთ ხსენებული პრობლემების მოსაგვარებლად, არის საქართველოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობა, რომელიც გარდაუვალს გახდის ჰელსინკის საბოლოო აქტის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და პარიზის ქარტიის პრინციპების საქართველოში რეალიზაციას. იგივე შეიძლება ითქვას უსაფრთხოების პრობლემებზე, კერძოდ, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების საკითხები. როგორც მოგეხსენებათ პირველი წერილიდან, საქართველოს შეუძლია მხოლოდ ფორმალურად შეუერთდეს ამ ხელშეკრულებებს და შესაბამისად, მისი ვალდებულება საერთაშორისო საზოგადოებისადმი ფორმალურია.

თუმცა ჩვენი სწრაფვა, რომ კავკასია ბირთვული იარაღისგან თავისუფალ ზონად გამოცხადდეს, ეჭვის ქვეშ არ უნდა დადგეს. აშშ-ის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, რა თქმა უნდა, გადაწყვეტდა ამ პრობლემებს. შეერთებულ შტატებს, თავის მხრივ, მეტი შესაძლებლობა ექნებოდა კავკასიის რეგიონში ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების ასპექტებზე გავლენის მოხდენისა. ნება მომეცით, აგრეთვე დაგარწმუნოთ, რომ ეს იქნება შიდა სტაბილურობის, ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საქართველოს, დანარჩენი მსოფლიოსადმი ვალდებულებების, განმტკიცების გარანტია. ჩვენ, დასაშვებად მიგვაჩნია საქართველოში ამერიკელ დამკვირვებელთა გამოგზავნა, რომლებიც საკმარისად დიდი დროით დარჩებიან, რათა შეაფასონ რეალური სიტუაცია ზემოთ მოყვანილ სფეროებში. ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, რომ ეს შესაძლებლობას მოგცემთ არ გქონდეთ დამახინჯებული ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაზე, რომელსაც იმპერიული მედია და დღევანდელი საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური ოპონენტები გაწვდიან თქვენ.

თქვენო აღმატებულებავ, მე კვლავ ვიყენებ ამ შესაძლებლობას, რათა მოგიწვიოთ თქვენ, ან ადმინისტრაციისა და კონგრესის ნებისმიერი წარმომადგენელი, ნებისმიერი პრობლემის განსახილველად და ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების გზების დასაგეგმავად".

გადავარჩინოთ უცნობი საამაყო ისტორია

ქართული არმია გენერალ მუხრანბატონის მეთაურობით მოსკოვის მისადგომებთან

ისტორიული ფაქტების მოძიება-დადგენა შრომატევადი და რთული საქმე რომ არის, არახალია. მით უმეტეს, თუ საქმე ეხება მეხუთე, გნებავთ, მეათე, ან მეთხუთმეტე საუკუნეებს. დრო, საომარი მოქმედებებისგან დაკარგულ-განადგურებული არქივები, მემატიანეთა მიკერძოება და მრავალი სხვა დაბრკოლების გამო, ჭირს ამა თუ იმ მოვლენის რეალური სურათის გადმოცემა. სულ რაღაც ასი წლის წინ მომხდარი ფაქტების აღდგენა თითქოს არ უნდა იყოს ძნელი, მაგრამ თურმე ასე არ ყოფილა: საბჭოთა კავშირში მოქმედი პოლიტიკის თანახმად, ნადგურდებოდა ისეთი საარქივო დოკუმენტები, რომლებში დაცული ინფორმაციაც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

ჩვენი ვალია გადავარჩინოთ უცნობი საამაყო ისტორია!

ასეთთა კატეგორიაში მოხვდა 1918 წელს დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს მიერ მოწყობილი სამხედრო კამპანიებიც რუსეთის წინააღმდეგ.

ქართული კავალერია სოჭში 1918 წელს

1918-21 წლების საქართველოს I რესპუბლიკის ისტორია საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და რუსეთიდან გასვლის შემდეგ განსაკუთრებით პოპულარულია და მასზე ბევრი მკვლევარი-ისტორიკოსი მუშაობს. ისინი იყენებენ ამ წლებში მოღვაწე პიროვნებათა მემუარებს, წერილებს, საარქივო დოკუმენტებს ქართული, თურქული,

სომხური, აზერბაიჯანული, თუ რუსული არქივებიდან, ასევე იკვლევენ დასავლეთევროპულ და ამერიკულ არქივებსაც 1918-21 წლების საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის შესასწავლად.

ისტორიაში, ასე თუ ისე, მოიპოვება ცნობები გენერალ გიორგი მაზნიაშვილის წარმატებული ლაშქრობის თაობაზე აფხაზეთის მიმართულებით, როდესაც მან სოჭამდე მიაღწია. თუმცა, ყველაზე მასშტაბური ლაშქრობა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან დაიწყო და გენერალ რევაზ მუხრანბატონის მეთაურობით რუსეთის ცენტრში შეჭრა მოჰყვა, ისტორიის ფურცლებიდან დიდი ხანია ამოშლილია. დროთა განმავლობაში მიმდინარეობდა მიზანმიმართული წმენდა საარქივო დოკუმენტების, მემუარებისა და წერილების, რომლებიც ამ სამხედრო კამპანიის მონაწილეებმა დატოვეს.

ლენინის ბრძანებით, საარქივო დოკუმენტები, მემუარები და პირადი წერილები, რომლებიც ამ სამხედრო კამპანიის მონაწილეებმა დატოვეს, პირწმინდად გაანადგურეს!

იგივე ბედი ეწია ვლადიკავკაზის, ყაზანის, დნეპროპეტროვსკისა და თბილისის არქივებში დაცულ მასალებსაც. ბოლშევიკები ყველანაირად ცდილობდნენ გაენადგურებინათ გენერალ რევაზ მუხრანბატონის მიმოწერა გიორგი მაზნიაშვილთან, ცნობები მისი და ნოე ჟორდანიას შეხვედრის შესახებ, გენერალ იგორ ხორთუმოვის მემუარები და საბოლოოდ ეს თითქმის შეძლეს კიდეც.

ბოლო წლებში აქტიური კვლევითი მუშაობის შედეგად, საკმაოდ ბევრი მასალის მოგროვება მოხერხდა, რომლითაც შეიძლება აღვადგინოთ ამ ომის მსვლელობა და საქართველოს ისტორიაში ახალი ფურცელი შევავსოთ. როგორც ჩანს XX საუკუნის ისტორიაც კი, რომელიც ასეთი ახლობელი ჩანს, ძალიან ბევრ საიდუმლოს შეიცავს და ჯერ კიდევ მრავალი ფაქტია ჩვენთვის უცნობი.

სტატიის მომზადებისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით კალუგის გუბერნიის (Государственный архив Калужской области), ვლადიკავკაზის (Центральный государственный архив Республики Северная Осетия), როსტოვისა (Государственный архив Ростовской области) და ერევნის არქივებში (Национальный Архив Армении) არსებული მცირედი ცნობებით, ძირითადად კი ნოე ჟორდანიას, რევაზ მუხრანბატონისა და გიორგი მაზნიაშვილის პირადი მიმოწერითა და გენერალ იგორ ხორთუმოვის მემუარების ფრაგმენტებით („Мемуары Генерала Игоря Хортумова", Ереван, 1922), რომელიც აბსოლუტურად ადასტურებს ამ სამხედრო კამპანიის ისეთ განვითარებას, როგორის აღდგენის საშუალებასაც საარქივო მასალა გვაძლევს.

ბრესტის ზავის დადების შემდეგ, ოსმალეთის იმპერიამ დაიკავა ბათუმი და შეიჭრა გურიაში. მდინარე ჩოლოქთან ბრძოლაში, გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა მოახერხა მათი წინსვლის შეჩერება. მალევე ის დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად, პარალელურად კი გენერალი რევაზ მუხრანბატონი იბრძოდა სამაჩაბლოში, ამ ტერიტორიის ბოლშევიკებისაგან გასაწმენდად და კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დასაბრუნებლად. ისევე როგორც გიორგი მაზნიაშვილი, რევაზ მუხრანბატონიც წარმატებით უძღვებოდა საქმეს. ბაგრატიონთა ოჯახის მიერ ესპანეთსა და რუსეთში შემონახული მასალების მიხედვით, რევაზ მუხრანბატონი იყო ერეკლე II-ს უკანონო ვაჟის შთამომავალი, რომელმაც სამხედრო კარიერა აირჩია, რუსეთში განათლება მიიღო და იაპონიასთან ომის დროს უკვე პოლკოვნიკის, I მსოფლიო ომში კი გენერალ-მაიორის წოდება ეკავა. 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რევაზ მუხრანბატონმა გენერლის წოდება ახლა უკვე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობისაგან მიიღო. მალე მისი სამხედრო ნაწილები, რომლებიც ძირითადად კახეთში, ქიზიყში შეკრებილი მოხალისეებისაგან შედგებოდა, როკის უღელტეხილის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა და მტრის ტერიტორიაზე გადაიტანა სამხედრო მოქმედებები.

გიორგი მაზნიაშვილი ამ დროს შეტევას ამზადებდა აფხაზეთის მიმართულებაზე. მისი და რევაზ მუხრანბატონის ლაშქრობები ერთსა და იმავე დროს უნდა დაწყებულიყო და სავარაუდოდ ასეც მოხდა, თუმცა საარქივო მასალა ამის ზუსტად დადგენის საშუალებას არ იძლევა და იძულებულები ვართ ეს დეტალი იგორ ხორთუმოვის გადმოცემის მიხედვით აღვნიშნოთ.

გენერალი იგორ ხორთუმოვი თავის მემუარებში წერს:

„15 სექტემბერს, ჩვენმა დაზვერვამ გენერალ დენიკინს შეატყობინა როკის უღელტეხილზე ქართული შენაერთების გადმოსვლის შესახებ, ფსკოვისა და სარატოვის IV და VII დივიზიები 17 სექტემბერს ვლადიკავკაზისაკენ გადავისროლეთ, რათა გენერალ დენიკინს თავდაცვითი ხაზი შეექმნა მათი შეტევის მოსაგერიებლად" (Мемуары Генерала Игоря Хортумова, ст. 105). როგორც საარქივო დოკუმენტებით ხდება ცნობილი, რევაზ მუხრანბატონს ანტონ დენიკინის ძალებზე გამანადგურებელი შეტევა მიუტანია და გადამწყვეტ უპირატესობას დაუფლებია. განსაკუთრებით თავი გამოუჩენია ქიზიყელ მხედართა რაზმს და არტილერიის პოლკოვნიკ ლადო აფხაზს, რომელსაც „არტილერიის მეფეს" ეძახდნენ. ამ უკანასკნელის შესახებ 1921 წლის ომსა და ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების პერიოდის მასალებიდანაც გვაქვს ინფორმაცია.

დენიკინის არმიამ უკან დაიხია და რევაზ მუხრანბატონმა წინსვლა განაგრძო და მცირემასშტაბიანი შეტაკებების შემდეგ დაიკავა ვლადიკავკაზი. რადგან ბოლშევიკთა სამხედრო ნაწილები ამ დროს ან თეთრ არმიას ებრძოდნენ, ან პოლონეთის მიმართულებაზე იდგნენ, რევაზ მუხრანბატონის არმიას განსაკუთრებული წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. ვოლგოგრადის აღების შემდეგ, ის დაიძრა ვორონეჟისაკენ, სადაც უკვე 1918 წლის 5 ოქტომბერს იყო. ამის შესახებ ცნობას კვლავ იგორ ხორთუმოვის მემუარებიდან ვიღებთ (Мемуары Генерала Игоря Хортумова, ст. 120). ამ დროისათვის გენერალ იგორ ხორთუმოვის IV არმია მზად იყო მოსკოვისაკენ გზა გადაეჭრა რევაზ ბაგრატიონის სამხედრო ნაწილებისათვის რიაზანთან.

გენერალ იგორ ხორთუმოვის დოსიე განადგურებულია, ისევე როგორც გენერალ ანტონ დენიკინის დოსიედან კონკრეტულად ვლადიკავკაზთან გამართული ბრძოლის აღნიშვნა, როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა დროს ამ ფაქტის მიჩქმალვას ცდილობდნენ და ეს სწორედ ამის შედეგია. ხორთუმოვის შესახებ მისივე მემუარებიდან ვიგებთ.

იგორ ხორთუმოვი იყო წარმოშობით სომეხი, ცნობილი გვარის შვილი. სამხედრო განათლება მიღებული ჰქონდა რუსეთში და შემდეგ საფრანგეთში, რის შემდეგაც მას არმიაში ხუმრობით „მსუქან ნაპოლეონს" ეძახდნენ. ხორთუმოვი წარმატებით იბრძოდა I მსოფლიო ომში, სადაც მონაწილეობა მიიღო „ბრუსილოვის გარღვევაში" და ტყვედ იგდო ორი ავსტრო-უნგრული

დივიზია. მანამდე ის მონაწილეობდა იაპონიასთან ომში, პორტ არტურთან დაიჭრა კიდეც და მას შემდეგ ცალი ფეხით კოჭლობდა. ერთადერთი რეალური სამხედრო ძალა, ვისაც შეეძლო მაშინ რევაზ მუხრანბატონის არმიისათვის გზა გადაეჭრა, სწორედ ხორთუმოვის IV არმია გახლდათ. ხორთუმოვმა რიაზანთან სანგრების მთელი რიგი შექმნა და დამატებით რამდენიმე ბუნკერიც ააგებინა, რათა ძლიერ თავდაცვით პოზიციაზე დახვედროდა მოწინააღმდეგეს. მის ხელთ იყო 10 საბრძოლო ტანკიც. ეს იარაღი იმ დროისათვის სიახლეს წარმოადგენდა სამხედრო ხელოვნებაში, რევაზ მუხრანბატონი კი ამ შესაძლებლობებს მოკლებული იყო, თუმცა მის არმიას უფრო მაღალი საბრძოლო სულისკვეთება ჰქონდა, რადგან ხორთუმოვთან ბრძოლამდე მთელ რიგ გამარჯვებებს მიაღწია.

ქართველ კავალერისტთა შეტევა დუტუ აფხაზის მეთაურობით

რევაზ მუხრანბატონს ამ დროისათვის საქართველოს მთავრობის თავჯდომარესთან, ნოე ჟორდანიასთან ჰქონდა აქტიური მიმოწერა. სოციალ-დემოკრატები არცთუ დადებითად იყვნენ განწყობილები სამხედროების მიმართ და მათში საფრთხეს ხედავდნენ. რიაზანზე უფრო შორს გაჭრა და მოსკოვზე დარტყმის მიყენება კი ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის აზრით რევაზ მუხრანბატონს გზას გაუხსნიდა ძალაუფლების მოპოვებისაკენ. მათ უკვე ჰქონდათ ხელთ ჯაშუშთა ქსელისაგან მიღებული მონაცემები, რომლებშიც აშკარად იყო აღნიშნული, რომ რევაზ მუხრანბატონი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ს შთამომავალი გახლდათ და შეეძლო პრეტენზია გამოეცხადებინა საქართველოში მონარქიის აღდგენაზე. მიუხედავად ამისა, მომავალ ბრძოლას მათ ხელი ვერ შეუშალეს და რიაზანის მახლობლად, მდინარე ოკასთან, მოსკოვიდან 180 კილომეტრის დაშორებით, ხორთუმოვისა და მუხრანბატონის არმიები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. აი რას წერდა ბრძოლის წინ გენერალი იგორ ხორთუმოვი თავის ვაჟს: „არტურ, ხვალ დილით დიდი ბრძოლა დაიწყება, IV არმია პოზიციებზეა განლაგებული და ველოდებით გენერალ მუხრანბატონის შემოტევას. გამარჯვების შემდეგ, ერთ კვირაში მოსკოვში ჩამოდი და მეც იქ ვიქნები"(15 ოქტომბერი, 1918 წ.(Дела генерала Игоря Хортумова, Государственный архив Калужской области, N16). 1918 წლის 16 ოქტომბერს, გამთენიის 5 საათზე, ხორთუმოვის არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა მუხრანბატონის არმიის მარცხენა ფლანგს. რევაზ მუხრანბატონმა ჯარის დიდი ნაწილი და ქიზიყელთა ცხენოსანი რაზმები ცენტრში განალაგა, პოლკოვნიკ ლადო აფხაზს ხორთუმოვის არტილერიისთვის საპასუხო ცეცხლის გახსნა უბრძანა, თავად კი ბრძოლის წინა ხაზზე გაიჭრა ცხენზე ამხედრებული — თავზე მეფე ერეკლე II-ის ქუდით! მეომრების გასამხნევებლად უკეთესი ხერხის მოფიქრება შეუძლებელი იყო. მეფე ერეკლეს საყვარელმა ქიზიყელებმა ლამის დაიჯერეს, რომ წინ პატარა კახი მიუძღოდათ

და გულმოცემულები ცენტრში შეიჭრნენ, დაარტყეს და გადაუარეს მტრის სანგრებს. მალე ბრძოლის ყველა უბანზე შეტაკება IV არმიის მარცხით დასრულდა, ხოლო გენერალი იგორ ხორთუმოვი, რომელიც გაქცევას ლამობდა, ტყვედ ჩავარდა. თუმცა მანამ მოასწრო და პოლკოვნიკ ლადო აფხაზის ვაჟი, ქიზიყელთა კავალერიის მაიორი დუტუ აფხაზი მოკლა შაშხანით, რომელიც წინა რიგებში იბრძოდა. რევაზ მუხრანბატონმა რიაზანის თავზე თავისი დროშა - წითელ ფოზე გამოსახული ერეკლე II აღმართა.

იგორ ხორთუმოვი, რომელიც ცნობილი იყო როგორც ქართველთა დიდი მტერი და განსაკუთრებული სისასტიკით ხოცავდა ტყვეებს. ლადო აფხაზმა სასტიკად დასაჯა შვილის მკვლელი და ქართველთმოძულე ხორთუმოვი. მისი ვაჟის, არტურის ერთი ჩანაწერის მიხედვით, ის ზარბაზნის ლულაზე მიაბეს ზურგით და ზარბაზანი კავკასიონისაკენ მოაბრუნეს. იგორ ხორთუმოვმა შორს დაინახა არარატის მთა და აღმოხდა: „ო რა დიდი ხარ შე ოჯახაშენებულო ("Дела Артура Хортумова, Национальный Архив Армении", N14). ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო. ლადო აფხაზმა ზარბაზანი გაისროლა და თავისი ვაჟის მკვლელს წირვა გამოუყვანა. რევაზ მუხრანბატონმა თავისი არმიის დივიზია რიაზანში დატოვა, დანარჩენი ნაწილებით, ორი დივიზიით, პირდაპირ მოსკოვისაკენ დაიძრა. მას თან მიჰყავდა 4000 რუსი ტყვე და მიჰქონდა 72 ზარბაზანი, რომლითაც უნდოდა მოსკოვის ცენტრალურ ქუჩებზე აღლუმი მოეწყო. 180 კილომეტრი მათ რამდენიმე დღეში დაფარეს და ოქტომბრის ბოლოსათვის უკვე ცარიცინთან იყვნენ. გენერალმა გადაწყვიტა მდინარე მოსკოვი გადაელახა და კიტაი გოროდისაკენ აეღო გეზი, მაგრამ ჯერჯერობით ცარიცინთან დაბანაკდა. მოსკოვი მოსახლეობის დიდი ნაწილისაგან დაცლილი იყო. ბოლშევიკურმა რეჟიმმა სმოლენსკისაკენ დაიხია უკან. ქართული ნაწილები ცარიცინში შევიდნენ. სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია საკმარისი დოკუმენტური მასალა ამ მოვლენების ზუსტი აღდენისათვის, მაგრამ არსებული დოკუმენტების მეშვეობით აშკარაა, რომ გენერალმა მუხრანბატონმა შეძლო დაეკავებინა რუსეთის ცენტრი. რამდენიმე დღეში ფრონტის ხაზზე ჩავიდა საქართველოს მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია. საფრანგეთში, ლევილში შემონახული წერილების მიხედვით (Leuville-sur-Orge), რევაზ მუხრანბატონსა და ნოე ჟორდანიას შორის შედგა 2 საათიანი საუბარი, რომელზეც ნოე ჟორდანიამ კატეგორიულად მოითხოვა რუსეთიდან უკან დახევა და ჯარის საქართველოში დაბრუნება. ის მიიჩნევდა, რომ ამ დროისათვის რუსეთის შენარჩუნებას ვერ შეძლებდნენ და ამავე დროს უფრთხოდა გენერალ რევაზ მუხრანბატონის გავლენის ზრდას. შესაძლოა, ეს არგუმენტი საკმაოდ მყარიც იყო, მაგრამ, სავარაუდოდ, ჟორდანიასა და ზოგადად იმ დროის ხელისუფალთ, უფრო მუხრანბატონის პოპულარობისა და მისი მონარქისტული ამბიციებისა შეეშინდათ, ემანდ, ერეკლეს შთამომავალმა მეფობა არ მოინდომოსო. სავსებით შესაძლებელი იყო ხალხს მისი მხარე დაეჭირა და სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ გამოსულიყო, რომელიც არცთუ ისე პოპულარული იყო ფართო მასებში. ჩვენ არ ვიცით დეტალურად როგორ მოხდა მოვლენების შემდგომი განვითარება, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ რევაზ მუხრანბატონი ჩამოშორდა სამხედრო პოსტს და საქართველოში დაბრუნდა, ჯარი კი ცარიცინიდან და რიაზანიდან გამოიყვანეს და თბილისში დააბრუნეს. ასე დასრულდა ქართველთა ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი სამხედრო მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ, რომლის დროსაც თავისუფლად შეიძლებოდა ქართველებს მოსკოვის დაკავების საშუალებაც მისცემოდათ. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა თუ რაოდენ სასარგებლო იქნებოდა რევაზ მუხრანბატონის სარდლობაში დატოვება და რუსეთის წინააღმდეგ მისი გამოყენება, მაგრამ მაგრამ, როგორც ცნობილია, თვალსაჩინო ქართველ გენერალს სამხედრო სამსახურისთვის თავი დაუნებებია, მისი შემდგომი ბედი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, საგულდაგულოდაა წაშლილი ისტორიიდან. ასე დასრულდა ქართველთა პირველი და უკანასკნელი ფართომასშტაბიანი ლაშქრობა რუსეთის ტერიტორიაზე. რაც შემდეგ მოხდა, ყველასთვის ცნობილია. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებამ კარგა ხნით დაგვაკარგინა ეამოუკიდებლობაზე ფიქრის უფლებაც კი.

მარადიული ხსოვნა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირებს!

2018 წლის 23 ივნისს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" პრეზიდიუმის ინიციატივით, რაჭაში, ონის რაიონის ყველაზე მაღალ სოფელში - წედისში, მოეწყო თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას პირადი მდივნისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მდივნის, საქართველოს გმირის, ქალბატონი ლალი მაისურაძის ხსოვნას.

როგორც ცნობილია, ქალბატონი ლალი მაისურაძე, რომელიც იმ პერიოდში, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სპეციალური სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებით მივლინებული იყო დასავლეთ საქართველოში, ვერაგულად იქნა მოკლული ხუნტისა და ქვეყნის მოღალატეთა მიერ.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" პრეზიდიუმისა და კავშირის რაჭის რეგიონალური ორგანიზაციის წევრებმა სოფელ წედისში მოინახულეს იმ დროიდან დარბეული და სრულიად დანგრეული საქართველოს გმირის, ქალბატონი ლალი მაისურაძის სახლი და კარ-მიდამო, ხოლო შემდგომ სოფლის სასაფლაოზე მისი საფლავი, სადაც დადგეს მემორიალური დაფა შესაბამისი წარწერით.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წევრებმა ნუკრი ბაღდავაძემ, ნოდარ კიკნაძემ, ქეთევან შარაბიძე-აგლაძემ, თორნიკე ამაშუკელმა და რატი გაგოშიძემ ლალი მაისურაძის საფლავზე განათავსეს მემორიალური ქვა შესაბამისი წარწერით. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და თანამებრძოლთა სახელით ლოცვებით მოიხსენიეს და პატივი მიაგეს საქართველოს გმირის, ქალბატონი ლალი მაისურაძის ხსოვნას!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების"
თავმჯდომარე 1913–1917 წლებში,
ამჟამად, კავშირის პრეზიდიუმის წევრი

ლალი მაისურაძე

1993 წელის 31 მარტს, გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ გამოქვეყნებულ მოსაგონარში ვწერდი: „საქართველოსათვის სამტროდ ნასროლმა ტყვიამ ბევრი ღირსეული მამულიშვილის გულში გაიარა. ერთი მათგანი ლალი მაისურაძე იყო, პრეზიდენტის პირადი მდივანი, მისი უერთგულესი თანამებრძოლი”.

ჩვენი დიდი მეგობრობა და სრულიად გულწრფელი მოწიწება ამ, სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული, მამაცი გოგონასადმი, ვალდებულს მხდის, აღვწერო ის მოვლენები, რაც მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდს უკავშირდება. შეგნებულად თავს ვარიდებ ზოგიერთ პირთა ვინაობის დასახელებას, ვინაიდან არ მსურს, პროკურორის ფუნქციები ავიღო ჩემს თავზე.

1989 წლის ნოემბრის ერთ მშფოთვარე დღეს თემურ ქორიძის რეკომენდაციით მივაშურე „ხელნაწერთა ინსტიტუტს“, სადაც „ჰელსინკის კავშირის“ მორიგი სხდომა უნდა გამართულიყო. ვიკითხე და მიმანიშნეს ერთ საშუალო ტანის, ხვეულთმიან, შავგვრემან გოგონაზე: ეგ არის „ჰელსინკის კავშირის” მდივანი, მაგას მიმართეო. გოგონა რაღაც საბუთებით ხელში, გამუდმებით დაჰქროდა უამრავ დამსწრეს შორის: ვიღაცას შენიშვნას მისცემდა, ვიღაცას საბუთს გადასცემდა, ვიღაცას კიდევ, რაიმეს დაავალებდა... კარგახანს ვდიე, ვიდრე რამდენიმე წამით მოვიხელთებდი. უცებ ავუხსენი, რომ მსურდა ორგანიზაციაში გაწევრიანება.

-თქვენს შესახებ ქორიძემ გამაფრთხილა. სხდომის დამთავრების შემდეგ მნახეთ და ყველაფერს გეტყვით, რაც საჭიროა ჩვენთან გაწევრიანებისთვის - მომაყარა და ისევ ხალხს შეერია.

კრების დამთავრების შემდეგ ლალიმ ჩემი მონაცემები ჩაიწერა, რაღაც-რაღაცეები გამომკითხა და მოწმობისათვის სურათის მიტანა მთხოვა. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ნაცნობობა, რაც მოგვიანებით დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. დავახლოვდით ოჯახებით. უყვარდა ჩვენთან მოსვლა „ფინჯან ყავაზე”, თუმცა ამის საშუალება ძალზე იშვიათად თუ გაუჩნდებოდა, მით უფრო, სამი სექტემბრის მოვლენების შემდეგ, როდესაც ცხადი გახდა, რომ „ოპოზიცია” სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას იწყებდა. იმ დღიდან ექვს იანვრამდე, ფაქტიურად, მთავრობის სახლი არ დაუტოვებია. პირადი ცხოვრება არ გააჩნდა. ფანატიკურად უყვარდა სამშობლო, ზვიადი. იყო შეუპოვარი, პირში მთქმელი, რის გამოც ჰყავდა ბევრი მტერი.

1991 წლის ზაფხულში, პრეზიდენტის დავალებით, მიწისძვრით დაზარალებული რაჭის სოფლები მოვიარეთ. ლალის მშობლიური სოფლის, წედისის მახლობლად, სასაფლაოზე მდებარე, წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ვილოცეთ, მისი ბიძაშვილის საფლავზე სანთლები დავანთეთ. სწორედ მაშინ, ასეთი რამ მითხრა: - მე თუ მომკლეს, იცოდე, აქ დამასაფლავეთ.

-რას ამბობ ლალი, რა დროს შენი სიკვდილზე ლაპარაკია!

-ნოდარ, ჩემი ხელში ჩაგდება ბევრს უნდა, პირველ რიგში, ჯაბას და კიტოვანს, მაგრამ თავს მოვიკლავ და ჩემგან ერთ სიტყვასაც ვერ ეღირსებიან! - თქვა და პიჯაკის მარცხენა სამხრეში დამალული პატარა პისტოლეტი მანახა, რომელიც ერთი იმ იშვიათ ადამიანთაგანის ნაჩუქარი იყო, ვისაც ლალი ბოლომდე ენდობოდა, თუმცა, 6 იანვრის გამთენიას, მთავრობის სახლის დატოვების დროს, როგორც ამას დიდი გულისტკივილით მიყვებოდა, სწორედ ამ პიროვნებამ, ავტომატი მიუშვირა მოსაკლავად. მოგვიანებით, სოხუმში, „ზვიადისტთა" ერთმა ჯგუფმაც სცადა ლალის დახვრეტა, ღალატის ბრალდებით. ისევ გადარჩა. თუმცა მესამედ...

მანამდე იყო ე.წ. „თბილისის ომი", ყოვლად სამარცხვინო, დამაქცეველი. ზვიადის და მის თანხმლებთა თბილისიდან გასვლის შემდეგ, თითქმის ერთი კვირა, ლალის შესახებ არაფერი ვიცოდით, ამასღა ვლოცულობდით: ცოცხალი მაინც იყოსო. ერთ დღეს ტელეფონის მოულოდნელი ზარი გაისმა. სწრაფად მითხრა მისამართი და ყურმილი დაკიდა. მე და ჩემი მეუღლე დაუყოვნებლივ გავიქეცით მის სანახავად. უძინარს, გადაქანცულს, საშინლად ნატანჯი სახე ჰქონდა. - პრეზიდენტის დავალებაა: დასავლეთ საქართველოში უნდა ჩავიდე - მითხრა მან. ასეთი მოგზაურობა მაშინ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით კი ლალისთვის, რომელზედაც საგანგებო ძებნა იყო გამოცხადებული. მთავარი საფრთხე ელოდა ხაშურში, სადაც გვირაბისკენ მიმავალ გზას „მხედრიონი" აკონტროლებდა. მომზადებას რამდენიმე დღე დაჭირდა.

ლალის ჩააცვეს ძველი სამოსელი, მოარგეს პარიკი, სათვალე... მთლად მოხუც, გლეხის ქალს დაამსგავსეს. ჩავსვით ავტობუსში და გავამგზავრეთ. მას შემდეგ ლალი ცოცხალი აღარ მინახავს.

თბილისში ტერორი მძვინვარებდა: დაიხვრიტა რამდენიმე მიტინგი; დევნა, დაპატიმრებები, ადგილზე ლიკვიდაცია. პრეზიდენტისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი, საშინელი ჭორების გავრცელებაც იყო, რასაც ვერც ლალი ასცდა: თვით მომიტინგეთა შორისაც ვრცელდებოდა ხმები, რომ ის არათუ „შეკრული იყო მოწინააღმდეგესთან და მას საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა, არამედ ამავე დროს, ზვიადსაც წამლავდა". ორჯერ გავრცელდა ხმა, რომ ლალი მოკლეს. დროდადრო თვითონ გვირეკავდა, ან სხვისი მეშვეობით გვეხმიანებოდა ამ ჭორების უარსაყოფად. და მაინც, აპრილის დასაწყიში შევიტყეთ დადასტურებული ამბავი მისი დაღუპვის შესახებ. ოფიციალური ვერსია ასეთი იყო: „ავტომობილს, რომელიც სქური-წალენჯიხის გზაზე მოძრაობდა, უცნობი კუთვნილების ვერტმფრენმა ცეცხლი გაუხსნა, რაც გახდა ზვიად გამსახურდიას პირადი მდივნის, ლალი მაისურაძის დაღუპვის მიზეზი. დაჭრილია მძღოლი." ბუნებრივია, ჩვენ ვერ ვენდობოდით ხუნტის მიერ გამოცხადებულ ვერსიას, ამიტომ ვეცადე ჩემით დამედგინა რეალური სურათი. ამ მიზნით, სხვადასხვა დროს ვესაუბრე როგორც გასვენებაში, სამეგრელოდან ჩამოსულ ადამიანებს, ასევე ჩვენს თანამებრძოლებს, რამაც ოფიციალური ვერსიის მიმართ საფუძვლიანი ეჭვები გამიჩინა.

თბილისიდან გამგზავრებულმა დასავლეთ საქართველოში მშვიდობიანად ჩააღწია. იქიდან გადავიდა სოხუმში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა საპროტესტო მიტინგების ორგანიზებაში. შემდეგ დაბრუნდა სამეგრელოში. თანამებრძოლებისთვის ასეთი რამ უთქვამს: „მე ახლა კარგად ვხედავ, თუ რამდენი მოღალატე იყო პრეზიდენტის გვერდით და რა ბინძური საქმეები იხლართებოდა მის გარშემო. უახლოეს ხანში აუცილებლად ჩავალ ბატონ ზვიადთან და ყველაფერს პირადად მოვახსენებ". ეგებ ეს განცხადება თავისებური სიგნალი გამოდგა მტრისთვის.

საავადმყოფოში მხედრიონელები მიცვივდნენ. ცხედრის გადაცემა მოითხოვეს: „ბეტეერს" უნდა გამოვაბათ და ვათრიოთო. საავადმყოფოს თანამშრომლებმა ცხედარი ავადმყოფთა პალატაში მოათავსეს და მომხდურს კი პროზექტურის კარი გაუღეს.

გარდაცვლილს წალენჯიხის მოსახლეობამ უპატრონა: მიცვალებული გააპატიოსნეს, ტაძარში დაასვენეს. მამა რომანოზმა წესი აუგო. მხედრიონელები იგივე მოთხოვნით აქაც მიიჭრენ. მრევლი, მოძღვართან ერთად, ტაძრის შესასვლელში ჩადგა. ერთმა მომხვდურთაგანმა მღვდელს მოსაკლავად ავტომატი დაუმიზნა. მამა რომანოზმა პირჯვარი გადასახა ყველას.

რამდენიმე წუთს ასე იდგნენ. უცებ ბიჭმა იარაღი დაბლა დაუშვა: - ვერ ვესვრი, ამის..! - შეიგინა და იქაურობას გაეცალა. მოძღვრისა და ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით, სიძეებმა (ლალის დების მეუღლეებმა) ცხედარი რაჭაში გადაასვენეს. დაკრძალულია, თანახმად მისი ანდეძისა, სოფელ წედისის სასაფლაოზე.

1993 წლის 9 აპრილს ინკოგნიტოდ, გავემგზავრე გროზნიში. ბატონ ზვიადთან შეხვედრის დროს, ოთახში შემოვიდა მისი მეუღლე. ჩვენი საუბარი შეეხო ლალის დაღუპვასაც. ისინი დაეთანხმნენ ჩემეულ ვერსიას: - ეს იყო ჩვენი „ნივა" - თქვა ბატონმა ზვიადმა - მანქანას გარედან არც ერთი ტყვია არ აქვს მოხვედრილი. ლალი ღალატით, მანქანაშია მოკლული.

- ნოდარ, შენ ხომ იცი, რომ ზვიადი მხოლოდ ჩემს მიერ მომზადებული საჭმელით იკვებებოდა, ვინაიდან მისი მოწამვლის საფრთხე მართლაც არსებობდა - ბრძანა ქალბატონმა მანანამ - მხოლოდ ლალის ხელით ვუგზავნიდი საჭმელს, რადგან ის იყო უერთგულესი ადამიანი. ამიტომ მოკლეს საქართველოს მტრებმა! ბატონმა ზვიადმა, ლალის ოჯახისთვის გადასაცემად სამძიმრის წერილი გამომატანა:

„ლალი მაისურაძის ოჯახს

დღემდე არ მქონდა საშუალება, სამძიმრის წერილი მომეწვდინა თქვენთვის. ლალი მაისურაძე იყო საქართველოსათვის თავდადებული, პრეზიდენტის ერთგული ადამიანი, რაც მას არ აპატიეს ჩვენი ქვეყნის უბოროტესმა მტრებმა, რომელთაც არა ერთი ქართული ოჯახი შემოსეს ძაძებით.

ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, თქვენთან ერთად ვგლოვობ უდროოდ დაღუპულს. იგი საუკუნოდ დარჩება ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია. 1993 წ. 9 აპრილი"

მას შემდეგ არაერთხელ ჩავსულვარ რაჭაში მისი საფლავის მოსანახულებლად. 2016 წლის ზაფხულში რაჭაში ჩავიდნენ და მის ხსოვნას პატივი მიაგეს ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წევრებმა: ნუკრი ბაღდავაძემ, იოსებ ღუდუშაურმა, ქეთევან შარაბიძე-აგლაძემ, თორნიკე ამაშუკელმა და დემნა კაპანაძემ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
დადგენილება
საქართველოს გმირის წოდების მინიჭებისა და „საქართველოს გმირის
ორდენით" დაჯილდოების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით (N 280118/2) 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისას, საომარ სიტუაციაში სამშობლოსათვის თავდადებული მამაცობისა და თავგანწირვისათვის, საქართველოს გმირის წოდება მიენიჭოს და „საქართველოს გმირის ორდენით" დაჯილდოვდეს (დაღუპვის შემდეგ), საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას პირადი მდივანი და უერთგულესი თანამებრძოლი, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მდივანი - ქალბატონი ლალი მაისურაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე,
საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი

ნაზი შამანაური
საბჭოთა სისტემის მსხვერპლი

ა. წ. 29 სექტემბერს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ წევრები ნუკრი ბაღდავაძე, თორნიკე ამაშუკელი და ამ სტრიქონების ავტორი, გავემგზავრეთ დუშეთში აწ უსამართლოდ მივიწყებული, საბჭოთა სისტემის მსხვერპლის, სიმართლისათვის მებრძოლი, მამაცი ჟურნალისტის, წამებით მოკლული ნაზი შამანაურის საფლავის მონახულებისა და მისი ხსოვნისთვის პატივის მისაგებად. ადგილზე გვიმასპინძლა ეროვნული მოძრაობისა და ჩვენი ორგანიზაციის ძველმა წევრმა, ბატონმა თამაზ ბულაურმა.

ნაზი შამანაური დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ოძისში 1940 წლის 5 ივლისს. 1944 წელს დედა, სარა ინაშვილი და ნაზი საცხოვრებლად დუშეთში გადავიდნენ.

სკოლის დამთავრების შემდეგ წარჩინებით დაამთავრა ჯერ თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ, ასევე, წარჩინებით, თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

იმავე წელს მუშაობას იწყებს ქალაქ თბილისის „ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის“ რადიოგადაცემათა რედაქციაში, საიდანაც ერთი წლის შემდეგ შტატების შემცირების საბაბით გაათავისუფლეს. ამ დროისათვის მისი, როგორც ჟურნალისტის თვალი და გონება სწვდება უამრავ მანკიერ მოვლენას და სხვებისაგან განსხვავებით იწყებს მათ მხილებას. აქვეყნებს წერილებს, სადაც უშიშრად უპირისპირდება სისტემას, ამხელს ქვეყანაში გამეფებულ კორუფციას, უსამართლობას, გამოთქვამს დაუფარავ წუხილს სამშობლოს ბედ-იღბლის გამო. სისტემის რეაგირება მყისიერი იყო: ის გაათავისუფლეს სამსახურიდან, მისთვის გამოიკეტა როგორც რესპუბლიკური, ისე რაიონული გაზეთების რედაქციათა კარები.

1982 წლის 14 აგვისტოს, ჩარგალში, „ვაჟაობის“ დღესასწაულზე ნაზი შამანაური სიტყვით გამოვიდა და არნახული გაბედულებით ამხილა დუშეთის რაიონის თანამდებობის პირთა თვითნებობა და ბოროტმოქმედებანი, აგრეთვე საქართველოს სავალალო მდგომარეობა, რისთვისაც იგი მაშინვე დააკავეს უშიშროებისა და მილიციის თანამშრომლებმა. დუშეთის უშიშროების განყოფილების გამგემ იქვე წაართვა მას 77-გვერდიანი მხილების ტექსტი. მასთან ერთად დაკავებული იქნა დედამისიც.

დუშეთის რაიონის სასამართლომ დედა-შვილს იძულებითი მკურნალობა მიუსაჯა თბილისის ასათიანის სახელობის რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც ნაზიმ შიმშილობა გამოაცხადა და იშიმშილა 70 დღე. მიუხედავად ამისა, მას მაინც აშიშვლებდნენ, უმოწყალოდ სცემდნენ, აწამებდნენ ინსულინური შოკებითა და ნეიროლეპტიკების ინექციებით, რითაც მძიმედ დააავადეს.

1983 წლის იანვარში ნაზი შამანაური საავადმყოფოს პერსონალმა სასიკვდილოდ სცემა, რის შედეგადაც მან მიიღო თავის ქალის ტრავმა და პერიტონიტი. იგი გადაყვანილ იქნა თბილისის მეცხრე კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა. ქირურგმა ოპერატორმა და პათანატომმა დაადასტურეს, რომ იგი ცემით იყო მოკლული, თუმცა არსებობს მეორე ვერსიაც: რომ ის მოწამლეს.

ნაზის დასაფლავებას 80 კაცამდე თუ ესწრებოდა, უმრავლესობა დედაქალაქიდან ჩასული ახალგაზრდობა იყო. დუშეთის რაიონის მცხოვრებლებმა შიშის გამო ვერ გაბედეს მისვლა.

ზვიად გამსახურდიამ დაუყოვნებლივ გაავრცელა წერილი, რომელშიც აღწერდა ნაზი შამანაურის ტრაგიკულ თავგადასავალს, ამხელდა მის მკვლელებს და ითხოვდა მისი დედის გათავისუფლებას. საზოგადოების აქტიური ჩარევის შედეგად ნაზის დედა გათავისუფლებული იქნა ფსიქიატრიული საავადმყოფოდან.

„ერთ დღეს ბატონი ზვიადი საგანგებოდ ამოვიდა დუშეთში ქალბატონ სარას სანახავად - იხსენებს ბატონი თამაზ ბულაური - გახარებულმა მასპინძელმა საკუთარი შვილივით ჩაიკრა გულში სტუმარი. განშორებისას ზვიადმა გვთხოვა: - ნაზის დედას მიმიხედეთო. ჩვენც ვუვლიდით, შეძლებისდაგვარად. ჩვენვე დავასაფლავეთ შვილის გვერდით, 1996 წელს.“

„... არაფერზე არ მწყდება გული, მხოლოდ დაწყებულ სიმღერას დამთავრება უნდა, ამიტომ მე უნდა ვიცოცხლო. გაძლიერებული ბრძოლაა, ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის შექმნას ჩემს სასამართლოში მისაცემად... არსად არ მივდივარ, არავის ვხვდები, არავის ვღებულობ, ასეა საჭირო საქმის დასაგვირგვინებლად...

ყველაფერს ვერ მოგწერ. ფოსტით სარგებლობის უფლებაც წამართვეს...

გეხვევით თბილად, ნუ დამემდურებით.

მოკრძალებით, ნაზი შამანაური“.

ნოდარ კიკნაძე
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“
პრეზიდიუმის წევრი

„ოვერტონის ფანჯარა“ და „დახურული დარაბა“

„ამირან, ცოლ-დედა მკვდარო,
ომი ვერ იცი კილოსა,
მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა,
დაბლა შემოჰკარ რბილოსა,
დააწყდებიან ძარღვები,
დაეცემიან ძიროსა“

მოსე ხონელი, „ამირან-დარეჯანიანი“

ოვერტონის ფანჯარა — პოლიტიკური თეორია, რომელიც საზოგადოების მიერ იდეების მიმღებლობას „ფანჯრის“ ჭრილში განიხილავს. თეორიას სახელი „საზოგადოებრივი პოლიტიკის მაკინაკის ცენტრის“ ყოფილი ხელმძღვანელისა და თეორიის ავტორის ჯოზეფ ოვერტონის (1960–2003) საპატივსაცემოდ ეწოდა. საფუძვლიანი დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად ოვერტონი მივიდა შემდეგ დასკვნამდე: საზოგადოებისთვის, რაოდენ მიუღებელი, რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს რაიმე მოსაზრება, იდეა, თუ მოვლენა, ყოველთვის არსებობს თუნდაც უმცირესი, ე. წ. „ფანჯარა“ რომლის გადაადგილების, თუ ჩარჩოს მეთოდური გაფართოების შედეგად შესაძლებელია, რომ ეს საკითხი არათუ მიუღებელი, პირიქით - მოთხოვნადიც კი გახდეს, თუკი არსებობს ამით დაინტერესება ამათუიმ გავლენიანი პოლიტიკოსის, თუ ხელისუფლების მხრიდან. ცხადია, ეს პროცედურა მოითხოვს შესაბამის რესურსებსა და შესაძლებლობებს.

პროცესი ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას შემდეგი საფეხურების გავლით:

წარმოუდგენელი
რადიკალური
მისაღები
გონივრული
პოპულარული
პოლიტიკა

დამცველები იმ სამთავრობო პოლიტიკისა, რომელიც არ ხვდება ჩარჩოში, ცდილობენ საზოგადოების ცნობიერება შეცვალონ ისე, რომ ევერტონის ფანჯარა გაიზარდოს, ან გადაადგილდეს. არსებული, ან მსგავსი პოლიტიკის დამცველები ცდილობენ ფანჯრის მიღმა დარჩენილი იდეები იყოს საზოგადოებისთვის მიუღებელი. შესაბამისად, „ოვერტონის ფანჯარა“ არის საზოგადოებრივი მორალის შეცვლის ტექნოლოგია, ანუ ამორალური, დაუშვებელი მოვლენების საზოგადოებაში დანერგვის და შემდეგ მისი დაკანონების, ანუ კონსტიტუციური გარანტიების ქვეშ მოქცევის თანმიმდევრული გეგმა. ჯოზეფ ოვერტონმა აღწერა, თუ როგორ ხდება საზოგადოებისთვის მიუღებელი იდეების წამოწევა ნაგავსაყრელიდან, მათი გაპატიოსნება, ბოლოსდაბოლოს, მათი კანონმდებლობით განმტკიცება და ცხოვრების წესად დანერგვა. ამ თეორიის შესწავლის უმალ ნათელი ხდება, თუ როგორ ახდენენ ჰომოსექსუალიზმისა და ერთსქესიანთა ქორწინებების, პედოფილიისა და ინცესტის ლეგალიზება-დაკანონებას, აგრესორი ქვეყნის მიმართ დამნაშავედ ჩვენი ქვეყნის წარმოჩენა და სხვა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მსგავსი პროექტის ხორცშესხმა ითხოვს სახელმწიფოს ან ძლევამოსილი პოლიტიკოსის, თუ პოლიტიკოსთა ჯგუფის განსაკუთრებულ რესურსებს.

სამწუხაროდ, საქართველოს უახლესი ისტორია „ოვერტონის ფანჯრის“ მექანიზმის გამოყენების არაერთ მაგალითს გვიჩვენებს.

მოდით, სანიმუშოდ განვიხილოთ მარიხუანასთან დაკავშირებული პერიპეტიები:

2016 წელს, ოთხმა, არცთუ დიდად გამორჩეულმა პოლიტიკოსმა, დატოვა რა მშობლიური პარტიის რიგები, გააკეთა განცხდება ახალი პარტიის შექმნის შესახებ, რომლის პრინციპები დაემყარებოდა „კლასიკურ ლიბერალიზმს“, კანონის უზენაესობას, ეკონომიურ თავისუფლებას, ადამიანის უფლებათა დაცვას და სხვა.

პარტიას უცებ შეექმნა სასათბურე პირობები: უპრობლემოდ დარეგისტრირება, დაფინანსება, ოფისი, რეკლამა და უმტკივნეულო სკანდალები, როგორც ეფექტური „პიარის“ აუცილებელი პირობა.

კეთდება განცხადებები, რომ პარტიის წევრებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ სამხედრო სამსახური, შექმნან ახალი რელიგიური მიმდინარეობა და შესაბამისად მიიღონ მაღალი რელიგიური იერარქის წოდებები და რაც მთავარია, ცხადდება ქვეყანაში მარიხუანის მოხმარების კანონის დონეზე ლეგალიზების მოთხოვნა. მეტიც, თვით თავჯდომარე ახდენს სატელევიზიო კამერების წინაშე მარიხუანის მოხმარებისა და მოყვანის დემონსტრირებას. საპასუხოდ ხდება ოფისში პოლიციის თანამშრომელთა მივარდნა, სასამართლო, პირობითი სასჯელი, დაჯარიმება, რასაც მოჰყვება პარტიის წევრთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა მხრიდან მძაფრი პროტესტი. მედიასივრცეს იპყრობს ეს თემა. სატელევიზიო არხები უძღვნიან „თოკშოუებს“. საქმეში ერთვებიან სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, რომელთა ნაწილი საუბრობს მარიხუანას, როგორ სამკურნალო მცენარის სიკეთის შესახებ. პარალელურად პოლიციის მხრიდან გრძელდება „ჩადებები“, ცემა-ტყეპა, დაპატიმრებები და შესაბამისად იზრდება პროტესტის ტალღა. დროდადრო „ცნობადი სახეები“ აღიარებენ, რომ მათ ოდესღაც „გაუსინჯავთ“, მეტიც, იგივე აღიარებით გამოდის ზოგიერთი სასულიერო პირიც.

... და ასე, თითქმის ორი წლის განმავლობაში: მოთხოვნები, დაჭერები, აღიარებები, „ჩადებები“, სკანდალური საქმეები, აღშფოთებული არასამთავროები, საზოგადოება...

შემდეგი ეტაპი: მომხმარებელთა მიმართ კანონის შერბილების პოლიტიკა, ნარკოტიკების ონლანინ გაყიდვები, უცნობი ნარკოტიკის მოხმარების შდეგად რამდენიმე ახალგაზრდის გარდაცვალება, სამართალდამცავთა ელვისებური რეაგირება: ღამის კლუბში ჩატარებული ხმაურიანი სპეცოპერაცია. პასუხად არნახული პროტესტი და შესაბამისი მიტინგი დაგვირგვინებული შინაგან საქმეთა მინისტრის „ბოდიშით!“.

მცირე პაუზა და... კანონ-პროექტი „მარიხუანას კულტივაციის შესახებ“. თვით მრავლისმნახველ საქართველოშიც კი ერი და ბერი შოკირებულია! ამჯერად უკვე ხელისუფლების წარმომადგენლები იწყებენ გამამართლებელი არგუმენტების წარმოჩენას: „ის არ არის მავნებელი“; „არ იწვევს შეჩვევას“; „დამამშვიდებელია“; „ტკივილგამაყუჩებელია“; „ადამიანი კარგ ხასიათზე მოყავს“ და რაც მთავარია: „ქვეყანას მილიარდობით შემოსავალს მოუტანს!“.

აწ უკვე, საბოლოოდ, ცხადი ხდება, ვინ დგას ამ კაპანიის უკან, ანუ ვინ დგას „ოვერტონის ფანჯრის“ მიღმა. ხომ ცნობილია, რომ სწორედ მან შეისყიდა კაპიკებად გურიასა და სამეგრელოში ჩაის პლანტაციებისა და საძოვრების აბსოლიტური უმეტესობა. საქართველოს მასშტაბით ვებერთელა ტერიტორიები მზადაა მარიხუანის პლანტაციების გასაშენებლად.

უნებლიედ მახსენდება კომუნისტების დროინდელი ერთი სახუმარო ლექსი:

„იქ, სადაც წინათ ჩხაოდა ტურა,
ჩვენ გავაშენოთ ჩაის კულტურა!“

ახლა, ეს ლექსი ასე შეგვიძლია წარმოვთქვათ:

იქ, სადაც იყო ჩაი, თუ ყანა,
ჩვენ მოვაშენოთ მარიხუანა!

თუ ქვეყნის გამდიდრებაზე ზრუნავენ, მაშინ ის ყაყაჩო მოვაშენოთ, ავღანეთის და კოლუმბის მოსახლეობა „მილიონერებად“ რომ აქცია (თუ დააქცია)! ... მაგრამ ეს კიდევ ცალკე სასაუბრო თემაა. ჩვენ მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიყვანეთ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჯოზეფ ოვერტონის მიზანი არა სამოქმედო გეგმის შედგენა - ინსტრუქციების მიწოდება, არამედ ანტისაზოგადოებრივი, ანტიკულტურული, დანაშაულებრივი ქმედების მხილებაა: "... შენ ვალდებული ხარ დარჩე ადამიანად. მხოლოდ ადამიანს შეუძლია მოძებნოს ნებისმიერი პრობლემიდან გამოსავალი და რასაც ვერ შეძლებს ერთი - შეძლებენ საერთო იდეების გარშემო გაერთიანებული ადამიანები" - წერდა ის.

ჯოზეფ ოვერტონი 43 წლის ასაკში ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

P.S. საარჩევნო პრობლემების გამო ხელისუფლებამ კანონპროექტი მარიხუანას კულტივაციის შესახებ პარლამენტიდან გაიწვია, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი უკანდახევაა. რაც მთავარია თესლი ხნულში უკვე ჩაგდებულია.

„დახურული დარაბა"

ტერმინი „დახურული დარაბა" ზემოთ მოცემულ წერილზე მუშაობისას დაიბადა. ის გამოხატავს იმავე ძალების, ასევე საზოგადოებრივ აზრზე, განწყობაზე ზემოქმედების პროცესს, ოღონდ დიამეტრალურად განსხვავებული მეთოდით.

მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: ხელისუფლება ახდენს მისთვის არასასურველი პროცესის, მოვლენის სრულ იგნორირებას. ანუ არ არსებობს არათუ ეს მოვლენა, არამედ არ არსებობენ მასთან დაკავშირებული ადამიანებიც.

„დახურული დარაბის" მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ხელისუფლების დამოკიდებულება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მიმართ:

პარტია, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებაში, რომლის არაერთმა წევრმა სიცოცხლე გაწირა სამშობლოს საკეთილდღეოდ, რომლის წევრებიც დღესაც ერთგულად დგანან ქვეყნის სამსახურში, მოქცეულია სრულ ვაკუმში, აბსოლიტურად იზოლირებულია, თითქოს ის საერთოდ არ არსებობს! ეს არის ფარული შეთქმულება, არაოფიციალური შეთანხმება, რაშიც მონაწილეობენ არათუ სახელმწიფო სტრუქტურები, არამედ მასმედიაც.

ვინ იცის, რა სახის და რამდენი ღონისძიება იქნა ჩატარებული ჩვენს მიერ, განვლილი წლების განმავლობაში, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე რედაქციას, იქნება ეს პრესა თუ ტელევიზია, რაიმე ინტერესი გამოეჩინოს. ის კი არა, ჩვენს მიმართვასაც, სწორედ „დახურული დარაბის" პრინციპით, უპასუხოდ ტოვებენ.

სამწუხაროდ, ამ საქმეში ზოგჯერ კანონიერი ხელისუფლების მომხრენიც მონაწილეობენ, რომლებიც ავრცელებენ ხმებს, რომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" დიდი ხანია აღარ არსებობს.

არსებობს, ბატონებო, არსებობს! საქმესაც აკეთებს და იმედის თვალით შესცქერის მომავალს, როდესაც ეროვნული ძალები კვლავაც წარუძღვებიან წინ ერს და წარმმართველი ძალა კვლავაც „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" იქნება!

ნოდარ კიკნაძე
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"
პრეზიდიუმის წევრი

ციკლიდან: არავინ და არაფერია დავიწყებული!

ეს ფოტო მოგვაწოდა ჩვენმა სიყრმის მეგობარმა და თანამებრძოლმა ნათია მიშველიძემ. მადლობა ნათია!

აი, ასე მიუძღოდა წინ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გულანთებული ახალგაზრდები!

„ძმანო და დანო, საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი, როდესაც ამ სამოცდაათი წლის მანძილზე , ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლისღვრაში პირველად ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოსდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე..." - მერაბ კოსტავა

აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ–გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ–კორესპოდენტი, მწერალი *ვაჟა კაკაბაძე*

აფხაზეთი. თავისუფალი ეკოლოგიური ზონა, არსი და მიზანი
(აფხაზეთის დაბრუნების ერთ–ერთი გზა)

ეკოლოგია 21-ე საუკუნის ერთ–ერთი გლობალური პრობლემაა, და მისი მნიშვნელობა სცილდება ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს, ამდენად ის განხილული უნდა იყოს როგორც ზოგადსაკაცობრიო ინტერესების დაკმაყოფილების აუცილებლობა. საქართველო როგორც მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ვალდებულია პასუხისმგებლობა აიღოს შავი ზღვის და კერძოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ და მან ეს ვალდებულება უნდა განახორციელოს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ინგლ. Black Sea Economic Cooperation, აკრონიმი BSEC – ბისეკი) — შეიქმნა 1992 წლის 25 ივნისს თერთმეტი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურთა მიერ სტამბოლის სამიტის დეკლარაციისა და ბოსფორის შეთანხმების ხელმოწერით. ორგანიზაციის მიზანი მრავალმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა და წევრ ქვეყანათა შორის ინტეგრაციისა და ჰარმონიული თანაარსებობის წახალისებაა შავი ზღვის რეგიონში.

BSEC-ის მთავარ მიზნებს წარმოადგენდა რეგიონის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა, წევრი ქვეყნების ხალხის კეთილდღეობა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა.

1999 წლის 1 მაისს ბისეკის ქარტიის ძალაში შესვლის დღიდან ორგანიზაციამ საერთაშორისო იურიდიული პირის ძალაუფლება მიიღო და სრულუფლებიან რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა. 2004 წლის აპრილში ორგანიზაციაში სერბეთის შესვლით წევრთა რიცხვი 12-მდე გაიზარდა.

ბისეკის შტაბ–ბინა – მუდმივი საერთაშორისო სამდივნო სტამბოლში შეიქმნა 1994 წლის მარტში. ორგანიზაცია მჭიდრო კავშირშია შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკთან — საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, რომლის შტაბ–ბინა სალონიკში მდებარეობს.

ეკოლოგია როგორც საერთაშორისო ვალდებულება

ეკოლოგია 21-ე საუკუნის ერთ–ერთი გლობალური პრობლემაა, რადგან თანამედროვე მეცნიერულ – ტექნოლოგიური მიღწევების პარალელურად თანდათან იზრდება ეკოლოგიური პრობლემებიც. საქართველოს ზღვის სანაპირო, ისევე როგორც BSEC სხვა წევრი სახელმწიფოები, მეტად მწვავედ დგას ამ პრობლემების წინაშე. შავი ზღვის დაბინძურება, ეს სწორედ ის ძირითადი საკითხია, რომლებსაც მსოფლიო საზოგადოება უკვე დიდი ხანია აქტიურად განიხილავს. შავ ზღვა შეიძლება აფეთქდეს იქ არსებული აირების უეცარი გათავისუფლების შედეგად. ასევე ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ აფხაზეთში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარება და ასევე იქ განთავსებული სამხედრო ბაზები კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას, რაც გამოწვეულია შავ ზღვაზე არამართებული ინტენსიური ზემოქმედებით. რა უნდა გაკეთდეს: საქართველოს მთავრობასთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება პრემიერ მინისტრს.

ამ, სამუშაო ჯგუფის მოვალეობა იქნება შეგროვილი მასალების საფუძველზე, არსებული პრობლემა დასვას BSEC–ის ორგანიზაციის წინაშე და ამ ორგანიზაციის წევრების დახმარებით აფხაზეთი გამოცხადდეს თავისუფალ ეკოლოგიურ ზონად, სადაც აიკრძალება სამხედრო შენაერთების განთავსება, აიკრძალება უკანონოდ ზღვის რესურსების გამოყენება, აიკრძალება იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს შავი ზღვის ეკოლოგიურ ვითარებაზე.და, ამ საქმიანობაზე კონტროლს დააწესებს საქართველოს ხელისუფლება. გარემოსდაცვითი მართვის გაუმჯობესება. ევროინტეგრაციის კუთხით უპირველესი ამოცანაა ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ კანონმდებლობასთან. 2014 წელს ასოცირების შესახებ შეთამხების ხელმოწერის შემდეგ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ვალდებული იყო ასოცირების შეთანხმებით გათვალისიწნებული ღონისძიბების გატარება და ახალი პრობლემების აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარება.

აფხაზეთის ეკოლოგიური თავისუფალი ზონად გამოცხადების საფუძველი

ბოლო 20 წლის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა ზღვის „ჯანმრთელობის“ შეფასების მიდგომები. ადრე ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა ფასდებოდა ძირითადად წყალში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციის გადამეტების დადგენით. ადამიანის ჯამრთელობის შეფასების ანალოგიიით, ეს იგივეა რაც დაადგინო სრული დიაგნოზი მხოლოდ სხეულის ტემპერატურისა და წნევის გაზომვით. ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო-დირექტივის მიღებით ზღვის სიჯანსაღის მთავარ მაჩვენებლებად აღიარებული იქნა ზღვის ყველა ბინადარის მრავალფეროვნება, დაწყებული მიკროსკოპიული წყალმცენარეებისაგან და დამთავრებული თევზებითა და დელფინებით. ამოცანის ამგვარად წარმოდგენა უკვე მოითხოვს კომპლექსურ კვლევასა და დიაგნოსტიკას. დირექტივაში მითითებულია 11 დესკრიპტორი და 60-ზე მეტი მაჩვენებელი, რომლებითაც დგინდება ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა. ევროკავშირის ქვეყნების მიზანს წარმოადგენს 2020 წლამდე შავი ზღვის მათი მონაკვეთისათვის „კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევა. უკრაინასა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ასევე აქვს აღებული ვალდებულება ჩარჩო-დირექტივის მოთხოვნათა შესრულებაზე, შესაბამისად, ჩვენმა ქვეყნებმაც უნდა გაითავისონ და შეასრულოს ევროკავშირის მიდგომები. ახალი მეთოდიკითა და სამეცნიერო-კვლევითი აღჭურვილობით წარმოებული შავი ზღვის ერთობლივი კვლევების შედეგები მოგვცემს ზღვის ამჟამინდელი მდგომარეობის

პირველადი შეფასების საშუალებას, როგორც ამას მოითხოვს ევროკავშირის ჩარჩო-დირექტივა. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? ზღვის ბინადართა საარსებო გარემოს დაცვა არ არის მხოლოდ ჩვენი ზოგადსაკაცობრიო ვალი შავი ზღვის წინაშე, არამედ წარმოადგენს საქართველოსა და უკრაინის ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ–ერთ საშუალებას.

ჟანგბადის სფერო შავ ზღვაში შემცირდა. ცნობილია, რომ შავ ზღვაში ჟანგბადით მდიდარი ზედა ფენის ქვემოთ სიღმისეული ფენები უჟანგბადო ზღვის წყლითა წარმოდგენილი, რომელიც გაჯერებულია წყალში გახსნილი გოგირწყალბადით. უჟანგბადო წყლის ზონა იწყება 90-160 მ. სიღრმიდან და შეადგენს ზღვის სრული მოცულობის დაახლოებით 87%. ბოლო 20 წლის განმავლობაში გოგირდწყალბადის ფენამ 20-25 მ-ით აიწია. ეს ნეგატიური ტენდენცია დაადასტურა 2016 წლის კვლევებმაც. ამასთან ჟანგბადით გაჯერებული წყლის ზედა ფენის სიდიდე არაერთგვაროვანია ზღვის სხვადასხვა მონაკვეთზე. არის მთელი რიგი ზღვის დინებები კონტინენტური ფერდობის გასწვრივ, დასავლეთის და აღმოსავლეთის ღია ზღვის ციკლონური წრებრუნვით. ამ წრებრუნვების ცენტრებში დადგენილი ჟანგბადოვანი ფენის ქვედა ზღვარი უკვე 54 მ. სიღრმეზეა ამოსული. აღნიშნული ასევე დასტურდება ამ სიღრმეებზე მოპოვებულ სინჯებში ანაერობული ბაქტერიების სიჭარბით.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? ზღვის უმეტესი და უმთავრესი ბინადრები (დელფინები, თევზები და სხვა) ბინადრობენ ზემო ჟანგბადით მდიდარ ზღვის წყალში. თუ ეს ფენა მცირდება, ეს ნიშნავს, რომ მცირდება მათი საარსებო სივრცე. დადგენილია, რომ შავი ზღვის ეს უარყოფითი ფენომენი პირდაპირ კავშირშია კლიმატის ცვლილებებთან და გლობალურ დათბობასთანაც. აღნიშნულმა უნდა აიძულოს საზოგადოება ისევ დაფიქრდეს და გამოძებნოს გზა კლიმატის ცვლილების პროცესის შერბილებისათვის.

შავი ზღვის უჟანგბადო სიღრმისეულ ფენებში 2 კმ სიღრმიდან მოპოვებულია მიკრობების ახალი და საინტერესო სახეობები შავი ზღვის ერთობლივი კვლევების დროს აღებული იქნა სინჯები ზღვის ფსკერიდან 2 კმ სიღრმეზე. კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ შავი ზღვის „მკვდარ“ უჟანგბადო ზონაში არის სიცოცხლე და უფრო მეტიც , ის საკმაოდ მრავალფეროვანია. ასეთი შედეგები მიღებული იქნა სპეციალური მეტაგენომური ანალიზით (სპეციალისტებმა წაიკითხეს სინჯებში მოხვედრილი ყველა მიკრობის დნმ–ი). შესწავლილი „ზოოპარკი“ აღმოჩნდა საკმაოდ მრავალფეროვანი. აღმოჩნდა, რომ შავი ზღვის ფსკერზე ბინადრობენ ათობით სახეობის ბაქტერიები და არქეები, რომლებიც მსოფლიო ოკეანის ფსკერზე გვხვდება მხოლოდ წერტილოვნად, ძალიან სპეციფიკურ პირობებში წყალქვეშა გეოთერმალურ წყაროებთან (ოკეანის ფსკერზე გამომავალ გეიზერებთან), ნორვეგიის დახურულ ფიორდებთან და სხვა. კვლევების პროცესში პირველად იქნა აღმოჩენილი შავ ზღვაში Lokia chaeota-ს ჯგუფის უნიკალური მიკრობები. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ისინი ცნობილი გახდა სულ ეხლახან 2015 წლის აღმოჩენის შედეგად. აღმოჩენა მოხდა ნორვეგიელი მეცნიერების მიერ ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის წყალქვეშა გეოთერმალური წყაროების კვლევებისას. აღმოჩენილ მიკროორგანიზმებს დაერქვათ სახელი სკანდინავიური მითიური ღვთაების „ლოკი“-ს საპატივცემულოდ. აღნიშნული ორგანიზმები წარმოადგენენ ერთგვარ „ნაკლულ შუალედურ რგოლს“ უნივერსალური ევოლუციური „სიცოცხლის ხის“ მოდელში პროკარიოტებსა (რომელთაც არა აქვთ ბირთვი - ბაქტერიები) და ეუკარიოტებს (აქვთ ბირთვი - ცხოველები, მცენარეები) შორის. აღმოჩნდა, რომ ისინი ჩვენთან შავი ზღვის ფსკერის უჟანგბადო სიღრმეების ჩვეულებრივი მობინადრეები ყოფილან.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? ეს ნიშნავს იმას, რომ შავი ზღვის სიღრმეების უჟანგბადო ზონა არ არის „მკვდარი უდაბნო“, არამედ წარმოადგენს თავისებურ „ყვავილოვან ბაღს“, თუმცაღა უფრო ჰგავს სხვა პლანეტების უჟანგბადო ბიოსფეროს, ან ჩვენს ახალგაზრდა პლანეტას 2-3 მილიარდი წლის წინ, ფოტოსინთეზის უნარის მქონე მცენარეების გამოჩენამდე. აღნიშნული წარმოადგენს ერთგვარ „ასტრობიოლოგიის სახელმძღვანელოს“ ან „დროის მანქანის განზომილებას“ - ანუ მეცნიერ-მკვლევართა ოცნებას! პრაქტიკული თვალთახედვით, კი შავი ზღვის უჟანგბადო ზონა წარმოადგენს ზღვის ეკოსისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ერთი მხრივ „კონკურენციაშია“ ზედაპირულ წყლებთან და მისი რაოდენობის მატება

ძალზედ საშიშია, მაგრამ ამავდროულად იგი უზრუნველყოფს ნებისმიერი ორგანული ნივთიერების დაშლას, რომელიც ჭარბად ხვდება მასში ზედაპირული წყლებიდან, რითაც არ აძლევს საშუალებას ზღვას გადაიქცეს „დამაბინძურებელ ნივთიერებათა და ორგანული ნარჩენების ნაერთად“. ზღვის წყალში, ფსკერის დანალექებში, მოლუსკებსა და თევზში გაანალიზებული იქნა 2100-მდე დამაბინძურებელი ნივთიერების არსებობა და კონცენტრაცია.

ამ მიმართულებით კვლევის ძირითადი მიზანი იყო, დადგენილიყო შავი ზღვისათვის სპეციფიკური დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნუსხა. აღნიშნულ 2100 ნივთიერებაში შევიდა ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი პრიორიტეტული დამაბინძურებლები, რომელთა კონტროლის ვალდებულება კანონმდებლობის მოთხოვნებით აქვს აღებული ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანას. ასევე ის დამაბინძურებელი ნივთიერებები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ბოლო დროინდელ კვლევებში და რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ასე მაგალითად: ფარმაცევტული პრეპარატები, პესტიციდები, ბიოციტები, ცეცხლსაქრობი ნივთიერებები, საწარმოო ქიმიკატები და მათი დაშლის პროდუქტები. უმეტესი მათგანი ნახშირწყლებია და მათი კონცენტრაცია ხშირ შემთხვევაში აჭარბებდა ტოქსიკურობის ზღვარს. პერფორირებული ნივთიერების PFOS დიდი რაოდენობა, რომელთაც ახასიათებს ბიოლოგიურ ორგანიზმებში (მათ შორის ადამიანშიც) დაგროვების თავისებურება, დაფიქსირებული იქნა მდ. დუნაის შესართავში. ეს ნივთიერება პირველად მდ. დუნაის შესართავში აღმოჩენილ იქნა ანალოგიური ერთობლივი კვლევების წამოებისას 2013 წელს. თევზის ქსოვილებში აღმოჩენილ იქნა ორგანიზმისათვის ტოქსიკური სხვა ნივთიერებებიც: ვერცხლისწყალი და დიოქსინები. პესტიციდების მაღალი კონცენტრაცია დაფიქსირდა არა მხოლოდ უკრაინისა და საქართველოს სანაპირო წყლებში, არამედ ღია ზღვაშიც. ყველა შესაძლო 2100 დამაბინძურებლიდან შავ ზღვაში ნანახი იქნა 145 ნივთიერება. სინჯების დამუშავების შედეგებმა საქართველოს სანაპიროს წყლებში აჩვენა ნივთიერებები, რომლებიც ხვდება ზღვაში ზღვის სატრანსპორტო საშუალებებიდან, კერძოდ - პოლიარომატული ნახშირწყლები. შავი ზღვისათვის საშიშ ნივთიერებათაგან ასევე დაფიქსირდა: პესტიციდები- იმიდაკლოპრიდი , დენოტერბი და მეტაქლორი (სასოფლო-სამეურნეო ჰერბიციდები), ლინდანი (ინსექტიციდი) და ფიპრონილი (ფართო პროფილის ინსექტიციდი, განსაკუთრებით საშიში თევზებისათვის და ფუტკრებისათვის). ზღვის წყალში ასევე დაფქსირდა ისეთი ფარმაკოლოგიური პრეპარატები, როგორიებიცაა ადენოცინი და ტელმისარტანი. გამოვლენილ იქნა საწარმოო პროცესების შედეგად მიღებული ქიმიური ნარჩენები: ბისფენოლი დიბუთილ ფთალატი და მონობუთილენი. ნივთიერება რომელიც წარმოადგენს გარუჯვის საწინააღმდეგო კრემის მთავარ შემადგენელ ნაწილს, ზღვის ორგანიზმებისათვის ზიანის მომტანი კონცენტრაციით იქნა დაფიქსირებული საქართველოს სანაპიროებთან. ორგანოფოსფატების ნაერთები- წარმოადგენენ აალების საწინააღმდეგო ახალი თაობის ნივთიერებებს და ფართოდ გამოიყენებიან ყოველდღიური მოხმარების საქონელში. ისინი აღმოჩენილი იქნა მონიტორინგის თითქმის ყველა სადგურზე ყველაზე მეტი აღნიშნული დამაბინძურებელი ნივთიერება დადგინდა დუნაის შესართავთან და აფხაზეთის მხარის ზღვის სანაპიროზე, ხოლო ერთჯერადი მაღალი კონცენტრაციები დაფიქსირდა მდ. დნესტრთან და საქართველოს სანაპიროზე.

პროექტი: შავი ზღვის ეკოლოგიური მონიტორინგის და ეკოლოგიური ზონის აუცილებლობის შექმნის დამატებითი ფაქტორები

აფხაზეთის მხარის შავი ზღვის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირებული იქნა ზღვაში მცურავი მყარი ნარჩენების დიდი რაოდენობა. მონიტორინგის წარმოებისას შავი ზღვის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა მცურავი მყარი ნარჩენების საკმაოდ მაღალი კონცენტრაცია, რომლებიც ძირითადად სამხედრო ტექნიკის და მასთან დაკავშირებული ნარჩენები აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ზღვის პლაჟებზე ნაგვის დიდ ოდენობას და წარმოდგენილი გვქონდა, რომ შავ ზღვაში ზღვის სანაპიროდან ამდენად მოცილებულ გარემოში წყალი იქნებოდა სუფთა და მასში არ იქნებოდა ნაგავი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისევე როგორც სანაპიროზე, აქაც დაბინძურების გავლენა მკვეთრად იგრძნობა. ზღვის შუა ნაწილში ნაგვის კონცენტრაცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ ზღვის დინებას იგი გადააქვს სანაპიროდან ცენტრალურ ნაწილში. ნაგვის გროვების წარმოქმნას აქვს ერთი დადებითი ტენდენცია- ასეთი ნაგვის „კუნძულები'' იოლი მოსაცილებელია ზღვის ეკოსისტემებიდან. მთლიანობაში ნაგავი, რომელიც ხვდება ზღვაში წარმოადგენს ყველა ზღვის ბინადარისათვის საშიშროებას. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ყველაზე დიდი ზიანი ზღვის ორგანიზმების მიმართ მოაქვს მიკრონაგავს, რომლის ძირითადი ნაწილი შედგება მიკროპლასმასის მცირე ნაწილაკებისაგან. ისინი საკვებთან ერთად ხვდებიან ცოცხალ ორგანიზმებში და წამლავენ მათ. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? სახედრო ტექნიკასთან დაკავშირებული ნარჩენები რადიაქტიულია და ადვილად იწვის.

თავისუფალი ეკოლოგიური ზონა

თავისუფალი ეკოლოგიური ზონა ეკონომიკური ზონის მსგავსად წარმოადგენს მოცემული ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს, რომელშიც, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით, სახელმწიფო რეგულირების გამარტივებული რეჟიმი მოქმედებს. შესაძლებელია თავისუფალი ეკოლოგიური ზონა დაწესდეს არა მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებში, არამედ ამ სფეროთი დაინტერესებული რამოდენიმე ქვეყნის ფარგლებში.

თავისუფალი ეკოლოგიური ზონა მოიცავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას და მის რეალიზაციას გამარტივებულ საბაჟო წესებით. ზონაში ისეთი საწარმოების დაწესებას, რომელიც ზიანს არ მიაყენებს გარემოს, ისეთი საწარმოების მშენებლობას, რომელიც გამიზნულია ტერიტორიის გასასუფთავებლად და ა.შ.

თავისუფალი ეკოლოგიური ზონა მოიცავს შემდეგ შეღავათებს:

- საგარეო სავაჭრო შეღავათებს:

- საბაჟო–სატარიფო შეღავათები: საბაჟო გადასახადების შემცირება ან მოხსნა, ექსპორტ–იმპორტზე დღგ–სა და აქციზური გადასახადის შეღავათიანი სისტემის დაწესება და სხვა;
- არასატარიფო შეზღუდვების (კვოტები, ლიცენზირება, რეგისტრირება) მოხსნა ან შერბილება;

- ფისკალური შეღავათები (შემცირებული გადასახადები);
- საფინანსო შეღავათები (სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები, შენონებითა და მიწით სარგებლობის შეღავათიანი პირობები);
- შეზღუდვების არ არსებობა სავალუტო ოპერაციებზე;
- ადმინისტრაციული შეღავათები (რეგისტრაციის, ანგარიშგების, სავიზო სისტემის გამარტივება).

შავი ზღვის თევზის ქსოვილებში აღმოჩენილია ტოქსიკური ნივთიერებები ვერცხლისწყალი და დიოქსინები - ეშერის ლაბორატორიიდან მომდინარე საფრთხეები

ძალიან დიდი ხმაური გამოიწვია ჩემმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ შავი ზღვა ბინძურდება სოხუმში განლაგებული ეშერას ლაბორატორიის მიერ, რომელიც შეიძლება შავ ზღვაში გოგირდწყალბადის აფეთქება გამოიწვიოს ამის შესახებ ჩვენი მთავრობა და საერთაშორისო ორგანიზაციები დუმან, მაგრამ ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით ყველამ ატეხა ხმაური, ყველაში ვგულისხმობ როგორც საქართველოს, ასევე უცხოურ (ძირითადად რუსულ) მასმედიას, უარესი რუსმა გენერალმა იგორ კირილოვმა, იგორ გიორგაძის უკანონოდ მოპოვებულ ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს თითი დაუქნია, დაემუქრა და ლუგარის ლაბორატორიის დახურვა მოითხოვა, სადაც ლუგარის ლაბორატორიის თანამშრომლის ანა ჟვანიას განმარტებით მხოლოდ მეცნიერული კვლევები მიმდინარეობს. ყოველივე ამასთან დაკავშირებით ქართული ანდაზა მახსენდება: „გაღმა შეედავეო, გამოღმაც შენ დაგრჩებაო“, რომელსაც რუსები ოსტატურად იყენებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით თხოვნით მივმართავ საქართველოს მთავრობას გამოიჩინონ პრინციპულობა და რუსეთის მხარეს მოთხოვონ ეშერის ლაბორატორიის დახურვა, სანაცვლოდ კი შესთავაზონ ლუგარის ლაბორატორიის დათვალიერება, ან კვლევაში მონაწილეობის მიღება, ამის სრული უფლება აქვს რამეთუ ორივე ლაბორატორია საქართველოს ტერიტორიაზეა განლაგებული და ანდაზის ბოლო გამონათქვამი დროებითი გარემოებაა; ამასთან საზოგადოებას ვაცნობებ ეშერის ლაბორატორიის შედეგს: ბოლო 20 წლის განმავლობაში გოგირდწყალბადის ფენა 20-25 მ-ით აიწია და, ასევე, შავი ზღვის თევზის ქსოვილებში აღმოჩენილ იქნა ადამიანის ორგანიზმისათვის საშიში ტოქსიკური ნივთიერებები – ვერცხლისწყალი და დიოქსინები. მაშასადამე ჩნდება კითხვა: რა უფრო საშიშია? ჩემი მოსაზრებით: ცუდი მეზობელი, რამეთუ იგივე ქართული ანდაზა ამბობს: „მეზობელო კარისაო სინათლე ხარ თვალისაო“; ბოდიში, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე უნდა ითქვას: „მეზობელო კარისაო სიბნელე ხარ თვალისაო“.

დამშეული და გაღატაკებული ხალხი მარიხუანას მოყვანასაც დათანხმდება და სათავეშიც ჩაუდგება, ოღონდ თავი გადაირჩინოს

- *რას ემსახურება ლარის კურსის წინასწარი, დაბალი ნიშნულით გამოცხადება და რა კავშირშია ეროვნული ვალუტის კურსი კანაფის წარმოება/კულტივაციის სამთავრობო გეგმასთან?*

- ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ტროას ომის მეათე წელს ბერძნების მიერ ოდისევსის წინადადებით აგებულ იქნა უზარმაზარი ხის ცხენი, რომელშიც ბერძნებმა რჩეული მებრძოლები ჩასხეს, ბერძნებმა ხის ცხენი მიაგორეს ტროას კარებთან, ძღვენის ნიშნად, თითქოს-და ომს თავი მიანებესო, ჯარი უკან დახიეს, მაგრამ არ გაუწვევიათ. ტროაელებმა დაუჯერეს ბერძნებს და ცხენი ქალაქის შემოგარენში შეაგორეს. მხოლოდ აპოლონის ქურუმი ლაოკოონი აღუდგა წინ ამ განზრახვას, მაგრამ ტროელებმა არ დაუჯერეს ქურუმს. ღამით, როდესაც ტროელებმა ღრმა ძილს მისცეს თავი, ცხენიდან ბერძენი მეომრები გამოვიდნენ, თავინთ ჯარს ქალაქის გალავნის კარი გაუღეს და ტროა მიწასთან გაასწორეს. მე არ ვარ ლაოკოონი და არც ჩვენი პარლამენტარები არიან ანტიკური ხანის გმირები, მაგრამ მსგავსი განზრახვა ამოძრავებთ.

- *ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?*

- აი დააკვირდით: როგორც საქართველოს ხელისუფლება აცხადებს საქონლის ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლის განმავლობაში 30%–ით, ხოლო ფულადი გზავნილები 20%–ით გაიზარდა, მაგრამ ლარმა ოქტომბრის თვიდან გაუფასურება დაიწყო და 1 აშშ დოლარის ფასი 2.62 ლარი, ხოლო 1 ევროს ფასი კი 3. 03 ლარი შეადგინა. როგორც ანალიზმა გამოავლინა, ლარის კურსის ვარდნა ძირითადად დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან:

1. სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ადგილობრივი ვალუტის დევალვაციის პროცესთან;
2. იმპორტის ზრდით, რაც იწვევს ვალუტის გადინებას;
3. საქართველოს საექსპორტო პროდუქციაზე მსოფლიო ბაზარზე ფასების და, საერთოდ, ექსპორტის შემცირებით;
4. ლარის კურსთან მიმართებაში ნეგატიური მოლოდინების შექმნით, რასაც სამწუხაროდ, ხელს უწყობს მთავრობის, ხელისუფლების, სხვადასხვა პოლიტიკოსების, თუ პოლიტიკური პარტიების, მასმედიის და ეკონომიკის ექსპერტთა მხრიდან თემის სპეკულაცია. (დაიმახსოვრეთ! ამ უკანასკნელი ფაქტორის ოსტატურად გამოყენება შეიძლება).

ამ დროს როგორც ზემოთ აღვნიშნე შემოსავლები გაიზარდა, მაშ რა ხდება? რა და ტროას ცხენზე ამხედრებული ბიზნეს ინტერესები ნაბიჯ–ნაბიჯ გვეპარება.

- *თქვენი აზრით, ლარის კურსის ხელოვნურად გაუფასურებისა და მოსახლეობის მიზანმიმართულად გაღატაკების პროცესი მიმდინარეობს?*

- დიახ გაღარიბებული, დამშეული, სასოწარკვეთილი ხალხი არა მარტო მარიხუანას მოყვანაზე დათანხმდება, არამედ თავადაც კი ჩაუდგება სათავეში, ოღონდ თავი გადაირჩინოს. დიახ სწორედ ამას ემსახურება ლარის კურსის წინასწარი დაბალი ნიშნულით გამოცხადება და მისი ხელოვნურად გაუფასურება.

- *მოსახლეობამ და ეკონომიკურმა სექტორმა რა უნდა გააკეთონ, რომ მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება თავიდან ავიცილოთ?*

- მოსახლეობამ და ეკონომიკის ექსპერტებმა მთავრობას და ეროვნულ ბანკს უნდა მოთხოვონ, რომ ყოველთვიურად გამოაქვეყნონ სავალუტო რეზერვების მონაცემები და გამჭვირვალე გახადონ მიზნობრივი ინვესტიციები. საინტერესოა, რატომ აიწია ევროს კურსმა, როცა გერმანიამ მნიშვნელოვანი თანხა მოგვცა? უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის გასაჯაროება. ასევე უნდა მოითხოვონ იმპორტის გადასახადის გაზრდა იმ საქონელზე, რომელიც საქართველოში იწარმოება; ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს სამართლებრივი, ანუ რეფერენდუმის ჩატარების გზით. რაც შეეხება კანაფის კულტივაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამაზე ხალხმა ეკლესიასთან ერთად დაუმორჩილება უნდა გამოაცხადოს.

საქართველოს
საგვარეულოთა კავშირი
,,გვარი და გვარიშვილობის"
გამგეობის თავმჯდომარე

ვაჟა ნადირაშვილი

გვახსოვდეს ვისი გვარისანი ვართ

ქართველთა ამქვეყნიური სამებაა ენა, მამული, სარწმუნოება, რომელსაც სახლიშვილობა, გვარიშვილობა და მამულიშვილობა ასაზრდოებს.

გვარი საერთო სახელწოდებაა ადამიანთა ისეთი ჯგუფისა, რომლის წევრები თავიანთ წარმომავლობას საერთო წინაპარს უკავშირებენ.

გვარს განმარტავენ, როგორც ,,მემკვიდრეობით საოჯახო სახელწოდებას, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და შვილს მამისაგან, დედისაგან ან ცოლ-ქმრისაგან გადაეცემა".

გვარს ისტორიულ საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, ,,ძველ საქართველოში გვარი და საგვარეულო წყობილება მაშინდელი ცხოვრების დედა-ბოძი იყო. დაბა-სოფლებიც და ქალაქებიც იმნაირადვე იყვნენ მოწყობილნი, როგორც საგვარეულო, იმიტომ, რომ უმეტეს შემთხვევაში თითოეული სოფელი მხოლოდ ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა". ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით სიტყვა ,,გვარი' XI-ე საუკუნემდე ქართული სამწერლო ენაში არა ჩანს. საქართველოში მხოლოდ ორი სიტყვა იყო ადამიანების ურთიერთშემაკავშირებელი, ეს სიტყვებია ,,ნათესავი" და ,,სახლი". ხოლო ერთი და იგივე საგვარეულოს წევრს და ერთიდაიმავე გვარის მქონებელ ადამიანს ქართულად ,,სახლიკაცი" ან ,,სახლიშვილი" ეწოდებოდა და ახლაც ეწოდება. აქედან ჩანს, რომ გვარს უძველეს დროს ,,სახლი" ჰრქმევია. საქართველოს იმ უხუცეს წევრს, რომელსაც გვარის საერთო ქონების მართვა-გამგეობა ჰქონდა ჩაბარებული ,,მამასახლისი" ჰქვიოდა.

საქართველოში სოფლები XVIII საუკუნის დამლევამდე გვარეულობად ყოფილან დასახლებულნი. უძველეს დროში საქართველოში სუფევდა საგვარეულო წყობილება. იგი გაბატონებული იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სოფლის, ტბის, ქალაქის და შემდგომ ქვეყნის-სახელმწიფოს მმართველი ,მამასახლისი იყო. შემდგომ უმაღლეს ხელისუფალს, განუსაზღვრელი უფლებებით ქართველი ხალხი ,,ხელმწიფეს" უწოდებდა.

გვარი ღირსების, სახელოვანობის გამოხატულება იყო, ამიტომაც ნიშნავს სიტყვა ,,გვარიანი~ საკმაოდ კარგს. გვარი იყო გვარის წევრების დაცვისა და ძლიერების განმაპირობებელი, გვარი საგვარეულო საკუთრებასა და ტერიტორიულ ერთობასაც იცავდა.

როგორც გვარი ზრუნავდა საგვარეულოს წევრებზე, ასევე გვარის წევრიც იცავდა საგვარეულოს ღირსებას.

რაც უფრო ღრმად შევისწავლით გვარებს, მით უფრო ნათელი გახდება მათი კეთილშობილება, ერისა და ქვეყნის წინაშე თითოეულის დამსახურება; მთავარია, ყველამ ვიცოდეთ, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ.

ხალხი გამორჩეულ პატივს სცემდა ისეთ გვარს, რომლის წარმომადგენლები ზნეობით, გონიერებით, თავდადებით ემსახურებოდნენ ქვეყანას.

გვარი, როგორც ადამიანთა ერთობა, უმნიშვნელოვანესია დღესაც. ოჯახში, გვარში აღზრდილ-გამოწრთობილი პიროვნებები, ოჯახიშვილები, გვარიშვილები ქმნიან ძლიერ საზოგადოებას, სამართლებრივ სახელმწიფოს. ეს აუცილებელია მსოფლიოს ცივილიზებულ თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. პიროვნება გვარს ამშვენებს, გვარი _ სამშობლოს. საქართველო ღირსეულ, სახელოვან გვართა და პიროვნებათა ქვეყანაა. ამ მადლიან მიწაზე ყველა გვარი კეთილშობილია...

საქართველოში საგვარეულო მოძრაობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო. ინიციატორი გახლდათ გაზეთი ,,რაოე" და მის ირგვლივ მყოფი მეცნიერ-შემოქმედთა ჯგუფი. იდეის მხარდამჭერი და თანამდგომი გახლდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი.

2003 წელს დაფუძნდა საქართველოს საგვარეულოთა კავშირი ,,გვარი და გვარიშვილობა".

დამფუძნებლები გახლდათ ბატონები: ლევან ფრუიძე, ბონდო გაგნიძე, თენგიზ მაისურაძე, გრამიტონ კვარაცხელია და ზურაბ ჭავჭანიძე.

სწორედ ისინი იყვნენ პირველი გამგეობის წევრებიც. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი ლევან ფრუიძე. კავშირის საქმიანობის მიზანი იყო: საგვარეულოთა კავშირების ჩამოყალიბება, გვარების ისტორიის შესწავლა და საგვარეულო მატიანეების შექმნა, ქართული ტრადიციების შენარჩუნება და პროპაგანდა, ეროვნულ-ქრისტიანული სიწმინდეების დაცვა და მოვლა, გვარების წარდგენა პატრიარქთან დასალოცად. პირველი მაისურაძეთა გვარი დაილოცა, გვარის აქტიურობისათვის. ფაქტიურად ამით დაიწყო გვარების დალოცვა.

2009 წელს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის" იურიდიულ მისამართად თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარი განისაზღვრა. გამოეყო კელია. საქმიანობა გაიშალა სამების ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში. გამგეობა შეივსო ახალი წევრებით. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბატონი ავთანდილ არაბული. გაფართოვდა საგვარეულო კავშირების დაფუძნების არეალი.

გვარებმა გააქტიურეს მუშაობა: ეკლესია-მონასტრების აღდგენის და მოვლა-პატრონობის, საკუთარი ფუძე-ადგილების მოძიების, სოფლების აღორძინების, გვარების ისტორიის შესწავლის და სხვა. მათი დამსახურების გამო გვარები წარდგენილ იქნენ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის წინაშე დასალოცად.

ქართველი კაცის ცხოვრება ძირეულად იყო დაკავშირებული ეკლესიასთან. საეკლესიო მშენებლობა სულიერ სიმშვიდეს და სიამაყეს აძლევდა ადამიანს. თითოეულ გვარს თავისი სალოცავი ჰქონდა, რომელიც გვარს იდეოლოგიურად კრავდა და ღმერთის, მამულისა და ქართველი ერის სამსახურში აყენებდა. მრავალმა გვარმა აღადგინა და ააშენა ეკლესიები.

გამოვიდა გაზეთი ,,გვარიშვილობა", რომელიც შემდეგ ჟურნალად გადაკეთდა. მოგვიანებით გამოვიდა ახალი გაზეთი ,,გვარი და ტრადიცია". გაზეთებში და ჟურნალებში იბეჭდებოდა ინფორმაციები საგვარეულო მოძრაობის, საგვარეულო კავშირების საქმიანობისა და გვარების ისტორიების შესახებ.

2015 წლის 26 ნოემბრიდან საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია ,,ერთსულოვნებამ" პირველად მოაწყო 20 წუთიანი გადაცემა საგვარეულო მოძრაობის შესახებ.

ამ დღეს გადაცემაში მოიწვიეს კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის" გამგეობის თავმჯდომარე ლევან ფრუიძე და თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ნადირაშვილი. აქედან დაწყებული ორი წლის განმავლობაში ყოველ პარასკევს შუადღის პროგრამაში გვარების წარმომადგენლები მოუთხრობდნენ ტელემაყურებლებს თავიანთი გვარისა და საქმიანობის შესახებ.

გვარებმა შექმნეს თავიანთი სიმბოლოები (დროშა, გერბი, ლოგო) დააწერინეს მფარველი ხატები. ამუშავდა სამეცნიერო საბჭო.

გაიზარდა შექმნილ საგვარეულოთა კავშირების რაოდენობა. ამიტომ გვარების წინამძღოლთა ურთიერთ დაახლოებისა და შეკავშირებისათვის შეიქმნა გვარების წინამძღოლთა დარბაზი. დარბაზის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ლევან ფრუიძე, ხოლო დარბაზის საპატიო თავმჯდომარედ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი. დარბაზის შეკრებაზე ერთობლივად იხილებოდა საგვარეულო მოძრაობის განვითარებისა და კონკრეტული ღონისძიებების ჩატარების საკითხები, მათ შორის სოფლების აღორძინების, მიწების გასხვისების, ქართველი ერის დემოგრაფიული მდგომარეობის, მცირერიცხოვანი გვარების, რაჭის გადარჩენის, მონარქიისა და ,,საქართველოს სამეფო სახლთან" ურთიერთობის, ელექტრო ენერგეტიკისა და დიდი და მცირე ჰესების მშენებლობის, აჭარის მამულიშვილთა კავშირის, ფიცის კაცობის ინსტიტუტის აღდგენის, საზღვარგარეთ მყოფ და დევნილ გვარებთან ურთიერთობისა და სხვა საკითხები.

ძალზედ მნიშვნელოვანია გვარების შეკრებები თავიანთ ძირძველი ადგილის დედა-ფუძეში. ამის მაგალითია ბაღდავაძეების გვარი. ისინი ყოველწლიურად იკრიბებიან ბაღდავაძეების კომპაქტურად დასახლებულ - სავარაუდოდ გვარის წარმოშობის ადგილებში. ვანის რაიონის სოფელ ზენობანში, ჭყვიშში, სამტრედიაში. ეს კიდევ უფრო კრავს გვარს და აახლოვებს ერთმანეთთან. მათ სპეციალური ორდენი დააწესეს აქტიური და გვარის გამოჩენილი პიროვნებებისათვის დასაჯილდოებლად. კავშირი აღიარებს და პრაქტიკული საქმიანობით ადასტურებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს ქართველი ერის სულიერ და ზნეობრივ ფასეულობათა დამკვიდრებაში; ამასთანავე, პატივს სცემს სხვა ტრადიციულ კონფესიებს, აღიარებს რწმენისა და სინდისის თავისუფლებას.

საგვარეულო კავშირების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია საქართველოში არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარება: მოსახლეობის რაოდენობის, შობადობისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება. იზრდება ნასოფლარები განსაკუთრებით _ მთაში. არსებული დემოგრაფიული სურათის გასაცნობიერებლად მნიშვნელოვანია გვარების შესწავლა.

საქართველოში დღეს ათასობით გვარია, მათ შორის - დიდი წარსულის მქონე, რომელთაც გადაშენების საფრთხე ემუქრება; ბევრ გვარში _ რამდენიმე ათეული, ზოგჯერ კი - თითო-ოროლა ადამიანია შემორჩენილი, რაზეც ამ გვარების წარმომადგენლებს და საზოგადოებასაც ხშირად ინფორმაცია არა აქვთ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირმა ,,გვარი და გვარიშვილობამ" გამოსცა წიგნი ,,გვარსახელები საქართველოში". წიგნი ეყრდნობა სამოქალაქო რეესტრის მონაცემებს. აქ წარმოდგენილია საქართველოში მცხოვრები 96915 გვარი. შესულია ქორწინების შედეგად ან სხვა ვითარებაში მიღებული შერწყმული გვარები, არაქართული მოსახლეობის ქალისა და მამაკაცის განმასხვავებელი დაბოლოვებულიანი გვარები. ასევე გვარები, რომლებიც მხოლოდ ერთ ან ორ პიროვნებას ითვლის, ასეთი გვარების რაოდენობა შეადგენს 51124-ს.

თითოეული ქართველის, მოქალაქის ვალია ზრუნვა ქართველი ერისა და საქართველოს გადარჩენისათვის.

კავშირი დღესაც აქტიურად მოქმედებს, კონტაქტებს ამყარებს გვარებთან, ეხმარებიან მათ კავშირების ჩამოყალიბებაში. ყველა პიროვნება უნდა იყოს თავისი გვარის პატრიოტი. მან უნდა წარმოაჩინოს გვარი და გვარის ღირსეული პიროვნებები, შეისწავლოს გვარის და წინაპართა ისტორია, გვახსოვდეს ვისი გვარისანი ვართ.

ნინო რაზმაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" იურიდიული და ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტების წევრი

არასამთავრობო ორგანიზაცია „ღირსება = თავისუფლება" თავმჯდომარე

წერილი I

გია ვახტანგის ძე აბესაძე

(1956 – 1991)

„თუ საქართველოს გაერთიანებას მსხვერპლი სჭირდება, დე, მე ვიყო იგი, ოღონდ უკანასკნელი"

გია აბესაძე

გია აბესაძე ერთი ქართველი, თბილისელი, ჩვეულებრივი ბიჭი იყო.

ლესელიძის ერთ-ერთ გადამკვეთ ქუჩაზე ცხოვრობდა. დღეს ეს ქუჩა მის სახელს ატარებს.

სახელმწიფო გადატრიალების დროს მან ცეცხლი წაიკიდა და თავი ცოცხლად დაიწვა.

ის საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ქართველი ხალხის ერთობაზე ოცნებობდა.

მისი ბოლო სიტყვები, მწარე და სატირალი რომ არ იყოს ..., თითქოს მიუწვდომელი და სასაცილოა ბევრისათვის, უსამშობლო ქართველისთვის?!

ბოლო წლების ყველაზე მასშტაბური პროტესტი 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილი იყო, ყველაზე შემაძრწუნებელი კი - ალბათ, გასული საუკუნის 1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარი ტრაგედია - სახეწლმწიფო სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება, როცა ექიმმა გია აბესაძემ რუსთაველის გამზირზე თავი დაიწვა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი და პოლიტიკურად დაბრმავებული ქართველების ყურადღების მისაქცევად.

. . . 1991 წლის სექტემბერში საქართველოში პოლიტიკურმა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი - კიტოვანი გვარდიის მხედრული ფიცის გამტეხ მცირე ჯგუფთან ერთად თბილისის ზღვაზე დაბანაკდა. ავტობუსებით ჩაიხერგა რუსთაველი. დაიყო ქართველი ერი. ერთ-ერთ მიტინგზე ბრმა ტყვიამ გია ტეტელაშვილი იმსხვერპლა. დაიწყო სისხლისღვრა ...

სწორედ, ამ საგანგაშო მოვლენების ფონზე ვითარდება ეს უდიდესი ტრაგედია - იმ შენობის წინ, სადაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ) მართავდა მიტინგებს, ახალგაზრდა კაცი მივიდა,**რათა ეთქვა მათთვის შეეწყვიტათ საქართველოსათვის დამღუპველი ქმედება.** ცოტა ხანს იდგა და უსმენდა ერთ-ერთ ლიდერს. მერე გვერდით მდგომს რაღაც წერილი მიაწოდა „- ეს გამომართვიო და ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა ... ბენზინი გადაისხა და სანთებელას გაჰკრა ... ცეცხლი უცებ აბრიალდა კვარივით ... ხალხი შეჩოჩქოლდა, უცებ მოვიდნენ გონს, მისცვივდნენ ალმოდებულს და ცეცხლი ჩააქრეს. დამწვარი ძირს ეგდო და რაღაცას ბუტბუტებდა. ერთ-ერთი დაიხარა და ყური ტუჩებთან მიუტანა. **ცეცხლწაკიდებული ერთსა და იმავე ფარაზას იმეორებდა: „გაუმარჯოს საქართველოს!**

მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ კაცი, რომელმაც ქართველთა გამოსაფხიზლებლად საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად გაიღო, ექიმი-კარდიოლოგი გია აბესაძე იყო, **ჰყავდა მეუღლე და ერთი ქალიშვილი.** თუმცა მაშინ ურთიერთსიძულვილი, ქიშპობა და უგუნურება იმდენად მძვინვარებდა, რომ თანამოძმის თავშეწირვა არად ჩააგდეს. უბედურება მაინც მოხდა - ტყვიაც გავარდა, სისხლიც დაიღვარა და ძმათამკვლელი საზარელი ომიც დაიწყო. აღარავის ესმოდა იმ პატარა ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ერთი ჩვეულებრივი ქართველი კაცის მუდარა: „თუ ქართველთა შერიგებას და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო. ღმერთა ქნას - ბოლო. შვილო, მაპატიე, ვიცი, რომ გამიგებ". **იგი ნახევრად დამწვარი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც 48 საათი იცოცხლა, შემდეგ კი ჰაერის უკმარისობით გარდაიცვალა.**

მისი დაკრძალვის დღე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ეროვნული გლოვის დღედ გამოაცხადა.

ამ შემთხვევას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. გამოხმაურებამ კამპანიური ხასიათი მიიღო. არკვევდნენ, რომელ პარტიას ეკუთვნოდა გია აბესაძე. მისი საქციელი ბევრისათვის დღესაც ამოუცნობია, ზოგი მის ფსიქიკაზეც საუბრობდა. ვფიქრობ, განსახილველი არაა ის, რომ მან თავი სამშობლოს, საქართველოს შესწირა . . .

„. . . თავი შესწირა იმიტომ, რომ შევარდნაძისაგან მართული ჭანტურია-წერეთელი გამოეფხიზლებინა"- ამბობს პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე.

„ძალიან მტკივა გული, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი არ აღიარეს ... მეგონა, მამაჩემს ყველაზე მეტად მე ვუყვარდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველო ჩემზე მეტად

ჰყვარებია."- წერდა გია აბესაძის ერთადერთი ქალიშვილი ეკა, რომელსაც ბარათი დაუტოვა სიკვდილის წინ - „შვილო, მაპატიე, გაიზრდები, გამიგებ".

გია აბესაძის ქმედება - თავგანწირვა ბოლომდე გაცნობიერებული აქტი იყო . . . მან სამშობლოს შესწირა თავისი სიცოცხლე!

საქართველოში მიმდინარე პროცესები არც ამ ტრაგედიის მერე შეცვლილა, პირიქით, მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა ...

სამწუხაროდ დღესაც არ იციან ვინ იყო გია აბესაძე. ახალგაზრდებმა არ იციან ჭეშმარიტი უახლესი ისტორია. მალე, ალბათ, ქართულ ბიბლიოთეკას, თავსმოხვეული მარიონეტული მსოფლმხედველობით, შეცვლის უცხოური ბიბლიოთეკა . . .

უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა ისიც კი არ იციან წესიერად, რა არის იურისპრუდენცია, სამართალი და კანონიერება . . . დღეს, როგორც არასდროს საფრთხის წინაშე დგას ეროვნული თვითმყოფადობა. ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც საზოგადოება კითხულობს არა იმას, თუ რატომ აქვს ასე მცირე პენსია, არამედ, როდის ექნება იგი. მდგომარეობა სავალალოა . . .

ასეთი დიდებული ადამიანები კი, როგორიც გია აბესაძეა უკვალოდ არ უნდა დაიკარგონ.

გია აბესაძე ალბათ იმედოვნებდა, რომ მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს მოჰყვებოდა შედეგი და არა მხოლოდ განხილვა.

მაშ, გავიხსენოთ გულწრფელი ადამიანი . . . „საამაყო ქართული საზოგადოების" შემხედვარე გია აბესაძემ ხომ, 1991 წელს, რუსთაველზე, პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა . . . ის იყო ადამიანი, რომელსაც წრფელი გულით სჯეროდა, რომ მისი ქმედება შეაჩერებდა დაპირისპირებას.

ეს თემა უბრალოდ გიას გახსნებაა ... ნამდვილი გმირობის დეფინიციის სხვაგვარი ხედვაა ...

უფალს მიეტევებინოს მისთვის სამშობლოს გამო ჩადენილი მომაკვდინებელი ცოდვა და აცხონოს იგი!

პოლიტიკური პარალელების გავლებას არ ვაპირებ, მაგრამ ვთვლი რომ მიუხედავად მომაკვდინებელი ცოდვისა გია აბესაძემ თავისი თავგანწირვითა და გმირობით ნამდვილად უნდა დაიმკვიდროს საპატიო ადგილი საქართველოს ისტორიაში...

იგი იყო სამართლიანობის, კანონიერებისა და ეროვნული ხელისუფლების ჭეშმარიტი მხარდამჭერი . . . როცა ამ ნაბიჯზე წავიდა, როგორც ამბობენ, მან საქართველოს პრეზიდენტს - ბატონ ზვიად გამსახურდიას წერილი დაუტოვა. ის წერილი კოლხური კოშკის გადაბუგვისა და განადგურების შემდეგ დაიკარგა, თუმცა, ამბობენ წერილის ასლი არსებობსო . . .

... მას შემდეგ გავიდა 27 წელი . . .

რა შეიცვალა ამ საპროტესტო სუიციდით, გარდა იმისა, რომ ყოფილი პირველი მაისის ქუჩა დღეს ,,გია აბესაძის ქუჩად იწოდება? . . . სამწუხაროდ, არაფერი! . . .

ისევ არიან ,,იმისტები და ამისტები"! ისევ იმართება საპროტესტო აქციები ... სასიკეთოდ შეცვლით კი, არაფერი იცვლება!

შეიცვალა ის რომ, ქვეყნის ტერიტორია შემცირდა, რუსეთმა, ამერიკის და ევროპის პასიურობის გამო მიიტაცა ქართული მიწები, საქართველო იძულებით დატოვა თითქმის 2 000 000-მა ადამიანმა, მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდნენ და გაიზარდა უმწეოთა რიცხვი! საქართველო, ყველაზე ღარიბ ქვეყანათა ჩამონათვალში მოხვდა!

აქედან, ზოგიერთი ობივატელი აკეთებს დასკვნას: განა ღირს ასეთი მსხვერპლის გაღება, თუ კი ,,მზე ისევ ჩვეულებრივად ამოვა და ჩავა, ... იწვიმებს, გამოიდარებს ძველებურად ... თუ კი, მოქალაქეების ხარჯზე კვლავ გამდიდრდებიან ,,რჩეულები" და ,,არჩეულები,"?... და ურცხვად გვირჩევს - მეგობარო, არ სცადო სუიციდი (პოლიტიკური, ან პატრიოტული მოტივით) . . . რომელიმე ქუჩას შენს სახელს და გვარს უწოდებენ (შეიძლება არც უწოდონ) და ამით მორჩება შენი ,,თავგანწირული სულისკვეთება"! ... ღირს განა?!

. . . ღირს! სამშობლოსადმი სიყვარული და მისდამი თავგანწირვა, ყოველთვის ღირს!

სექტემბერემა გამახსენა ის დღეები და ალმოდებულ საქართველოში ალმოდებული გია აბესაძე!

საქართველოში დღევანდელი გაუსაძლისი, უსამართლო და დამღუპველი ყოფის პირობებში საჭიროდ ჩავთვალე წამომეწია ეს თემა. მაშ, გავიხსენოთ გულწრფელი და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი - გია აბესაძე . . . ეს თემა კი, უბრალოდ მისი გახსნებაა ...

. . . . . .

. . . იყო ასეთი იდეა, რომ ჭურვი, რომელიც გავარდა მერიოტიდან 1991 წლის დეკემბერში, შეერჭო ხეს, არ აფეთქდა და დღესაც არის გაჩხერილი მთავრობის სახლთან, მარჯვენა მხარეს ნაძვში, უნიკალური სიმბოლური მოგონებაა, ამიტომაც აი, ეს ჭურვი, ან ჩაჯდეს უნდა ჩარჩოში, ან შემოიღობოს, ან შეიღებოს, რომ იყოს გამოკვეთილი და გახდეს თვალსაჩინო, რათა იყოს ძეგლი იარა იმ ავბედით დღეთა მოსაგონებლად, რათა არასოდეს განმეორებულიყოს! ვფიქრობ, ესეთი ცოცხალი ძეგლი საჭიროა, გამზადებულია და თან კონტექსტურია, თანაც იქ დგას, სადაც უნდა იყოს. როცა კი, ხე, დაბერდება და გახმება, ეს ნაწილი ამოვჭრათ და მივუდგათ გვერდზე 9 აპრილის ქვას. . . სანამ „პუტჩისტები" დაუსჯელები დადიან, მანამ ყველას ექნება მიდრეკილება საზოგადოების დაპირისპირების გაღვივებაში, ამიტომ აუცილებელია მათი დასჯა, რათა ვინც აწი და მომავალში დააპირებს, საზოგადოების გახლეჩვას და დაპირისპირებას, ყველას უნდა გაეცეს საკადრისი პასუხი. საზოგადოებამ კი თვალი გაახილოს, რათა არ გახდეს ბრმა იარაღი სახელმწიფო გადამტრიალებლების - პუტჩისტების ხელში და არასოდეს განმეორდეს მსგავსი საშინელება.

. . . . . .

ღმერთმა ნათელში გამყოფოს გია!
მჯერა რომ ბევრს ახსოვხარ და ემახსოვრება შენი გმირობა!

წერილი II

არსებობს ღმერთი?

უნივერსიტეტის პროფესორმა ეს კითხვა სტუდენტებს დაუსვა. ღმერთმა შექმნა ყველაფერი?

სტუდენტებმა უპასუხეს: დიახ!

პროფესორმა მიუგო: - თუკი ღმერთმა შექმნა ყველაფერი, მაშინ ბოროტებაც მან შექმნა, რადგან ბოროტება არსებობს და აქედან გამომდინარე, ღმერთიც ბოროტია. სტუდენტები გაჩუმდნენ.

შემდეგ ერთ-ერთი სტუდენტი ადგა და ჰკითხა: – პროფესორო, სიცივე არსებობს?

– ეს რა კითხვაა? ცხადია, არსებობს. განა არასდროს შეგცივებია?

– არა, სერ! სიცივე არ არსებობს. ფიზიკის კანონების მიხედვით, ის რასაც სიცივედ ვთვლით, სითბოს ნაკლებობაა. აბსოლუტური ნული (-273°C) კი სითბოს აბსოლუტური ნაკლებობაა. სიცივე არ არსებობს, ეს სიტყვა იმისთვის გამოვიგონეთ, რომ აღგვეწერა მდგომარეობა, რომელსაც სითბოს ნაკლებობა იწვევს.

– პროფესორო, არსებობს სიბნელე?

– ცხადია, კი.

– კიდევ ერთხელ ცდებით, სერ! სიბნელე სინათლის ნაკლებობაა. ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ სინათლე, მაგრამ არა სიბნელე. თქვენ ვერ გაზომავთ სიბნელეს. სიბნელე ის ცნებაა, რომელიც სინათლის გარეშე ყოფნას აღნიშნავს.

– სერ, არსებობს ბოროტება?

– რა თქმა უნდა, ეს უკვე ვთქვი. ჩვენ მას ყოველდღე ვხედავთ. დანაშაული და ძალადობაა გამეფებული მსოფლიოში.

– ბოროტება არ არსებობს, სერ! ბოროტება – ეს ღმერთთან დაშორებაა. ის სიბნელისა და სიცივის მსგავსია. ღმერთს არ შეუქმნია ბოროტება, ბოროტება ის მდგომარეობაა, რომელიც ჩნდება მაშინ, როცა ადამიანი კარგავს ღმერთის სიყვარულს.

სტუდენტის სახელი იყო ალბერტ აინშტაინი.



მადლობელი ვარ ყველასი,

ვინც დახმარებაზე უარი მითხრა!

სწორედ, ამის გამოა, რომ შევძელი

თავად გამეკეთებინა ყველაფერი!

ალბერტ აინშტაინი

წერილი III

გრიგოლ რობაქიძის ანდერძი

ჩემმა მკითხველმა იცის, თუ როგორ მესახვის მე მცხეთა. იგი წმინდა საშოა ჩვენი მიწისა. იქ ეგულებოდა ჩემს ძვლებს საფლავი კარდჰუსი. მცხეთის მიდამო აირჩიეს ძველმა მოგვებმა ერთი ადგილი: იქ ადიდებდნენ და თაყვანს სცემდნენ ისინი მზესა ცეცხლს. მცხეთის უბეში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული. აქ გამოსჭრა ნინომ ჯვარი ვაზისა ნასხლეტებისაგან და მოახვია მას თავის თმები. იქვე მტკიცდებოდა ხელმწიფობა საქართველოში.

აი, მცხეთა, როგორც კამარა მოკლებული „მთელი" - ერთი დაუწერელი პოემა ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთობისა. „სვეტიცხოველი" ამ ზიარების ქვით ნაშენი ტანია. შედიხარ ტაძარში და ამჩნევ კუთხეში პაწა სალოცავს ძველის ძველად აშენებულს. ტაძრის მშენებლებს იგი არ დაუნგრევიათ.

თუ ზემოხსენებული ამბები ქართული გენიის ნაპერწკალია, ეს სალოცავი ამ მადლის განმარტებაა თვითონ, იგი თითქოს აკვანია იმ პირველი ლოცვისა, რომელიც აქ აღმოხდათ ღვთის ძის მიმართ მღვივარ გულებს. ჩვენს ძველებს ხელი არ უხლიათ მისთვის, რათა არ წაშლილიყო პირველი ლოცვის ნეტარმაცხოვლებელი კვალი. რა სინაზეა აქ, რა სისუფთავე ნივთიერებისადმი, რომელშიაც ადამიანში შობილ ღვთიურ ნაკადს გაუვლია.....

ჩემი ნატვრაა: როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, წიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს...

გრიგოლ რობაქიძე

აი, ასეთია გრიგოლ რობაქიძის თხოვნა-ანდერძი - სვეტიცხოვლობას, სვეტიცხოვლის ტაძარში, ვინმემ ერთი სანთელი ჩემი სახელით დაანთეთო!

ალბათ, ეს თხოვნა ბევრმა იცის და დაუნთებენ კიდეც! . . .

თანამემამულენო, თანამებრძოლებო, მაშ, დავანთოთ სანთელი, იქნება და . . . გადავრჩეთ კიდეც საერთოდ!!! . . .

რამეთუ, „ - ჯერ ისევ ბოროტად ბოლავს რუსთაველის გამზირის შემოგარენი. ისევ გაისმის ავტომატების კაკანი და ჰაუბიცების გრიალი. ისევ იღვრება სისხლი. ისევ დუმს თემიდა, არა თვალაკრული, არამედ - თვალდავსებული. საქართველო ყოველმხრივ გაძარცვულია. დაჩეხილ-დანაწევრებული, მიწაზე გართხმული და სულში ჩაფურთხებული ჩვენი სამშობლო, წინაპართა სისხლით გაუღენთილი და ძვლებით გაპოხიერებული ქართული მიწა, ჩვენივე შვილებისა და შვილიშვილების მომავალი მოითხოვს:

ჩვენ უნდა დავასრულოთ 22 დეკემბრის დიდი ღამე. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უნდა გავათენოთ 23 დეკემბრის დილა. ჩვენ უნდა აღვადგინოთ თარიღთა კანონზომიერი ცვლა ქართულ ჟამთაბრუნავში. ჩვენ უნდა ავაღორძინოთ 9 აპრილის სული. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საწყევრად არ დავუტოვოთ სახელი შთამომავლობას.

ჯერჯერობით კი ... სამწუხაროდ, კვლავ ნერვიულად ადგილზე ტოკავს ენერგიაგამოცლილი საქართველოს ჟამიერი, გაჩერებული საათის წამების ისარი.

კვლავ 1991 წლის 22 დეკემბერია ქართულ კალენდარზე".

აი, ამ სამი წერილით სწორედ ეს მინდოდა მეთქვა ჩვენი შვილებისათვის, მომავალი თაობისათვის, რომ „აწმყო, შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა".

ნინო რაზმაძე

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა . . .

სამწუხაროდ ამ ქვეყანაში ღმერთი და მღვდელი კვლავ ჰგონიათ ერთი!

მაცხოვარმა ერთ (საძირკველზე) დააფუძნა ეკლესია. მართალია, თავისი აღდგომის შემდგომ მან ყველა მოციქულს თანაბარი უფლება მიანიჭა და უთხრა: ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ.

და ვითარცა ესე თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ;

და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ (ინ. 20,21-23), მაგრამ მაინც ინება, ეჩვენებინა, რომ ეკლესია ერთია და ერთით დაიწყო ეს ერთობა. რა თქმა უნდა, დანარჩენ მოციქულებსაც პეტრეს დარი ღირსება და უფლება ჰქონდათ, მაგრამ დასაწყისში მითითებულია ერთი (მოციქული), იმის ნათელსაყოფად, რომ ეკლესია ერთია. ამასვე აცხადებს სულიწმიდა, უფლის პირით: ერთ არს ტრედი ჩემი, სრული ჩემი; ერთ არს დედისა თჳსისა, რჩეულ არს მშობლისა თჳსისა (ქებათა ქება 6,8).

ქრისტე გვეუბნება: რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს (მთ. 23,12); თავად მაცხოვარიც განდიდებულ იქნა მამისგან იმიტომ, რომ მან - მამა ღმერთის სიტყვამ, ძალამ და სიბრძნემ - თავი დაიმდაბლა ამქვეყნად (იხ. ფლპ. 2,89). როგორ ეყვარება ქედმაღლობა მას, ვინც ჩვენ თავმდაბლობა დაგვიდო მცნებად და თავადაც თავმდაბლობისთვის მიიღო ჯილდოდ დიდებული სახელი მამა ღმერთისგან?! ადამიანი ქრისტეს აღმსარებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემდგომ მისი მიზეზით არ დაიგმობა ქრისტეს დიდება და ღირსება. ქრისტეს მაღიარებელი ენა არ უნდა იყოს ავი და გესლიანი, ბოროტმეტყველი და მაგინებელი; სახოტბო სიტყვების შემდეგ არ უნდა გადმოანთხიოს გველის შხამი ძმებსა და ღვთის მღვდლებზე.

ერთ არს ღმერთი და ერთ არს ქრისტე, ერთ არს მისი ეკლესია, სარწმუნოება და ერი - ერთიანი თანხმობის კავშირით ერთ სხეულში შემოკრებილი. ერთიანობა არ უნდა დანაწევრდეს; ასევე არ უნდა გაწყდეს კავშირები და ნაწილ-ნაწილ არ უნდა დაიყოს ერთი სხეული; არ შეიძლება მისი წიაღის ნაწილ-ნაწილ გამოგლეჯა; ყოველივე, რაც სიცოცხლის საწყისს ჩამოშორდა და მაცხონებელი არსი დაკარგა, ვერ შეძლებს განცალკევებით ცხოვრებასა და სუნთქვას.

სულიწმიდა შეგვაგონებს: ვინ არს კაც, რომელსა ჰნებავს ცხორებაჲ და უყუარან ხილვად დღენი კეთილნი? დააცხრვე ენაჲ შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყჳან ზაკუვასა; მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი, მოიძიე მშვდობაჲ და მისდევდი მას (ფს. 33,12-14).

მაცხოვრის საყოველთაოდ ცნობილ სიტყვებია: „ნურც მამას უწოდებთ ნურავის ქვეყანაზედ, ვინაიდან ერთი მამა გყავთ — ზეციერი" (მათე 23, 9).

აი, ჩვენი მაცხოვრის მეტად მნიშვნელოვანი სიტყვები: „არავინ არის, რომ ჩემი გულისთვის და სახარების გულისთვის მიეტოვებინოს სახლი, ან ძმები, ან დები, ან მამა, ან დედა, ან ცოლი, ან შვილები, ან ყანა, და ასწილად არ მიეღოს ახლა, ამჟამად, სახლები, ძმები და დები, დედები და შვილები, და ყანები ამ დევნასთან ერთად, ხოლო მომავალ საუკუნეში — საუკუნო სიცოცხლე" (მარკ. 10, 29-30).

ნებისმიერი მოძღვარი, რომელიც ადამიანების სულებში ქრისტეს სიყვარულს აღვივებდა, მორწმუნეთათვის სულიერ მამადაც იქცეოდა. ყველა მოციქული მამა იყო ყოველი ქრისტიანისათვის, და ყველა ქრისტიანი ერთმანეთისათვის და-ძმა იყო.

გარეგნულზე არ საუბრობს ქრისტე, არამედ შინაგანზე. ის ჰკიცხავს არა თვით მიმართვას, არამედ სულის იმ შინაგან მდგომარეობას, რაც გამოიხატება ასეთ მიმართვაში. ჰკიცხავს არა იმას, ვინც ამბობს „მამა", არამედ, ვინც ასეთ მიმართვას ითხოვს საკუთარი თავისადმი. არსებობს პატივმოყვარეობის ცოდვა, არის ვნებამორეული სწრაფვა კრებებზე თავმჯდომარეობისაკენ და პატივისცემის ნიშნებისაკენ — აი, სწორედ ამას ჰკიცხავს ქრისტე.

არსებობს სიტყვები, არსებობს მიმართვები, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ახლო ნათესავებს შორის. და თუკი უცხო ადამიანი, შემთხვევით ყური რომ მოჰკრა საუბარს, თავის ნაცნობებს მოსთხოვს, ერთმანეთს არა შინაური სახელებით მიმართონ, არამედ სახელითა და მამის სახელით, საკუთარ თავს არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაიყენებს.

ვერავის აუკრძალავ სიყვარულის გამოვლენას. ვერ აუკრძალავ ძმას ძმა უწოდოს, და სულიერ მამას კი — მამაო, მაგრამ შევნიშნავ, რომ მიმართვა მღვდლისადმი „წმინდა მამაო" არაა მიღებული მართლმადიდებლობაში. მისი გამოყენება მართლმადიდებლების მიერ აღიქმება, როგორც არასეკლესიური. აქედანვე გამომდინარეობს ისიც, რომ მღვდელმა საკუთარ თავს არ უნდა უწოდოს მამაო. მხოლოდ წოდებრივი ეთიკის დაცემით შეიძლება აიხსნას ის, რომ დღესდღეობით ზოგიერთი მღვდელი წარსდგება თქვენს წინაშე არა როგორც, მაგალითად, „მღვდელი ალექსანდრე", არამედ „მამა ალექსანდრე". „წადით და გადაეცით მას, რომ თავის მრევლში, თავის სულიერ შვილებთან ის „მამა" იქნება, მე კი სულ რაღაც სამი დღეა მღვდლად დავასხი ხელი და უკვე ჩემი მამობა მოუნდა?! ჯერ ისწავლოს წარდგომა, როგორც საჭიროა და მერე მოვიდეს!" ასე რომ, მიმართვა „მამაო" — ეს შეცნობის ერთგვარი შედეგია.

შესაძლებელია კი, რომ ღვთისმსახურს სხვაგვარად მივმართოთ?არის ოფიციალური მიმართვა: „თქვენო უწმინდესობავ" (დიაკონს, მღვდელს, იერომონაზონს) და „თქვენო მაღალუწმინდესობავ" (იღუმენს, პროტოიერეის, არქიმანდრიტს). პრინციპში, შესაძლებელია საერო წესითაც კი მივმართოთ — სახელითა, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ასეთი მიმართვა მღვდლის გულში ხინჯს დატოვებს. ამიტომაც როდესაც მღვდელს საერო წესით მიმართავ, თითქოს ხაზს უსვამ დისტანციას თქვენს შორის და აშკარად არ გსურს მოსაუბრეში იმის დანახვა, რასაც იგი საკუთარ ცხოვრებასა და მსახურებაში უმნიშვნელოვანესად თვლის.

ასე რომ ,თუკი ადამიანს არა აქვს განსაკუთრებული მიზეზი ხაზი გაუსვას საკუთარ არაეკლესიურობას, მაშინ უმჯობესია არ გამოიყენოს მსგავსი მიმართვები, რომელთაც ღვთისმსახურებისათვის აქვთ საერო - ანუ პროფანური, დამამდაბლებელი ნიშან-თვისება.

ისე კი ეს ეთიკეტის საქმე უფროა, ვიდრე დოგმის. თუ მას გამოიყენებ საძმოსა და ეკლესიისაგან გამოყოფის მიზნით — ეს იმას ნიშნავს, რომ პავლე მოციქულის სიტყვები მხოლოდ გონებაში გაქვს და არა გულში, სიტყვები იმათ ურთიერთობაზე, ვინც მარხვას იცავს და ვინც არ იცავს ... თანაც წმინდა ენობრივი თვალსაზრისით უნდა განვასხვავოთ სახელწოდება და მიმართვა, ეს — სიტყვათა სხვადასხვა კლასია. სახარებაში გვთხოვენ არ ვუწოდოთ მამა არავის მიწაზე (თანაც ცხადია, რომ რეალურ მამაზე ეს არ ვრცელდება), ანუ მამის უფლება არავის მივანიჭოთ. ეს უფლებები კი იმ დროის აღმოსავლეთში ძალიან ფართო გაგებისა იყო.

მიმართვა ნათესაობრივი კავშირის აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებით ყველა ენაში ჩვეულებრივი ამბავია: ჩვენ უბრალოდ განვსაზღვრავთ ასაკობრივ მიმართებას მოსაუბრესთან, და თითქმის შეუმჩნევლად მისდამი ჩვენს დამოკიდებულებას.

ნორმალური ენობრივი საშუალების გამოყენებას ნორმალურ მართლმადიდებლებს ცოდვად ვერ ჩაუთვლი და თუკი ჩვენს მღვდლებს პატივს ვცემთ და შესატყვისად მივმართავთ კიდეც — ეს ჩვენი უფლებაა. სახარებას ეს უფლება ჩვენთვის არ ჩამოურთმევია.

დავიწყოთ იქიდან, რომ იესო ქრისტემ თავად გამორიცხა რელიგიური ტიტულის „მამაოს" ხმარება, როდესაც თქვა: „ნურც მამას უწოდებთ ნურავის ქვეყანაზედ, ვინაიდან ერთი მამა გყავთ — ზეციერი" (მათე 23:9). „მამაოს" რომელიმე რელიგიური პირისთვის წოდება არაქრისტიანული და არაბიბლიურია. ღვთის წერილობითი სახით შემონახული სიტყვის ჩაწერა დაახლოებით ახ. წ. 98 წელს მოციქულმა იოანემ დაასრულა.

ამგვარად, ჭეშმარიტი ქრისტიანებისთვის სულაც არ არის საჭირო, რომელიმე ადამიანისგან მოელოდნენ ინსპირირებულ გამოცხადებას. ისინი ფრთხილობენ, რათა ადამიანთა ტრადიციებით „ღვთის მცნება არ გააუქმონ'. ადამიანთა ტრადიციების ღვთის სიტყვის ადგილას დაყენება სულიერად მომაკვდინებელია. იესო გვაფრთხილებდა: „თუ ბრმას ბრმა მიყავს, ორივენი ორმოში ჩაცვივიან" (მათე 15:6, 14).

მორწმუნე

სწავლება I

ეკლესია და ხელისუფლება

„მორჩილებაი ჯერ-არს ღმრთისაი უფრო ის, ვიდრე კაცთაი", აი, სწორედ ეს სიტყვებია მართლმადიდებელი ეკლესიის სული და გული! ესაა მისი სახარება! სწორედ ეს არის ის, რითაც ცხოვრობს და რისთვისაც ცხოვრობს ქრისტეს ეკლესია! ამაშია მისი უკვდავება და მარადიულობა. სწორედ ამაშია მისი წარუვალი და ყოვლისმომცველი ღირებულება. ღმერთის მორჩილება უფრო მეტად, ვიდრე ადამიანებისა – ეს ეკლესიის უაღმატებულესი პრინციპია, წმიდათა წმიდა მცნება, მისი საზომთა საზომი. ესაა მის ყოვლისმომცველი ხარება – მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა წმიდა დოგმატის და კანონის არსი, აქ ყოვლად დაუშვებელია რაიმეს ფასად თუნდაც სულ უმნიშვნელო დათმობა ეკლესიის მხრივ პოლიტიკური რეჟიმისადმი. ყოვლად დაუშვებელია რაიმე კომპრომისი კაცთა, თუ დემონთა წინაშე და მეტადრე – ეკლესიის წინააღმდეგ აშკარა მებრძოლთა, მის მდევნელთა და მტერთა წინაშე.

„დავემორჩილოთ ღმერთს უფრო მეტად, ვიდრე ადამიანებს" – ეს არის მართლმადიდებელი ეკლესიის წესდებულება, მისი მარადიული და უცვლელი წესი, მისი წესთა წესი, მისი საუკუნო და უცვლელი დამკვიდრება. ეს სიტყვებია პირველი პასუხი ეკლესიის პირველ მდევართათვის და ეს ეკლესიის პასუხია მისი ყველა მდევნელთათვისაც საუკუნეთა განმავლობაში, განკითხვის საშინელ დღემდე. ეკლესიისთვის ღმერთი ყოველთვის პირველ ადგილზეა, ადამიანი კი – ყოველთვის მეორეზე. თუკი ადამიანები ღმერთისა და მისი კანონების წინააღმდეგ აღდგებიან, ეკლესია უნდა დაუპირისპირდეს და შეეწინააღმდეგოს მათ და თუკი ის ამგვარად არ იქცევა, განა ეკლესიაა? და თუ ეკლესიის წარმომადგენლებიც ასე არ იქცევიან, განა სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები არიან? – არა და არა! რამეთუ საკუთარი თავის გამართლება ამ შემთხვევაში ე. წ. საეკლესიო იკონომიით – შემწყნარებლობით სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის და ეკლესიის შეფარული ღალატი. ამგვარი იკონომია ქრისტეს ეკლესიის გაცემაა. ეკლესია კი, მარადიულობაა დროში, დროისმიერ სამყაროში. სამყარო იცვლება, ეკლესია კი უცვალებელია მარადის. უცვლელია მისი საუკუნო ღვთაებრივი სახარება, მისი მარადიული საღმრთო საიდუმლონი. ეკლესია უცვლელია, რამეთუ უცვლელია უფალი იესო ქრისტე. ასეთია სახარებისეული ჭეშმარიტება და სინამდვილე. „იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე". მარადიულობა ეკლესიის მიერ დროისმიერ სამყაროში იმყოფება, რათა თვით დრო იკურთხოს მისით, განახლდეს მისით, გამარადიულდეს მისით და მას უსწორებდეს თავს. მარადიული ეკლესია კი არ უნდა უსწორებდეს თავს დროს, ან დროის სულისკვეთებას და მოთხოვნას, არამედ დრო უნდა გაუსწორდეს მას და დროის სულისკვეთება უნდა დაემორჩილოს მას, როგორც საუკუნოს, მარადის უცვალებელს; დიახ, დროის სულისკვეთება უნდა გაუსწორდეს ეკლესიას – ღმერთკაცობრივი სულის მატარებელს. რამეთუ ეკლესია მარადის წმიდაა, მარადის სამოციქულოა, იგი მარადის საყოველთაოა, მარადის ღვთაებრივია და ამიტომ არასოდეს არ შესწირავს მარადიულს – დროისმიერს, ღვთაებრივს – კაცობრივს. ამის გამო ეკლესია არასდროს არ ეცდება მიესადაგოს, შეუთანხმიერდეს დროის სულისკვეთებას. პირიქით, დრო უნდა მიესადაგოს ეკლესიის მარადიულობას, დროისმიერი და წარმავალი – საუკუნოსა და წარუვალს, კაცობრივი – ღმერთკაცობრივს.

კანონიერი ხელისუფლება ღმერთისგანაა, ღირებულებათა იერარქიაც და წესრიგის იერარქიაც ღმერთისგანაა. ამიტომ, მხოლოდ კანონიერ ხელისუფლებას უნდა დავემორჩილოთ, როგორც მომწესრიგებელ ძალას, ვისაც ამ ქვეყნად ეს ღვთივმოცემული და ღვთაებრივი წესრიგი უპყრია, ვინც იცავს და ინარჩუნებს ამ წესრიგს. სხვაგვარად დაცემა იქნება და შთავარდნა უკანონობაში, უხელისუფლობაში, ანარქიაში, საყოველთაო ბოროტებაში. მხოლოდ სამართლებრივ და კანონიერ ხელისუფალთ უნდა დავემორჩილოთ, რამდენადაც ისინი ღვთაებრივ წესრიგსაც იცავენ ამქვეყნად და რამდენადაც ისინი ღვთისმსახურნიც არიან. მორჩილება კანონიერი ხელისუფლებისადმი აუცილებელია, რადგან მათ, ვითარცა ღმერთის მსახურებს, მახვილი უპყრიათ ხელთ, რომლითაც სჯიან ბოროტებას და იცავენ სიკეთეს. კანონიერ ხელისუფალთა მორჩილება საჭიროა იმიტომ, რომ ისინი, ვითარცა ღმერთის მსახურნი „არა არიან საშინელ კეთილის მოქმედთა, არამედ ბოროტის მოქმედთათვის". მაგრამ როდესაც ფაქტობრივი ხელისუფალნი კეთილის მომქმედთათვის ხდებიან საშიშნი, როცა ხელისუფალნი საღმრთო სიკეთეს სდევნიან, ხოლო ყველაზე მეტად ამა ქვეყნის უდიდეს სიკეთეს – უფალ იესო ქრისტეს, მის წმინდა ეკლესიას სდევნიან, მაშინ ესე ვითარ ხელისუფალთ არ უნდა დავემორჩილოთ და მათი არ უნდა ვისმინოთ! ასეთ ფაქტობრივ ხელისუფალთ ქრისტიანი სულიერად უნდა ებრძოლოს – კერძოდ კი ებრძოლოს წმიდა სახარებისმიერი საშუალებებით.

ჭეშმარიტი ქრისტიანი არასდროს გაკადნიერდება იმად, რომ უფრო მეტად ადამიანებს დაემორჩილოს, ვიდრე – ღმერთს. განსაკუთრებით კი იმ ადამიანებს, რომელნიც ჭეშმარიტ ღმერთსა და მის სახარებას ეწინააღმდეგებიან. კანონიერი ხელისუფლება იმთავითვე არის ღმერთისგან, მაგრამ როცა რომელიმე ფაქტობრივი ხელისუფლება განუდგება ღმერთს და ღმერთის წინააღმდეგაც აღდგება, მაშინ იგი ძალადობად იქცევა და უკვე ღმერთისგან კი არა, ეშმაკისგან არის. ასე რომ, ჩვენ, ქრისტიანებმა, ვიცით საიდუმლო ხელისუფლებისა და საიდუმლო ძალადობისა. მხოლოდ კანონიერი ხელისუფლებაა კურთხეული ღვთისაგან, ეკლესიის წინააღმდეგ ძალადობა კი შეჩვენებულია ღმერთის მიერ! ყოველივე რაც ღმრთისაგანაა – სიკეთეა, ხოლო თუკი ამ სიკეთეს ბოროტად იყენებენ, აი, ეს არის ეშმაკი, ყველა სამყაროთა და მათ შორის ადამიანური სამყაროს ბოროტეშმაკეულება. მხოლოდ კანონიერი ხელისუფლებაა ღმერთისგან და სანამ იგი ღმერთში, ღმერთის მორჩილებაში და ღმერთთან ჰგიებს, იგი კურთხეულია, ხოლო ფაქტობრივმა ძალისმიერმა უკანონო ხელისუფლებამ მიატოვა ღმერთი, იგი ძალადობად გადაიქცა და ამით ღმერთის მოწინააღმდეგის – ეშმაკის ხელისუფლებას უქვემდებარებს თავს.

ამგვარია სახარებისეული, სამოციქულო, წმიდა მამათა მართლმადიდებელური სწავლება ხელისუფლების ბუნებისა და ღირებულების შესახებ. ასეთია ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა და უცდომელი სწავლება ამის შესახებ. ასეთია იგი დასაბამიდან დღემდე, ასეთია იგი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ვინ მოწმობს ამას? – ყოველნი წმიდა მოციქულნი, ყოველნი წმიდა მოწამენი. ყველა ისინი უფალ იესო ქრისტესთვის ევნენ. ყოველნი ერთბაშად მეფეთაგან, ხელმწიფეთაგან და მთავართაგან ეწამნენ – ამაქვეყნის ღვთისმბრძოლ ხელისუფალთაგან და ქრისტეს ასეთ აღმსარებელთა რიცხვი არა თუ ათასები, მილიონებია. ყველა ისინი წმიდანნი და უკვდავნი არიან ვითარცა ამ საღმრთო ჭეშმარიტების მოწმეები. ქრისტიანები უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ამა ქვეყნის მეფეთა, ხელმწიფეთა და მთავართა ღმერთის საწინააღმდეგო მითითებებს, ბრძანებებს, სადაც არ უნდა იყვნენ და ვინაც არ უნდა იყვნენ ისინი. ყოველი წმიდა მოწამე, ქრისტეს სარწმუნოების ყოველი წმიდა აღმსარებელი ცოცხალი და უკვდავი განსახიერებაა მართლმადიდებელი ეკლესიის ამ ყოვლადწმიდა ხარებისა: „მორჩილებაი ჯერ არს ღმრთისაი უფროის, ვიდრე კაცთაი". ყოველი მათგანი მთელი სულითა და გულით, სრული ძალითა და გონებით ადგა ამ ღვთაებრივ მცნებას და სწორედ ამისთვის აწამებდნენ, ამისთვის შეამთხვევდნენ ბოროტს, ამისთვის კლავდნენ მათ ღვთისმბრძოლი ხელისუფალნი საუკუნეთა განმავლობაში.

ამიტომაც, ყოველივე ამქვეყნად ჩვენთვის სიზმარივითაა და ჩვენ მწუხარებად და საღმრთო სასჯელად შევრაცხავდით იმას, თუკი უსასტიკეს ტანჯვა-წამებას არ დავითმენდით ქრისტესთვის. ჩვენ, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გვეშინის მდევნელებისა, რამეთუ მეუფემ ყოველთამან ის იარაღი მოგვმადლა ზეგარდმო, რომლითაც ჩვენ ისევე აღვიჭურვებით ახლა და იმგვარადავე ვიცავთ თავს, როგორადაც შენ გიცავენ შენი საჭურველმტვირთავნი. უკანონობას რომ ვეწინააღმდეგებით, ამით ჩვენ მტკიცედ ვიმედოვნებთ, საკვირველი ძლევა მოვიპოვოთ, რამეთუ როცა გვხოცავენ, სწორედ მაშინ ვიმარჯვებთ და როცა დაგვცემენ, სწორედ მაშინ ვძლევთ ჩვენს მდევნელთ. ჩვენთვის, ასევე, ყოვლად დაუშვებელია რაიმეს ფასად, პოლიტიკური უკანონო რეჟიმებისადმი, თუნდაც სულ უმნიშვნელო დათმობა ეკლესიის მხრივაც. ჩვენი საპატრიარქო და პატრიარქი კი არამც თუ უმნიშვნელოს, არამედ, ძალზედ მნიშვნელოვანსაც უთმობდა უკანონო პოლიტიკურ რეჟიმებს მთლიანად და ყოველთვის ემორჩილებოდა მათ. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანები უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ღმერთის საწინააღმდეგო მითითებებს იმ ფორმით, რომ არ აღასრულებდნენ მათ და სხვებსაც ამისაკენ უნდა მოუწოდებდნენ. დღეს სანახაობა და კარგი ცხოვრებაა თანამედროვე საზოგადოების ორიენტირი. დილემა, რომლის შესახებაც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი - ბატონი ზვიად გამსახურდია წერდა, არ გამქრალა, რამეთუ ადამიანთა მოდგმა კვლავ ამ დილემის წინაშე დგას.

მართლმადიდებელი მორწმუნე აღმსარებელი

სწავლება II

„თუ უღმერთოებმა დაიპყრონ ადგილი, გაიქეცი შინ, რადგან მათ შეაგინეს იგი“

„თუ ეკლესია ურწმუნოებს უპყრიათ და იქ მისვლა არ შეიძლება,
სახლში შეკრიბე, ჰოი, ეპისკოპოსო, მრევლი,
რომ კეთილმსახური არ შევიდეს ბოროტმსახურთა შესაკრებელში,
რადგან ადგილი კი არ განწმენდს კაცს, არამედ კაცი ადგილს“.

წმიდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს 9-10 განწესება

ღმერთი გვასწავლის ჩვენ დავაკვირდეთ დროის ნიშანს. მართლაც, ჩვენი დღეების მრავალი მოვლენა მინიშნებულია უფლისაგან. საჭიროა მთელი წიგნის შედგენა, რათა აღვწეროთ ყველაფერი რაც ჩვენ ვნახეთ კაცობრიობის ისტორიის ბოლო წლებში. ყველაზე საგანგაშო მოვლენა – ეს არის მუდმივი აპოსტასია, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით. დღეს ჩვენ ვაკვირდებით იმ ღირებულებების დატევებას, რომელზეც აქამდე ცივილიზებული საზოგადოება იდგა: ღირსება, პატრიოტიზმი, ოჯახი, პატიოსნება ყველა სახესა და ურთიერთობაში. როდესაც ხალხი გაანადგურებს ბუნებას და საზოგადოებას, რითაც ისინი ცხოვრობენ, მაშინ ბუნებრივია დაიწყებენ ვინმეს ძებნას, რათა გადაარჩინოს ისინი გარდაუვალი კატასტროფისგან. ადამიანთა უმრავლესობისთვის კი, ეს იქნება ანტიქრისტე და არა ჭეშმარიტი და ერთადერთი მხსნელი იესო ქრისტე.

წმიდა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა ისევ ღაღადებს:

- ყველა მწვალებელი შეჩვენებულ იყოს; – ყველა მართლმადიდებელი კურთხეულ-იყოს;
- ყველა მწვალებლის საუკუნო იყოს წყევლა და დაუსრულებელი შეჩვენება.

თუკი ვინმე ეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა ანდა პატრიარქთაგან დაიწყებს მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო რაიმე ერეტიკული სწავლების ქადაგებას, მაშინ, დანარჩენი მღვდელმსახურნი და ეკლესიის მსახურნი უფლებამოსილნი, მეტიც, ვალდებულნი არიან, მაშინათვე გამოეყონ აღნიშნულ ეპისკოპოსს, მიტროპოლიტს, თუ პატრიარქს. თანაც, ამისათვის არათუ არანაირ კანონიკურ სასჯელს არ ექვემდებარებიან, არამედ, პირიქით, ქებასაც იმსახურებენ, რამეთუ ამით მათ განიკითხეს არა ნამდვილი, კანონიერი მღვდელმთავრები, არამედ აღსდგნენ ცრუეპისკოპოსებსა და ცრუმოძღვრებზე, არათუ განხეთქილება მოახდინეს ეკლესიაში, არამედ შეძლებისდაგვარად, ეკლესია იხსნეს განხეთქილებისა და გაყოფისაგან.

უფალმა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა მოგანიჭოთ ხსნა ამისათვის, ქრისტეში ძვირფასო, ძმანო და დანო!

როგორც ვიცით, ოფიციალური გაყოფა აღმოსავლურ (მართლმადიდებელ) და დასავლურ (კათოლიკურ) ეკლესიებად მოხდა 1054 წელს. კათოლიკური მწვალებლობა ასწავლის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვაზე, სულიწმიდის მადლის გარდამოსვლაზე არა მარტო მამისგან, არამედ ძისაგანაც, რომის პაპის, როგორც „ღმერთის მოადგილის“ დედამიწაზე უცოდველობას და ასე შემდეგ, ხოლო დაწვრილებით საუბარს ისლამზე, იუდაიზმზე და ბუდიზმზე არსებითი აზრი არც აქვს. ამ რწმენათა სწავლებების სატანურ ბუნებას აღიარებენ თვით ამ „რელიგიათა“ ადეპტებიც.

როცა ადამიანი ამ წუთისოფელში ცხოვრობს და არმცოდნეა უფლის სიმართლის და მისი ცხოვრება მიედინება სახარების სინათლის გარეშე, ასეთი ადამიანი, რა თქმა უნდა, ვერ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს, მაგრამ ის შეიძლება უფლის მიერ შეწყალებულ იქნეს, რადგან მისი დანაშაული უფლის სიმართლის ამ არცოდნაში არც ისე დიდია, მაგრამ, თუ ადამიანმა შეიცნო ჭეშმარიტება და მაინც უბრუნდება სიცრუეს, მაშინ უკვე ასეთი ადამიანისთვის აღარანაირი გამართლება არ არის ღმერთის წინაშე. ასეთ ადამიანს ემუქრება უფლის სასჯელი, რამეთუ უფალია ყველა ჩვენთაგანის მსაჯული.

ყველა რწმენა მსოფლიოში გარდა მართლმადიდებლობისა, თავისი არსით წარმოადგენს დამახინჯებულ სატანურ სწავლებას. კათოლიციზმს და მონოფიზიტობას აღმსარებლობენ ერეტიკოსები, რომელთაც თავის დროზე მიატოვეს მართლმადიდებელი ეკლესია. მონოფიზიტური მწვალებლობა ირწმუნება, რომ ქრისტე შემოსილი იყო ერთბუნებოვნებით. მონოფიზიტები აღიარებდნენ, რომ ქრისტემ,

ძე ღვთისამ, მიიღო ადამიანური ბუნება, თუმცა მისმა ღვთაებრივმა ბუნებამ შთანთქა ადამიანური. თითქოს ქრისტეს ბუნება უნდა განვიხილოთ, როგორც ღვთაებრივი ბუნება, რომელსაც გააჩნია ადამიანური თვისებები. მონოფიზიტური მწვალებლობა მსჯავრდებულ იქნა ქალკედონის კრებით. ამ კრებაზე იქნა დამტკიცებული, რომ ქრისტე არის ერთიანი და ერთადერთი ძე ღვთისა „სრულყოფილი ღვთაებრიობით და სრულყოფილი ადამიანურობით", „ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი ... გონიერი სულისა და სხეულისაგან, თანაარსი მამისა ღვთაებრიობით და ჩვენივე ერთარსი ადამიანურობით" იგი არის „ერთი და იგივე ქრისტე" და „მხოლოდშობილი ძე ღმრთისა", „ორი ბუნებით, შეურწყმელად, უცვლელად, განუყოფლად, განუყრელად. ისე, რომ შეერთების შედეგად არა თუ არანაირად არ ისპობა განსხვავება ორ ბუნებას შორის, უფრო მეტიც, თვითეული მათგანის ბუნების თვისება შენარჩუნებულია..."

დღეს მიმდინარეობს ტოტალური გამოთაყვანება, ყველა გოების ზომბირება ყბადაღებული ინტერნაციონალური და ანტიქრისტიანული სულისკვეთებით. მიმდინარეობს ოქროს კერპის კულტის საყოველთაო დანერგვა, მსოფლიო დიდების და ამაოების კულტისა. გამალებით მიმდინარეობს ანტიქრისტეს გამეფების სამზადისი. ყველა ეკუმენური ეკლესია და მათი წარმომადგენლები არიან ნებაყოფლობითი ხელისშემწყობნი, უმეტეს შემთხვევაში კი პირდაპირი გამტარებლებიც ამ ანტიქრისტიანული იუდეურ-მასონური პოლიტიკისა და ღირსი ანათემისა. რამეთუ, ანათემა, ეს არის საჯარო განკვეთა ქრისტეს ეკლესიიდან, უმძიმესი საეკლესიო სასჯელი და ითვალისწინებს მსჯარდებულის განდევნას საეკლესიო კრებულიდან, მადლის და ცხონების დაკარგვას. საკითხები, რომელიც ეხება ანათემატიზმებს და საერთოდ, საკითხები მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ დღევანდელ მსოფლიოში, ეს არის ადგილობრივი კრების კომპეტენციის საკითხი.

ჩვენმა სულიერმა მტრებმა კარგად იციან წმ. მამათა წინასწარმეტყველება ქართული მართლმადიდებელი სახელმწიფოს - საუფლოს გარდუვალი აღორძინების შესახებ, ამიტომაც აკეთებენ ყველაფერს რომ ეს არ მოხდეს. მიუხედავად მრავალი „ტვინის-გონიერი ადამიანის" გადინებისა მათ აინტერესებთ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ისტორიულად განდობილი სამეცნიერო ცოდნა და პოტენციალი, რაოდენ, როგორც ჩანს, ჯერ ყველა საიდუმლო არ არის გაყიდული და ქვეყანაში არის დაგროვებული კიდევ მრავალი გამოცდილებითი ცოდნა.

ჩვენ ყველანი, ჯერ არ ვართ გათავისუფლებულნი მონობისგან! ჩვენ გავხდით უფრო მეტად დამოკიდებული კულისებს მიღმა მსოფლიოსადმი და გარდა ამისა, მივეცით საშუალება პირდაპირ ვიყოთ მათით მართულნი. დღეს ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა არის მარიონეტული და სამწუხაროდ, ჩვენ გვმართავენ უცხოდ აღმსარებლები და იდეური სატანისტები.

ეროვნული დამოუკიდებლობა ღმერთისადმი რწმენის გარეშე – არაფერია და რა ელოდებათ მათ, ვინც უღალატა მართლმადიდებლობას?!

უფლის სამსჯავროს წინაშე პასუხს აგებენ პირველ რიგში ცალკეული ადამიანები. რაც უფრო მძიმე იყო ჯვარი, მით მკაცრი იქნება პასუხის მოთხოვნაც. ე. ი. თუ ადამიანი დამატებით იღებდა საკუთარ თავზე დამატებით მოვალეობებს, საღვთისმსახუროს, ან ადმინისტრაციულს, ან კიდევ სხვა რაიმეს, მაშინ ის მათზეც აგებს პასუხს. მღვდელი სამრევლოებზე, ადმინისტრატორი მისდამი დაქვემდებარებულებზე და ასე შემდეგ.

სულიერება ერად შემდგარი ადამიანთა კრებულისთვის წარმოადგენს უმთავრეს ღირებულებას. პირველ რიგში, სწორედ ერის სულიერ და არა მის პოლიტიკურ-ეკონომიკურად ჩამოყალიბებას ქმნიდა უფალი და შემოქმედისაგან ყოველი შექმნილი იქნება ვალდებული ანგარიში ჩააბაროს მას_მის საშინელ სამსჯავროზე.

სწორედ ამიტომაც, სამსჯავროზე ჩვენ პასუხს ვაგებთ არა მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი პიროვნებანი, არამედ, როგორც ჩვენი ერის წევრებიც. სახარება პირდაპირ გვეუბნება ამაზე: „ხოლო, როცა მოვა კაცის ძე თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება თავისი დიდების ტახტზე. შეიყრება მის წინაშე ყოველი ერი." . . . და არა მხოლოდ უბრალოდ ცალკეული ადამიანები.

საბოლოოდ, ნამდვილად მოხარულნი ვიქნებით, სადაც არ უნდა აღორძინდეს ჭეშმარიტი მართლამადიდებლობა, ხოლო თუ მთელს მსოფლიოში მოხდება, ეს მით უფრო უკეთესია. მაგრამ, თუ მთელს მსოფლიოში მოღვაწე მამები ერთობლივად შეეცდებიან მართლმადიდებლური სახელმწიფოს აღორძინებას, ეს საქართველოში უფრო ადვილი იქნება და სწრაფადაც მოხდება, რადგან აქ ხალხი ჯერ კიდევ უფროა მზად ამისათვის, ვიდრე სხვაგან და რაოდენობრივადაც უფრო ხელმისაწვდომია!

მართლმადიდებელი მორწმუნე აღმსარებელი

სწავლება III

ქრისტეანობა ვითარცა მკურნალი სულთა და ხორცთა

„სულისა აზნაურება დაუმონებელ გამოაჩინე მოწამეო,
და მღვდელმთავარო ქრისტესო, გემოთა სიტკბოებანი მოაკვდინენ, და
მიაგე ნაცვალი შენთვის მომკვდარსა მას მეუფესა ქრისტესა“

ქრისტეანობა ჯვრის ტვირთვა და ქრისტეს შედგომაა, იგი ვიწრო და ეკლოვანი გზაა და მცირენი ვლენან მასზედ, იგი გულისხმობს უარის თქმას ამქვეყნიურ სიამოვნებებზე და კომფორტს მიჩვეულ თანამედროვე ადამიანში ერთგვარ პროტესტსაც კი იწვევს. თავისუფლება (მსგავსება ღვთისა) მძიმე ტვირთია, იგი სერიოზულ პასუხისმგებლობას მოითხოვს ადამიანისგან – მან თავად უნდა გააკეთოს არჩევანი, მიიღოს გადაწყვეტილება, რაც გარკვეულ შრომას, ფიქრს, ნერვიულობას გულისხმობს. ადამიანს ძალიან უჭირს საკუთარ სინდისთან ბრძოლაში დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა და აი, გამოსავალიც ... ჩვენი თავისუფლება, რომელიც ასე მძიმე საზიდია, შეგვიძლია ვინმე სხვას ჩამოვკიდოთ კისერზე, მაგალითად საყოველთაოდ აღიარებულ, რომელიმე რეიტინგულ ავტორიტეტს, ვინც თავად ითხოვს ამას. შედეგად, ჩვენს მაგივრად სხვა იაზროვნებს, სხვა მიიღებს გადაწყვეტილებებს, პრობლემა მოხსნილია, გამოსავალი – ნაპოვნი, შეგვიძლია საკუთარ სურვილებს მივხედოთ. სწორედ აქ მთავრდება რელიგია და იწყება მაგია, ინგრევა რელიგიის არსი – ნებაყოფლობითი ურთიერთობა თავისუფალ ადამიანსა და პიროვნულ ღმერთს შორის. ჩვენს შემთხვევაში, ადამიანსა და ღმერთს შორის (ცხადია, თვითონ ადამიანის სურვილით) დგება ვინმე კაცღმერთი, რომელიც ადამიანის პიროვნული თავისუფლების, ანუ დამოუკიდებელი აზროვნების უნარის დელეგირების სანაცვლოდ მზადაა თავად დადგეს ცხონებისა და ამქვეყნიური კეთილდღეობის გარანტად, ადამიანს კი სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა მონური მორჩილება ამ კაცღმერთისა და რა თქმა უნდა მის მიერ ხელდასხმული მცირე კაცღმერთუნების რიტუალებზე, როგორც სპექტაკლებზე დასწრება, მათი შინაარსისა და დანიშნულების სრული არცოდნითა და მხოლოდ ავტომატიზმამდე დაყვანილი რეგულარულობით. ამგვარად, სახეზე გვაქვს მაგია თავისი საკრალიზებული სუპერქურუმით. ღმრთის მსაგვსი ადამიანის ნაცვლად, ვღებულობთ ზომბს, თავისუფლებისა და სიყვარულის რელიგიის ნაცვლად კი – ოკულტიზმს.

ყოველივე ამის შედეგად, სუპერქურუმი – იგივე კაცღმერთი, ღებულობს ღმერთზე მაღალ რეიტინგს. იგი იქცევა ყველაზე ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად და მთავრობაც იძულებული ხდება ბიუჯეტიდან ოფიციალური ხარკი უხადოს ათობით მილიონისა და უძრავ-მოძრავი ქონების სახით, რაც უდიდეს სიმდიდრესა და კეთილდღეობას აძლევს მას. სხვადასხვა კალიბრისა და მიმართულების პოლიტიკოსები, ადგილობრივი, თუ საზღვარგარეთ მოღვაწე ბანკირები, ბიზნესმენები, საბჭოთა ინტელიგენცია, ძველი თუ ახალი კომკავშირლები, თუ სნობიზმისადმი მიდრეკილი ფართო მასები – ერთმანეთს ეჯიბრებიან კაცღმერთის საამებლად. და აი, უკიდურესი გაჭირვების ფონზე, ჩვენს წინაშეა ოქროს გუმბათები, ანტიკვარებით სავსე საპატრიარქოს კაბინეტები, თეთრი რაშები, თუ ბრილიანტ-ალმასებით მოჭედილი შესამოსლები... მაგრამ რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ქრისტესთან? მის მოძღვრებასთან, ანუ უპოვარებასა და უანგარობასთან? „ხოლო ძესა კაცისასა ადგილი არა აქვს რათა თავი მიიდრიკოს“ (ლუკა 9,58).

და აი, ასეთი საყოველთაო პოლიტიკური ამორალიზმის ფონზე, უბადლო მსახიობური ტალანტით დაჯილდოვებული კაცღმერთი აღწევს სანუკვარ მიზანს – ხდება აბსოლუტური რელიგიურ-პოლიტიკური ავტორიტეტი, რომელიც ერთპიროვნულად ფლობს და განაგებს ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება კი ხდება ის, რასაც მისი ბაგენი წარმოსთქვამენ.

პოლიტიკა ხომ კომპრომისების ხელოვნებაა, ქრისტეანობაში კი კომპრომისი ხშირად ღმერთის, ჭეშმარიტების ღალატის ტოლფასია. ეკლესიის ისტორია, ჭეშმარიტების, ქრისტეს შესახებ სწორი სწავლების დაცვისა და ქადაგების გმირული ეპოპეაა. თუ ქრისტეს მოტანილ მოძღვრებას რაიმეს დავაკლებთ, ან დავუმატებთ, რაც ხშირად პოლიტ-კომპრომისების გამო ხდება, ის აღარ იქნება ქრისტეს ქადაგება, ჭეშმარიტებას არ შეიძლება რაიმე აკლდებოდეს, ან ემატებოდეს. ხშირად, სულ მცირეოდენ კომპრომისს ითხოვდნენ წმინდა მოწამეებისგან წარმართი იმპერატორები – გაჩუმებულიყვნენ, არ ეთქვათ, რომ წარმართთა ღმერთები მხოლოდ უსულო კერპებია და მათი თაყვანისცემა დემონთა გასახარი საქმეა. სანაცვლოდ მათ დიდებას, პატივს, საკუთარი რიტუალების აღსრულების თავისუფლებას პირდებოდნენ, მაგრამ არათუ არ მიდიოდნენ ამ კომპრომისზე ქრისტიანები, არამედ ყველას გასაგონად ამბობდნენ სიმართლეს, მათთვის სრულიად უცხო იყო კონფორმიზმი და დიპლომატიური ლავირება, „რამეთუ არა აქ უნდათ აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას (ზეციურს) ეძიებდნენ“.

ქრისტეანობაში უმაღლესი ამოცანა დგას, რომელიც განღმრთობას ისახავს მიზნად. „ღმერთი განკაცდა, რათა კაცნი განაღმრთოს“ – აი ყველა დროის ყველა წმინდანის დევიზი. განღმრთობა, ანუ ცხონება (მარადიული ცხოვრება) ჩვენი შეგნებული ღვაწლია სრულყოფისა და ღმერთთან ურთიერთობის გზაზე. ამიტომაც, მასთან დაკავშირებული შემეცნება ჭეშმარიტებისა მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ჩვენს შინაგან გამოცდილებასთან და არ უნდა რჩებოდეს სრულიად გაუგებარ საიდუმლოდ. ქრისტეს ეკლესიისათვის სრულიად უცხოა როგორც გნოსტიციზმი, ისე გნოსომახობა. საღმრთო მოძღვრება მხოლოდ „იდუმალგანდობილებისთვის“ როდია, მისი შესწავლა ყველა ქრისტიანისთვისაა სავალდებულო, ამის გარეშე შეუძლებელია ცხონება და მადლით განღმრთობა, რადგან მადლი ავტომატურად არ მოქმედებს, იგი მის გონიერ მაძიებლებს მიენიჭებათ მხოლოდ. თანამედროვე რელიგიურმა ავტორიტეტებმა კი ეკლესია ორ ნაწილად გაყვეს: იერარქია, რომელიც ექსკლუზიურად ფლობს და განაგებს ჭეშმარიტებასა და მადლს, და მრევლი, რომელსაც შთააგონეს, რომ გნოსომახების მსგავსად მათთვის დამღუპველია სჯულის გამოძიება და შესწავლა, მხოლოდ უსიტყვო მორჩილებაა საკმარისი ცხონებისათვის. გაიღვიძეთ ძმებო და დებო, გამოთხიზლდით ამ ბანგისა და ოპიუმისგან, რომლებსაც თავისი კეთილდღეობისთვის იყენებენ კაცღმერთუნები. ქრისტემ გვიხსნა ცოდვის მონობისაგან, ქრისტეანობა აზნაურობა, ქრისტესთან მეგობრობაა. „ნუ იქნებით მონა კაცთა“ – გვასწავლის პავლე მოციქული, მით უმეტეს იმ კაცთა, ვისაც მთელი ცხოვრება მებრძოლ ათეისტებთან მონობაში და მათ ერთგულ სამსახურში გაუტარებიათ. ნუ გავრისკავთ ჩვენი ცხონებით, სასუფეველში მხოლოდ სულიერი აზნაურნი, თავისუფალნი შევლენ. რადგან ღმერთმა ადამიანი სამოთხეში თავისუფლად შექმნა, იქ დასაბრუნებლადაც სწორედ თავისუფლების მოპოვებაა საჭირო, თავისუფლება პროვინციული მითოლოგიისგან, ფილეტისტური ურაპატრიოტიზმისგან და „მკვდარი ღმერთის“ თეოლოგიისგან.

მართლმადიდებლობა სიცოცხლის მომნიჭებელია, ადამიანის ბიოლოგიურ არსებობას სახეს უცვლის, განწმენდს და ცვლის საზოგადოებებს. იქ, სადაც მართლმადიდებლობას სწორად ემსახურებიან, გაიაზრებენ და სულიწმინდის მადლით ემსახურებიან, სუფევს ღმერთისა და ადამიანის, ზეციერთა და მიწიერთა, ცოცხალთა და შესვენებულთა შორის კავშირი. ამ კავშირით და ურთიერთობით წყდება სწორედ ჩვენს ცხოვრებაში გაჩენილი ყველა პრობლემა. სამართალი არის თავად ქრისტე, რომელიც ზეციდან გარდამოხდა დაჭრილი ადამიანის განსაკურნებლად.

ქრისტიანობა და ღმრთისმეტყველება, უპირველეს ყოვლისა, განმკურნებელი მეცნიერებაა, ის კურნავს სნეულ ადამიანს, სნეულება კი ეხება გონებას. ეკლესია თავისი სწავლებით, ღვთისმსახურებით, ასკეზით, საიდუმლოებებით, ათავისუფლებს გონებას და აქცევს მას სული წმინდის ტაძრად. ეს კურნება, რომელიც გამოიცადა წმინდა მამების ღვაწლით, არის ერთადერთი უფლისკენ მიმავალი გზა.

მართლმადიდებელი მორწმუნე აღმსარებელი

კონტინენტი კავკასია

(მოსაზრება)

არსებობენ ადამიანები, რომელებიც ამტკიცებენ, რომ, რახან ქართველი ხარ, ე. ი. ხარ ევროპელი. ამავე დროს ნებისმიერი ქართველი ქვეცნობიერად ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას. ასევე არადამაჯერებელია იმის მტკიცება, რომ აზიელები ვართ. იბადება კითხვა მაშინ ვინ ვართ?! ქართველებო, ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გაეცეს ამ კითხვას პასუხი?!

გეოგრაფიიდან ვიცით, რომ ევროპა და აზია ერთი კონტინენტის - ევრაზიის - ნაწილებია, მაგრამ ისინი დამოუკიდებელ კონტინენტებად განიხილებიან, რადგან ევროპისა და აზიის მოსახლეობა და მათი ისტორია მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

კავკასიის კონტინენტის საზღვრები კი, გაჰყვება წყალგამყოფ და წყლის გამყოფ ზოლებს. პირველი უფრო საიმედოა, არ იცვლის მიმართულებას, მეორე კი რთულად განსასაზღვრია მთაგორების რთული რელიეფის გამო.

ამრიგად კავკასიის კონტინენტს აღმოსავლეთიდან აკრავს კასპიის ზღვა, დასავლეთიდან შავი და აზოვის ზღვა. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კუმა-მანიჩის ღრმული — ტექტონიკური ღარისებრი დადაბლება, რომელიც გამოჰყოფს იმიერკავკასიის აღმოსავლეთ ევროპის ვაკის სამხრეთ ნაწილის სტეპებს ნახევარუდაბნოებისაგან და აკავშირებს ყუბან-აზოვისპირა და კასპიისპირა დაბლობებს. სიგანე 20-30 კმ, ცენტრალურ ნაწილში ვიწროვდება 1-2 კმ-მდე. ანთროპოგენურ პერიოდში წარმოადგენდა ზღვის სრუტეს, რომელიც აკავშირებს კასპიისა და შავი ზღვის აუზებს. ამჟამად კუმა-მანიჩის ღრმულის ქვაბულში მდებარეობს ტბები და წყალსაცავები. აღმოსავლეთით კი, სადაც აღმოსავლეთ მანიჩის მშრალი კალაპოტი იყო, შექმნილია კუმა-მანიჩის არხი.

ზემოთ აღნიშნულმა ღრმულმა, როდესაც დაკარგა სრუტის ფუნქცია კასპიის ზღვამ 27 მეტრით დაბლა დაიწია, შესაბამისად გაჩნდა ყარა–ყუმისა და ყიზილ–ყუმის უდაბნოები, ასევე გაქრობის პირასაა მისული არალის ზღვა, სრუტე ხმელეთის ორ მასივს შორის არსებული წყლის სივრცე, რომელიც აკავშირებს წყლის აუზებს (ზღვებს, ოკეანეებს და ა.შ.).

ამრიგად კუმა–მანიჩის ღრმული დროებით შეფერხებით მომუშავე სრუტეა და წარმოადგენს საზღვარს ევროპასა და კავკასიას შორის წყალგამყოფ ზოლს, რომელიც ბუნებრივი და სრულყოფილი ზღვარია ორ კონტინენტს შორის.

სამხრეთით თითქმის კავკასიის მთავარი ქედის და ასევე კუმა მანიჩის პარალელურად მიედინება მდინარე არაქსი, მდინარე ამიერკავკასიაში, მტკვრის უდიდესი შენაკადი. იგი მიედინება თურქეთის, სომხეთის და აზერბეიჯანის ტერიტორიაზე. მისი სიგრძე 1072 კილომეტრია. სათავე აქვს ბენგოლის ქედზე (თურქეთი). დაახლოებით 600 კილომეტრზე მიედინება სასომხეთსა, თურქეთის, ირანისა და აზებეიჯანის საზღვრებზე. იგი ზემო დინებაში მთის მდინარეა. მისი შენაკადებია: მარცხნიდან ახურიანი, რაზდანი არფა, ვოროტინი. მარჯვნიდან გოთური და ყარასუ. მდინარე არაქსის დასავლეთით (თურქეთის ჩრდილოეთი) არც თუ ისე მოშორებით სათავეს იღებს მდინარე ეშილ-ირმაკი. მისი სიგრძე 450 კილომეტრია. ზემო და შუა წელზე მიედინება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ხეობებში პონტოს ქედის პარალელურად, შემდგომ უხვევს ჩრდილოეთისკენ, გადაკვეთს ჯანიკის ქედს და ჩაედინება შავ ზღვაში ქალაქ სამსუნგის აღმოსავლეთით, სადაც წარმოქმნის დელტას. მისი მთავარი შენაკადებია მარცხნიდან ჩეკერეკი და მარჯვნიდან კელკიტი.

ამრიგად: გეოგრაფიულად კავკასიის კონტინენტს ორი მხრიდან (აღმოსავლეთით და დასავლეთით) ზღვა აკრავს, ჩრდილოეთით სრუტე, სამხრეთით (წყალგამყოფი) მდინარეები და მხოლოდ 1–2% შეიძლება საღვრად წარმოჩინებული იყვეს ხმელეთი, რაც კონტინენტის საერთაშორისო განმარტებებს შეესაბამება. ჩრდილოეთიდან იწყება კუმა–მანიჩის ღრმული, რომლის სიგრძე 800 კმ–ია და სამხრეთამდე მდინარეების არაქსისა და ეშილ–ირმაკამდე სულ 1522 კილომეტრია.

სამყაროს გამგებელმა ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. რადგანაც ადამიანია დედამიწის მთავარი შემადგენელი არსება ყველა ხალხთა ჯგუფს თავიანთი ტერიტერიული ფართი გამოუყო. ცნობილია, რომ ნეგროიდული რასა აფრიკის კონტინენტზეა განსახლებული. წითელი რასა ამერკის კონტინენტზე სახლობს. ყვითელი კანის ფერის ხალხებს კი აზიის აღმოსავლეთ და სამხრეთ – აღმოსავლეთ ნაწილი უკავია. თეთრი რასა განსახლებულია ინდოეთიდან ევროპამდე და ჩრდილოეთ აფრიკაში.

მეცხრამეტე საუკუნიდან ენათმეცნიერებმა დაიწყეს რა ენების შესწავლა, გამოვლინდა, რომ თეთრი რასა სამი ოჯახისაგან შედგება. იმდენად, რამდენადაც არსებულ აპოკალიფსურ პროცესში თეთრი რასა მონაწილეობს და მათი საწყისი პროცესი ძველ აღთქმაში (თავი „დაბადება") ნოეს კიდობანთანაა დაკავშირებული და შესაბამისად ნოეს შვილების სახელები, სემი, ქამი და იაფეტი ეწოდათ თითოეულ ოჯახს. ქანის შთამომავალნი დიდ ტერიტორაზე ინდოეთიდან ევროპამდე არიან განსახლებული და ამიტომ ქანის სახელი შეიცვალა და დაერქვათ ინდო-ევროპელები.

ამრიგად, თეთრი რასა შედგება სემიტებისაგან, ინდოევროპელებისაგან და იაფეტებისაგან. სემიტები უმეტეს წილად ჩრდილოეთ აფრიკაში სახლობენ, იაფეტის შთამომავალნი კი უმეტესწილად იმიერ და ამიერ კავკასიაში, აპენინის ნახევარკუნძულზე და ირლანდიაში.

ენათმეცნიერებაში იაფეტოლოგიის ფუძემდებელი ნიკო მარი გახლავთ, მანამდე კი სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინით აღინიშნებოდა: იბერიულ–კავკასიური ენები, კავკასიური ენები, პალეო–კავკასიური ენები, ალაროიდული ენები. ნიკო მარის ასევე უზარმაზარი დამსახურებაა ის, რომ მან იაფეტურ ენებს, რომელთაგანაც მხოლოდ ქართულია სამწერლო ენა მსოფლიო ენათა „პრაენა" უწოდა.

ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიაში უმთავრესი სამწერლო ენის მქონე ქართველები სახლობენ, მათ გვერდით ასევე იაფეტები: აფხაზები, მეგრელები, სვანები, ლეკები, ალბანელები სახლობენ. ასევე სამხრეთ კავკასიაში სახლობენ ინდოევროპული მოდგმის ერები: სომხები და აზერბაიჯანელები. სომხები თუ ნოეს კიდობანის შემდგომ დასახლდნენ კავკასიაში, აზერბეიჯანელები 1941–1946 წლებში ირანთან წარმოებული საიდუმლო ომის დროს (ამ ომის შესახებ არცერთ ისტორიულ წყაროში არ არის მოთხრობილი) ჩამოასახლეს კავკასიაში და საქართველოში.

ჩრდილოეთ კავკასიაში ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავას მონაცემებით იაფეტებს - იბერიულ-კავკასიურ ხალხებს, მიეკუთვნება: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ინგუშები, ჩეჩნები, დაღესტნელები. ჩრდილოეთ კავკასიაში ისტორიული ქარტეხილების შედეგად შემოსახლებულები არიან ყარაჩაეველები, ბალყარელები - ეს ის ერებია, რომლებიც დავით აღმაშენებელმა ყივჩაღების სახით საქართველოში ჩამოასახლა, აქ ფეხი ვერ მოიკიდეს და შემდგომში ქართველებმა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქართველთა სავანეში, ჯიქეთში დაასახლეს. ყარაჩაეველები და ბალყარელები არიან თურქული მოდგმის ერები. თუ გადავინაცვლებთ აღმოსავლეთით სახლობენ ოსები, რომელნიც ირანული მოდგმის ერია. მათ აღმოსავლეთით სახლობენ ინგუშები და ჩეჩნები, რომლებსაც მოუწყეს გენოციდი და გადაასახლეს ყაზახეთის სტეპებში. დაღესტნელები უფრო მრავალრიცხოვანიკი არიან მაგრამ მათი ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში ყუმიკებია შესახლებული და ა. შ.

ასე და ამგვარად იბერიულ კავკასიურ ერებს აქვთ საკუთარი ენა და დამწერლობა, განსხვავებული ისტორია და სახლობენ მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, რაც დამატებით საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ კ ა ვ კ ა ს ი ა კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ ი ა.

უდიდესი როლი იბერიულ-კავკასიური საკითხების კვლევაში მიუძღვის საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ პრეზიდენტსა და უდიდეს მკვლევარ-მეცნიერს ბატონ ზვიდ გამსახურდიას.

„სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა.

მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი-ხმელთაშუა ზღვის რასა, მედიტერანული რასა, ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასა, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასა, ანუ უძველესი კავკასიური რასა, უძველესი მედიტერიანული რასა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეალი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა, ამ რასისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები.

ეს არის სხვადასხვა განშტოებები ერთი და იმავე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური, ან პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენი კი ამჟამად ასიმილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, არის გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე, კერძოდ მეორე ათასწლეულის შემდეგ, ხოლო პროტოიბერიული კაცობრიობის, ანუ პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის, მისი ზნეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში იწყება დაკნინება ამ რასისა, მისი რიცხობრივი შემცირება, მისი ასიმილირება მოსული ინდოევროპელების მიერ. ამ დროიდან და უფრო გვიან წამოიწევს წინ ხეთური და ძველბერძნული, ელინური სამყაროები. მაგრამ აქ ხდება კულტურათა სინთეზირება: პალიომედიტერანულ, ანუ პროტოიბერიულ მოდგმასთან დაკავშირებულია პირველადი კულტურები მინოსისა, ეგეოსური კულტურები, კოლხური (ძველკოლხური), რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის მინოსურთან დაკავშირებული. ხოლო შემდგომ, უკვე მეორე ათასწლეულიდან იწყება წამოწევა ხეთური სამყაროსი, რომელიც უკვე ინდოევროპული სამყაროა, აგრეთვე ძველბერძნული სამყაროსი, რომელიც ვედური ტომიდან მომდინარეობს და მოსულია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდგომ აღმოცენდა ძველბერძნული კულტურა და ძველბერძნული სამყარო, ხოლო პირველადი მოსახლეობა ძველი საბეძნეთისა, ძველბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, განასზღვრულია როგორც პელაზგური, ანუ პროტოიბერიული. პელაზგები არიან ერთ-ერთი განშტოება პროტოიბერებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები, ისევე როგორც კოლხები. კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორად, ერთ სამყაროს წარმოადგენენ.

მართალია, არსობრივად არა, მაგრამ არის ნიუანსური განსხვავება ქართულსა და ქართველურს შორის. ქართული და ქართველური მაინც უნდა განვასხვავოთ იმიტომ, რომ ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივეს ისტორიულ საქართველოსთან, ქართულ ენასთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც „ქართები" არ არიან და არც, უშუალოდ ქართველები, მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ქართველური არის რასიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი ვიდრე ეროვნული. როგორც არსებობს სემიტური რასა, ასევე არსებობს იაფეტური რასაც. ეს იაფეტური რასა არის ქართველური რასა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ პირველადი იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულ ენას ვუწოდებთ. ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის ხალხები ძირითად როლს ასრულებენ („საქართველოს სულიერ მისია", ზ. გამსახურდია).

ერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ცხოვრების პირობებით, არამედ სულიერი სახითაც. რა თქმა უნდა, თავისთავად ფსიქიკური წყობა ანუ, როგორც მას სხვანაირად

უწოდებენ – „ეროვნული ხასიათი“, დამკვირვებლისათვის რაღაც მიუწვდომელი რამაა, მაგრამ რამდენადაც ის ერისათვის საერთო კულტურის თავისებურებებით გამოიხატება, იმდენად ის მისაწვდომია და არც შეიძლება უგულვებელყოფილი იქნას. „ეროვნული ხასიათი“ რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული როდია, არამედ იცვლება ცხოვრების პირობებთან ერთად, მაგრამ, რამდენადაც ყოველ განსაზღვრულ მომენტში არსებობს, იგი თავის დაღს ასვამს ერის სახეს.

სულაც არ არის ნონსენსი ასეთი ცნება - ერის ფსიქოლოგია, ერის ფსიქიკა. ფსიქიკა სულიერი არსების მახასიათებელია, მაგალითად, ადამიანისა და აქედან გამომდინარე, თუ ვამტკიცებთ, რომ ერსაც აქვს ფსიქიკა, ხასიათი, გონი, დადებითი და უარყოფითი თვისებები, ე. ი. ერიც სულიერი არსებაა! ფიზიკური არსება მხოლოდ გარემოებებზეა დამოკიდებული, ანუ დეტერმინირებულია. მას „საკუთარი ინიციატივით" არაფრის შეცვლა არ ძალუძს. ადამიანს კი - სულიერ არსებას, არა მხოლოდ აწმყოში ცხოვრების და წარსულის ხსოვნის თვისება აქვს, არამედ მომავლის ამოცანის, გეგმის დასახვაც შეუძლია. ეს ყოველივე ერსაც ახასიათებს, მას აქვს ცნობიერება! ცნობიერება კი ისეთ არსებას აქვს, რომელიც აყალიბებს სისტემას, თუ რა უნდა გააკეთოს გარკვეული ხნის განმავლობაში და თუ ეს არა აქვს, ე. ი. აღარ ცოცხლობს არც ერი და არც ადამიანი, ის, უბრალოდ, სულდგმულობს. ერთი სიტყვით - ერი არის სულიერი არსება, ინდივიდი, ყველასგან განსხვავებული, რომელსაც სჭირდება გეგმა თავისი შემდგომი განვითარებისათვის. სწორედ ეს „გეგმა" არის იდეოლოგია და თუ იგი სხვებისაგან გამორჩეულია (და ასეც უნდა იყოს), ეს უკვე ეროვნული იდეოლოგიაა. ერი ვეღარ გახდება კაცობრიობის წევრი, თუ იქ თავისი ინდივიდუალიზმი, თავისი განსაკუთრებული კულტურული „წილი" არ შეიტანა. ერი არ არის მარტო ადამიანების, პიროვნებების უბრალო გაერთიანება, რადგან პიროვნება უკვე ის არის, ვის ჩამოყალიბებაშიც ეროვნულმა ნიშანმა გადამწყვეტი როლი ითამაშა და ის სხვა ერს ვეღარ შექმნის.

თავისუფლება უფლებებისა და მოვალეობების გონივრული გაწონასწორებაა და ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს.

დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. დამოუკიდებლობა მხოლოდ პირველი ნაბიჯია თავისუფლებისაკენ, მას საქართველომ ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლების - 1990-1991 წლების დროს მიაღწია, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ერმა, სახელმწიფომ - ფაქტობრივი, უკანონო ხელისუფლებების სახით, სამწუხაროდ, გეზი არ აიღო თავისუფლებისაკენ.

დამოუკიდებლობა უძნელესი პროცესია. ეს ცნობილია ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში - შიში დამოუკიდებლობისადმი. ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებასაც სწორედ ეს შიში სჭირს: ხან „ძველ პატრონთან" დაბრუნებას ცდილობს, ხან „ახალ პატრონს" ეძებს, ხანაც ვითომ „დამოუკიდებლად ფუსფუსებს" - ვითომ საქმეს აკეთებს... ამით თანდათან გვაცილებს თავისუფლებას.

ამით კი, დღეს საფრთხე ჩვენს თავისუფლებასთან ერთად ემუქრება დამოუკიდებლობასაც, რომელიც თავისუფლების გარეშე დიდი ვერაფერი ღირებულებაა.

სწორედ, 1992 წლიდან სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლებებია დამნაშავე, რომ ჩვენ არ გვაქვს ეროვნული მრეწველობა, ეროვნული სოფლის მეურნეობა, ეროვნული განათლება, ეროვნული კულტურა... ამიტომ გვიწოდებენ „განვითარებად ქვეყანას", „ქვეყანას, რომელიც სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა", „მესამე კატეგორიის ქვეყანას" და ა.შ. ერი სრულყოფილი ხდება, როდესაც იგი „ეროვნულ-სარწმუნოებრივ სახელმწიფოებრიობას" აყალიბებს. დღეს კი, ეროვნულობამ დაკარგა (დააკარგვინეს) ფასი და სწორედ ეს გადაგვარება, ეს არაეროვნული ორიენტაცია არის ხუნტისა და მათი მემკვიდრეთა ხელისუფლების „დამსახურება".

ყოველივე ამასთან ერთად აღსანიშნავია კორუფციის საკითხი, რამეთუ კორუფციას დღეს უდიდესი სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს! დასჯით კორუფცია არ მოისპობა! უნდა შეიქმნას ღირებულებები, რასაც კაცი მოემსახურება. დასჯა საჭიროა, მაგრამ არა სხვის დასაშინებლად, არამედ იმიტომ, რომ დასასჯელმა მიუღებელი, არასწორი საქციელი ჩაიდინა და

საკადრისი უნდა მიეზღოს. ვინმეს დასჯას ხალხი სიმართლის აღსრულებად უნდა აღიქვამდეს და არა გაფრთხილებად და ჭკუის სწავლებად, რადგან მისთვის „ჭკუის სწავლა" უკვე უფრო ფრთხილად მოპარვას ნიშნავს. ასეთი ადამიანებისათვის უპირველესი ღირებულება ისევ და ისევ საკუთარი თავი და ოჯახია, რომელსაც „რჩენა" უნდა, რაც თავისთავად საჭიროა, მაგრამ ამას გააკეთებს მისთვის „მეცხრამეტე-მეოცე ადგილზე" მყოფი ეროვნულობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ხარჯზე.

სამწუხაროა, მაგრამ ქართველებს ჩამოგვიყალიბდა კანონისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, ხალხი კანონს აღიქვამს, როგორც მის „დამსჯელს" და არა „დამცველს". ნებისმიერ „უბრალო", „პატიოსან" მოქალაქეს, რომელიც აღშფოთებულია კორუმპირებული მთავრობის წევრით, თვითონ პოლიციასთან, ან სასამართლოსთან ურთიერთობისას ჯიბისკენ მიაქვს ხელი. მას აღარც იმედი აქვს და აღარც უნდა სიმართლისათვის ბრძოლა, ურჩევნია ფული გადაიხადოს. ვინც ქრთამს იძლევა, ის მის აღებასაც არ ითაკილებს, თუ მისცეს. ამიტომ ისიც რომ დანიშნო სახელმწიფო მოხელედ, კორუმპირებული გახდება. ე. ი. პიროვნებები კი არა, ურთიერთობებია კორუმპირებული, რასაც ისევ და ისევ ხელისუფლება არ, ან ვერ უშლის ხელს. უფრო მეტიც - შესაძლოა ხელსაც უწყობდეს.

საქართველოში მნიშვნელოვანია რელიგიის - ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხი, რომელიც ყოველთვის იყო ეროვნულობის შემადგენელი ნაწილი. დღეს-დღეისობით კი, ბევრისთვის რელიგია მხოლოდ „გარე მანიპულაციები" - პირჯვრის გამოსახვა და სანთლების დანთებაა. რას აკეთებს ამისათვის არსებული, ფაქტობრივი ხელისუფლება?! არც არაფერს არ აკეთებს! მას არა აქვს ის „გეგმა", „მიზნები", რომელზეც დასაწყისში ვისაუბრეთ და აქედან გამომდინარე, ის არაეროვნული ხელისუფლებაა. თვით „ეროვნულ" პარტიებშიც ასეა. დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებული დიდი განსხვავების არცოდნამ მიიყვანა ხელისუფლება აქამდე. განა შეიძლება ქვეყნის პარლამენტის, მთავრობის ცხოვრების მიზანი საკუთარი ოჯახისა და მეგობრების წრეს ვერ სცილდებოდეს?! სამწუხაროდ, დღეს ეს ასეა! თუნდაც პატრიოტიზმის დეფიციტი, ან ეროვნულობისადმი „საერთო-სახალხო ნიჰილიზმი" ხელისუფლების „დამსახურებაა", იგი ანტიეროვნულია, ე. ი. ეროვნულობის წინააღმდეგ მოღვაწე, თუნდაც თავისი უმოქმედობით. მათივე წარმდგენით „ეროვნული" ხალხი, მათ ხელს უშლით! მაგრამ ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც არაეროვნული მთავრობის გაფუჭებული საქმე თვითონ ერს გამოუსწორებია.

დღეს, სამწუხაროდ, პიროვნებები კი არ გვხელმძღვანელობენ, არამედ ლიდერებად ჯერვერქცეული ბელადები. წამალიც სწორედ ეს არის - ჩვენ კვლავ ერად უნდა ვიქცეთ და ერს პიროვნებებმა უნდა უხელმძღვანელონ. ამაში მთავარი როლი, ვფიქრობ, სამართლებრივმა, ლეგიტიმურმა, კანონიერმა მთავრობამ და პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იკისრონ, მათ ზუსტად უნდა იცოდნენ და იციან კიდეც, რა სჭირდება ერს და როგორ მიაღწიონ ამას.

ამრიგად, მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა.

უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა - კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობაერთობისა და თანასწორობისა.

ამასთან, უკვე ახალ საუკუნეში, მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (დანიშნულებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების დაუბლოკავად, გამარტივებულად მიღებისა და ამ გადაწყვეტილებების დროულად შესრულების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს) თვისობრივად ახალ ინსტიტუტს, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც.

ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც, ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც რომელიმე ავზრახვიან ქვეყანას საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს.

საშუროა, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის შსოფლიო ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები მათი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ერთა ხელისუფლებათა საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებულია თვითოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში. მოწინვე ქვეყნები უნდა ადასტურებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემისა და მათი ეფექტური განხორციელების საყოველთაო მნიშვნელობას,რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. მათ უნდა შეახსენონ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობა, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით.

მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ ხდება, რამეთუ ცვალებადობას მხოლოდ სუბიექტივიზმი განსაზღვრავს მნიშვნელოვნად. ასე, რომ იდეალიზმთან მიახლოებული რეალობა ობიექტურ, თეორიულ და ემპირიულ განსაზღვრებაში შეიძლება ისტორიულად განსაზღვრულ მუდმივად მივიჩნიოთ. მორალური პრინციპების განხორციელება კი შესაძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფოში და თავად ერში, არამედ საყოველთაოდ და ყველგან.

მორწმუნე მამულიშვილი

ქართული ანბანი

ცეკვავ და მღერიხარ,
მეტყველებ ქართულად,
ღვთით ქარგავ ,,ასო-ქნარს''
ღვთისშვილთა მსახურად! . . .

საოცრება და არნახული სანახაობაა! დიდება უფალს რომ ჩვენ გვაქვს ასეთი ასოები, რასაც ქართული ჰქვია! გენიალური ქმნილებაა! საოცრებებთა შორის განსაკუთრებული და თანაც შეუდარებელი! გენიალური ქმნილების შექმნა კი, მხოლოდ გენიოსებს ძალუძთ, ისიც მხოლოდ ქართველს და თანაც მხოლოდ საქართველოში, რომელსაც ბადალი არ ყავს მთელ მსოფლიოში... ქართული ანბანისგან შექმნილი მარადიული მოძრაობის ნიშნები და მზისიერი ჩუქურთმები ყველაზე მდიდრული და ბუნებრივია ... ხოლო რაც შეეხება ქართული ანბანისგან შექმნილ „დედო-ჯვარს“, ვერც მხატვრებისგან შელამაზებული ქართული შრიფტებისგან ქმნილი ჩუქურთმები ვერ შეედრება მის სიდიადეს...

ანბანი ფორმითაც გასაოცარია და დიდი და ღრმა შინაარსის მატარებელიც. მისი შემქნელი ერი, შესაძლოა, გენიალურზე მეტიც იყოს, ის განდობილია თავის წიაღში. მაგრამ დღეს ეს ერი მრავალმხრივ დაკნინებულია, სავალალოდ - სულიერედაც. წარსული ღირსებები პასუხისმგებლობას გვაკისრებს უპირველესად. პასუხისმგებლობა კი შობს უღრმეს სინანულს და ღირსეულ გარჯას. ამის გარეშე ერში ჩამარხული სიდიადის წარმოჩენა უნიადაგო ყოყლოჩინობას დაემსგავსება და მხოლოდ.

ყოველთვის ვიყუროთ იმედით წინ მომავლისაკენ, კმაყოფილი უკან წარსულისა, მაღლა რწმენით უფლისადმი, დაბლა სიფრთხილითა და გვერდზე მუდამ სიყვარულით!

უფალო დალოცე საქართველო და ქართველი ერი!

ენა, მამული, სარწმუნოება!

ამინ!

,,საყურადღებო ბუნებრივი ალეგორიული სახეა თავისთავის წინააღმდეგ დაყოფილი ერისა და უფსკრულში გადასაჩეხად გამზადებული ქვეყნისა..." - - ხმა იდუმალი

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; ნოდარ კიკნაძე - მთავარი რედაქტორი; რატი გაგოშიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე; კლარა ტონია - პასუხისმგებელი მდივანი; დავით კაპანაძე - საინფორმაციო და კომპიუტერული უზრუნველყოფა; ნინო რაზმაძე - რედკოლეგიის წევრი; ზაზა კორტანელი - რედკოლეგიის წევრი საზღვარგარეთ.